

მედიკალიზაცია

# რეზენი თაობა

1937. 20/1

2-3

## 2-3

სახელმწიფო გამომცემლობა



# ჩვენი თარგა

12 757

საპარტვილოს საბჭოთა მწერლების  
კავშირის ურვალთვიური ურნალი

2—3

თარგამალი-მარტი

1 9 8 7

თბილისი



შ ი ნ ა ა რ ს ი:

ამხ. სერგო ორჯონიძე

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენ- ტრალური კომიტეტისაგან	88
ამხანაგ ორჯონიძის ხსოვნას	3
ამხ. სერგოს ხსოვნას	4
	5

შხატვრული ლიტმრატურა

დაუვიწყარ სერგოს — ლექსი მიხეილ ლომიძისა	9
დაუვიწყარ სერგოს — ლექსი ილია ხოშტარიასი	9
იზაკლი აბაშიძე — პირველი თოვლი	14
შალვა ამიხულაშვილი — შემოგახებენ	12
ვ. არჯევანიძე — ლეჩხუმელი კოლმეურნე ქალი	14
მირზა გელოვანი — თუშის ქალი წყაროზე	15
ა. ქოივა — სიკვდილი მტერს	17
აბოლონ მახარაძე — სიმღერა მეგობარზე	19
ანდრო თევზაძე — ფადიშე გოგოტიძეს	20
აკაკი თოფურია — აყვავებულ კოლხიდას	22
შაქრო სამადაშვილი — შემოდგომის შემდეგ	24
შ. ლორთქიფანიძე — ღია ბარათი	25

პ რ ო ზ ა

ნ. ოსტროვსკი — ქარიშხლის ნაშობნი, თარგმ. ილია აგლაძისა	26
--	----

კ რ ი ტ ი კ ა

კ. მარქსი, ფრ. ენგელსი — ბალზაკი, შატობრიანი, ბეკი	56
დ. ჯანელიძე — როგორ მუშაობდა ილია ჭავჭავაძე	66



ՎՅԵՆՆԱԾՈՒ ԵՄԿԵՐՈՒ ՈՒՅՄՈՆԻԿԻԾԵ  
1886—1937

# აგვ. სკაგო ორჯონიკიძე

## საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს პარტიას, სსრ კავშირის მუშათა კლასს და ყველა მშრომელს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ 18. თებერვალს, სალამონს საათსა და 30 წუთზე მოსკოვში უეცრად გარდაიცვალა ჩვენი პარტიის უდიდესი შოღვაწე, მგზნებარე უშიშარი ბოლშევიკი — ლენინელი, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის გამორჩენილი ხელმძღვანელი — საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს წევრი, სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.

მთელი პარტიისათვის, სსრ კავშირის მუშათა კლასისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის ძვირფასი, უმწიკვლო, სპეტაკი და მედგარი პარტიელის, ბოლშევიკის ამხანაგ ორჯონიკიძის გარდაცვალება, რომელმაც თავისი სახელოვანი, გამირული სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს, კომუნისმის საქმეს შესწირა, უძიმეს დანაკლისს წარმოადგენს მთელი პარტიისა და საბჭოთა კავშირისათვის.

ამხანაგ ორჯონიკიძის სახე, მისი თავდადებული ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის, სოციალიზმის მშენებლობისათვის ჩვენს ქვეყანაში ალაფრთოვანებს ყველა მშრომელს, ყველა პარტიელს, სამეურნეო ფრონტის ყველა მუშაკს შემდგომი ბრძოლის გასაჩაღებლად სოციალიზმის გამარჯვებისათვის, საბჭოთა მრეწველობის ახალი მონაპოვრებისათვის, მთელი ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ახალი აღმავლობისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

## ამხანაგ ორჯონიკიძის ხსოვნას

ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა: 18 თებერვალს გულის დაშლისაგან უეცრად გარდაიცვალა ამხანაგი გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე.

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოხატავა გამოჩენილი ხელმძღვანელი, პარტიის საქმისათვის დაუღალავი მებრძოლი, სოციალისტური ინდუსტრიის მებრძოლი ხელმძღვანელი და მის ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორი, ჩვენი ახლობელი და საყვარელი ამხანაგი და მეგობარი.

მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე ამხანაგმა ორჯონიკიძემ უკლებლივ შესწირა მუშათა კლასის საქმეს, კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს, კომუნიზმის საქმეს. ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში ამხანაგი ორჯონიკიძე დადგა ლენინის დიადი დროშის ქვეშ და მას შემდეგ თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე პატიოხნად და ერთგულად ეჭირა ეს დროშა ხელში. იბრძოდა რა ყველაზე მოწინავე პოზიციებზე.

მისი სიცოცხლე განუურელად იყო დაკავშირებული მეფის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლასთან, სსრ კავშირში დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლასთან, თეთრ-გვარდიელთა არმიებისა და უცხოელ ინტერვენტთა განადგურების ორგანიზაციასთან. სოციალიზმის ძლევა მოსილ მშენებლობასთან და ყველგან, სადაც მისი მჩქეფარე რევოლუციური, მოღვაწეობა მიმდინარეობდა, იქ გამარჯვება გამარჯვებას მოხდევდა.

ამხანაგი ორჯონიკიძე წარმოადგენდა ისეთი ბოლშევიკის ნიმუშს, რომელმაც არ იცოდა შიში და დაბრკოლებანი პარტიის მიერ დასახული დიადი მიზნების მიღწევაში. მგზნებარე ენერჯია, შეუპოვრობა და პირდაპირობა, მასების გამოჩენილი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ნიჭი მასში შეხამებული იყო ადამიანებთან ურთიერთობისას იმ გულთბილობისა და ამხანაგური უბრალოების განსაცვიფრებელ თვისებებთან, რომლებიც ასე კარგად არის ცნობილი ყველასათვის, ვინც პირადად იცნობდა ამხანაგ სერგოს და რომლებითაც განირჩევა ნამდვილი ბოლშევიკ-ლენინელი.

უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ამხ. ორჯონიკიძე სათავეში ედგა სსრ კავშირის მძიმე მრეწველობას. მის სახელთან არის დაკავშირებული სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი გამარჯვებანი. მისი დახმარებით პარტიამ გადასჭრა ჩვენს ქვეყანაში მძლავრი მოწინავე მძიმე ინდუსტრიის აშენების უძნელესი ამოცანა, ინდუსტრიისა, რომელმაც ხელახლა შეაიარაღა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და თავდაცვა. მძიმე

ინდუსტრიის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმიის საბავეში ამხანაგი ორჯონიკიძე ერთიმეორეზე იღებდა იერიშით უძნელეს ციხე-სიმაგრეებს ახალი ტექნიკის აშენებისა და დაუფლებისათვის ბრძოლის ფრონტზე. იგი სიყვარულით ზრდიდა მძიმე ინდუსტრიის ნიჭიერ, სოციალიზმის საქმის ბოლომდე ერთგულ, ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმულ მოღვაწეთა კადრებს.

და აი ახლა შენ, ძვირფასო ამხანაგო სერგო, აღარა ხარ ჩვენთან. ამ დანაკლისის სიმძიმე წარუშლელია. მას გულისტკივილით განიცდის ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. შენ დაგკარგეთ იმ მომენტში, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ სოციალიზმის გამარჯვებას მიადგინა. ჩვენს მიერ დიადი ბრძოლით მოპოვებულ ამ გამარჯვებებში დიდი წილი გიღვეს შენი შრომით, შენი ენერგიით, კომუნიზმისადმი შენი უსაზღვრო ერთგულებით.

მშვიდობით ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო სერგო!

ი. სტალინი

ვ. მოლოტოვი

ლ. კაბანოვიჩი

კ. ვოროსილოვი

გ. ჩუბარი

ა. მიჰროანი

ს. კოსიგოვი

ბ. პეტროვსკი

რ. ეიხე

ი. რუშუტაკი

მ. კალინინი

ა. შლანოვი

ვ. კოსტინოვი

ა. ანდრეევი

ნ. ეჟოვი

ი. აკულოვი

ვ. მიშლაუკი

ნ. ანტიპოვი

მ. შპიკინატოვი

ი. ნაკოვლევი

### ამხანაგ სერგოს ხსოვნას

ჩვენმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

ულმოებელმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა ლენინ-სტალინის ბოლშევიკური პარტიის ერთერთი უდიდესი მშენებელი, სსრ კავშირის სამეურნეო მშენებლობის გამოჩენილი ხელმძღვანელი, მგზნებარე რევოლუციონერი, უშიშარი, უდრეკი მებრძოლი კომუნიზმის საქმისათვის ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე.

უდიდესი მწუხარების გრძნობით აღავსებს საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ყველა მშრომელთა გულს იმის ფიქრი, რომ აღარ არის მშობლიური სერგო. რომელიც დაულალავად სჭედდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, რომელმაც უდიდესი შრომა და ძალღონე მოახშარა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აღმავლობისა და მძლავრი აყვავების საქმეს.

ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ მთელი თავისი სახელოვანი გმირული სიცოცხლე ბოლომდის შესწირა ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის საქმეს, დიდი

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის და სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს.

ამხანაგი სერგო 17 წლის ჭაბუკი შედის ბოლშევიკთა რკინის, ლენინურ-სტალინურ რიგებში და მთელი თავისი მჩქეფარე ენერჯითა და ენტუზიაზმით გადაეშვება უშიშარ ბრძოლაში მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ექსპლოატატორული წყობილების დამხობისა და მოსპობისათვის.

მეფის დროის მძიმე არალეგალიზმის წლებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიოდში, სამოქალაქო ომის წლებში და ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ერთი წუთითაც კი არ ცხრებოდა ამხანაგ სერგოს მჩქეფარე რევოლუციური ენერჯია, თანაბარი დაძაბვით მუშაობდა მისი ნათელი გონება და მისი მძლავრი რკინისებური ნებისყოფა, ერთიმეორეზე მოჰქონდა რა გამარჯვება მშრომელთა განთავისუფლებისა და სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვის საქმისათვის, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმისათვის.

ამხანაგი სერგო ხელმძღვანელობდა თეთრგვარდიელთა არმიების განადგურებას და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას ჩრდილო-კავკასიაში.

ასრულებდა რა ლენინისა და სტალინის უშუალო მითითებებს, ამხანაგი სერგო ხელმძღვანელობდა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას იმპერიალისტური ინტერვენტებისა და მათი დაქირავებული აგენტების — მენშევიკთა, მუსავატელთა და დაშნაკთა კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგ. იგი იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი ორგანიზატორი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, მისი ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ იქნა განხორციელებული ლენინურ-სტალინური იდეა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისა და ამიერ-კავკასიის ხალხთა მშური მეგობრობისა და მჭიდრო თანამეგობრობის განმტკიცების შესახებ.

ამხანაგ სერგოს საამაყო სახელი განუყრელად არის დაკავშირებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან, სოციალისტური მძიმე მრეწველობის უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზაციასთან, რომელმაც სსრ კავშირი გადააქცია მსოფლიოში მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად, სოციალიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

წარმოადგენდა რა ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებსა და უსაზღვრო თავდადების ნიმუშს, ამხანაგი სერგო მუდამ უღმობელად იბრძოდა პარტიისა და ხალხის ყველა მტერთა წინააღმდეგ, პარტიული რიგების ერთიანობისა და სიწმინდისათვის, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების სიწმინდისათვის, მზრუნველობითა და სიყვარულით ზრდიდა კომუნისმის საქმის ერთგულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მრავალრიცხოვან კადრებს.

სერგო იყო ჩვენი დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის უახლოესი, ერთგული და თავდადებული თანამებრძოლი.



სერგო მთელი თავისი ელვარე და სახელოვანი რევოლუციური ბრძოლით აღსავსე სიცოცხლე შესწირა, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის გამარჯვებას.

სერგო მთელ თავის ბოლშევიკურ გონებას, ენერგიასა და ენტუზიაზმს, საკ. კ. პ. (ზ) ც. კ-ისა და დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, მუდამდღე ანდომებდა ბრძოლას კომუნისტების გამარჯვებისათვის სსრ კავშირში, ხოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მთელს მსოფლიოში.

ამხანაგ სერგოს გარდაცვალება წარუშლელი დანაკლისია მთელი ჩვენი პარტიისათვის, მთელი ჩვენი ხალხისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის.

ამხანაგ სერგოს გმირული სახე, მისი ნათელი სიცოცხლე უდრეკი პროლეტარულ რევოლუციონერ-ბოლშევიკისა მაგალითი იქნება მთელს მსოფლიოში კომუნისტების სრული გამარჯვებისათვის მებრძოლთა მრავალი თაობის აღსაზრდელად.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო ამხანაგო სერგო!

ლ. ბერიძე

მ. ჯ. ბაგინოვი

ბ. მუსახაევი

ფ. მახარაძე

ბ. მგალობლიშვილი

უს. რახმანოვი

ა. გულოიანი

ა. აგრბა

ვ. ბაქრაძე

ა. ანატუნი

სტ. აკოფოვი

ბრ. არუთინოვი

ა. აკოფოვი

ხ. გოგლიძე

მ. ლევანდოვსკი

კეტიანოვი

ვ. დეკანოზოვი

ბ. უსულაშვილი

ა. კეკელია

ბ. სტურუა

ვ. დარასხველიძე

ფ. მათიკაშვილი

ა. ვეშტაძე

მ. გოგინია

მ. ნიკრაძე

ე. ბედიანი

ვ. გოგუშვილი

კ. შარია



\* \* \*

თვითელ სახლის ყოველ სვეტიდან  
სჩანან დროშები შავი თალხებით;  
რკინასაც ცრემლი გამოედინა,  
შეჩერებულან წუთით ქარხნები!..

ორთქლმავლის კენესა ტრამალებს ესმით,  
მთები, მინდვრები გლოვას მართავენ,  
ქვითინებს გული, ქვითინებს ლექსი,  
ლექსი — სიმღერის წმინდა სათავე.

შეწყდა სიციცხლე საყვარელ გმირის,  
ჩვენ წაუშლელი ტკივილი გვერგო;  
სტირის ქალაქი, სოფელი სტირის, —  
ყველანი ერთად სტირიან სერგოს.

ჩამოწვა უცებ დუმილი ვრცელი,  
დუმილი მძიმე ნაღველით სავსე, —  
ბელადის თვალზე ციმციმებს ცრემლი,  
როგორც ვარსკვლავი უსაზღვრო ცაზე.

ვინ მოშლის მკერდში აგებულ ბინას.  
სიკვდილის ბნელი ფრთების დარხევით!  
თვითველ აგურს, თვითველ რკინას  
ღრმად დატყობია შენი სახელი...

თუმცა ვქვითიანებთ მძიმე გლოვითა.  
მიწას მომსკდარი ცრემლები აწვიმს,  
ვინ ამოკვეთავს ძვირფას ხსოვნიდან  
მშობელ მიწაზე დაცემულ არწივს!..

სიკვდილის ჩრდილმა ვეღარ დაგფარა,  
შეუბოვარი გრიგალი გმოსავს,  
ლაუვიწყარო, გაჰყვები მარად  
თავისუფლების უძლეველ დროშას!..

კრემლის კედელში სხეული შენი  
ღღეს ყვავილების ფერფლად შეგროვდა;  
კვლავ ჩვენთანა ხარ — დიდება გშვენის  
დიდი სტალინის მამაც მეგობარს!..

მიხეილ :ლოშიძე

\*  
\* \*

კრემლებს ვღვრი, ვგლოვობ გულანათრთოლი...  
არ მჯერა, რომ შენ ჯეკვე აღარ ხარ...  
და ჩემს ეზოშიც დაფნის ფოთოლი  
სტიროდა ძვირფას სერგოს დაკარგვას.

ხალხის საქმისთვის დაუზარელი  
ღღეს შენი გული უკვე აღარ სცემს.  
სიკვდილო, რა ხარ, გაუტანელი,  
ვისთან მიხვედი, ვინ წარიტაცე?

დგანან ხეები გარინდებულად,  
არ არხევს სიო დროშას ძირს დახრილს:  
ის დაიფერფლა და აღარ არი...  
ისმენს ქვეყანა რადიოს ძახილს.

შეების მომგვრელი, როგორი უხვი  
დაღონდა მიწა, დაობლდა ზეცა,  
და სერგოს ნათელ ბრწყინვალე შუბლზე  
დიდი სტალინის ცრემლი დაეცა...

მარად ურყევი ჩვენი პარტია  
უკვდავი ხსოვნის აღინთე ცეცხლი.  
მარად ურყევი ჩვენი პარტია  
დროშას არ დახრის, მიზანს არ შეცვლის!

ილია ხოშტარია



დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე  
თოვლი, თეთრად დასახული,  
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ყვავის ასე  
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ყვავის ასე და განთიადს გიხალისებს  
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხეავი,  
ის თბილისის ხეივანებში კიპარისებს  
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,  
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა,  
ან და იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით  
აღვა ჯარი და თბილისში დაბანაკდა.

რა თოვლია, შენობებს და ბაღში ხარდანს  
ფარავს, თეთრად დასახული,  
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,  
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.



რუხი მაგიდა, შავი სამელნე,  
 ვაჟა-ფშაველას ბასრი ფრანგული,  
 თანჯრების მიღმა იასამნებზე  
 აყდერებული დილის თანდური;  
 მოულოდნელად შემოვარდნილი  
 ლალი მერცხალი, ხმაშეუცვლელი,  
 ფიჭვი ამღვარი გმირის ლანდივით,  
 თეთრი კედლები, თეთრი ფურცლები;  
 აფეთქებული ატმის რტოები,  
 გაუგონარი ტრფობა, გმირობა,  
 ხოდაბუნები ტან-ნატბორები,  
 მთაგრებილების მხარგაშლილობა;  
 სამშობლო ზეცა მწვეში გაცრილი,  
 ბარათაშვილის გიჟი მერანი,—  
 და მუხებივით მკლავებგაწვდილი  
 შენი ბალლობის შთაგონებანი  
 შემოგდახებენ:

—გამართე მაჯა,—

შესძარ კალამი შემონახული,  
 ნუ შეგალონებს მხედრული გარჯა  
 და გამოუცდელ ძვლების კახუნი:  
 ზღვა-სიხარულით გახსენი გული,  
 გადადე ხალხში ფოლადის ღარი,—  
 დიოდეს მარად ამღერებული  
 ლექსის გრიგალი და ნიაღვარი!..  
 როგორც მზის შუქი დაუცხრომელი,  
 ანთე მშობელი მიწის ტრფიალი.

ღვიძლი შვილი ხარ ახალ ცხოვრების,—  
არ იყოს ბგერა კაეშნიანი!..  
უბადლო რჩევა თაფლივით დნება  
და საოცნებო შარაზე რჩები.  
ცისარტყელებად აბრიალდება  
შენი ოთახის მაღალი ჭერი!..  
დაგივლის გრძნობა გამოუთქმელი,  
განთიადივით შეყრიალდები,  
აიშლებიან არწივის ფრთებით  
ზრახვები—ოქროსეფენიანები!..  
მაშ ჩემო თავო, გაშალე ფიჭრი,  
ჩაიდგი სულში კახეთის ღონე,  
ბაღლობის ხანა გცილდება, მიჰქრის,—  
გასწი, გმროობის ხმა გამაგონე!..

ლეჩხუმელი  
კოლმეურნე  
ქალი



ირგვლივ მთა და გორაკების ბუდე,  
საძოვრები: ბუნარი და ვოლო.  
საკვერიის მწვერვალების ზღუდე  
და მუშულის გადაშლილი ბოლო.

შუქით სავსე მთვარესავით სჩანდა  
ლეჩხუმელი კოლმეურნე ქალი!...  
ნასადილევს პირში ტკბილად ჩაღნა  
წიფხვებით მოტანილი მსხალი.

მიჯნააყრილ ფართობებზე მდგარი  
შემოდგომა კირნახულით დუღდა!...  
სისინებდა ფოთლებიდან ქარი —  
თითქოს მკერდში ჩახუტება სურდა.

ჩვიდმეტი წლის კოლმეურნე ბუდას  
ჩამოედგა ყურძნით სავსე გობი;  
ქალს თვალები უბრწყინავდა მუდამ,  
შავგვრემანი და სიცოცხლის მღომი.

საღლაც იდგა — მხედველობის მიჯნად:  
ხვამლის კლდე და გორზალალას წვერი.  
ტორტმანებდა ტალღებივით — დინჯად,  
ყანები და სათიბები ვრცელი!





თუმის  
ქალი  
წყალობე

ეს ხეები კაცებს ჰგვანან,  
თუ კაცები არიან?! —  
იქით ფშავის მთები სჩანან,  
აქეთ ნაქერალია.  
ნაქერალას ქედის ძირში  
წყარო არის ანკარა,  
ესიზმრება თურმე: ძილში  
გოგო მოვა პატარა,  
შესვამს, გულ-მკერდს გაიგრილებს,  
ათამაშებს ვერცხლის ლილებს.  
რა წკრიალებს, ხმაა ცელის,  
თუ წყაროა ხმიანი?  
წყარო მღერის, გოგოც მღერის  
შავლევო და თმიანი.  
ცხრა მთისა და წყლის ზღაპრები  
ცხრა მთას იქით წავიდნენ,

მე ისეთი ლექსი მინდა,  
ს ტ ა ლ ი ნ ს. გაუგზავნიდნენ,  
შიგ ჩავწერი, ზეზვას როგორ  
გაუმთელდა იარა,  
ადგა ნისლი, გაჰყვა ხევებს,  
ცხრა მთა გადაიარა.  
შენმა სხივმა, შენმა შუქმა,  
გული დაგვიმზიანა.

# სიკვდილი მბჟრს!


ცოტა არის, რომ დასაჯო სიკვდილით,  
ვინც სინდისი ბოროტებას შესწირა,  
კაცის ტანჯვას ვინც შესცქერის სიცილით.  
ვისაც სურდა, რომ ჩვენ მწარედ გვეტირა...

არა, არა, შებრალება არავის! —  
შეად დარჩეს მათი კრული ხსენება...  
მათში ხალხის სიყვარული არ არის...  
ზიზლი იმათ, ზიზლი და შეჩვენება!

მათი ჯიში მხეცზე უარესია —  
მზეს სწუნობენ და ბნელეთში მიდიან,  
მათთვის სისხლი თაფლზე უამესია...  
ჯაშუშობენ და სამშობლოს ჰყიდიან...

უნდა გაჰქრეს, უნდა გაჰქრეს მთლიანად  
დედამწის სამარცხვინო ჩრდილები,  
გაჩენილნი თვით ბუნების ზიანად,  
ქოფაკები — ჰიტლერის გაზრდილები...

თქვენ ესროლეთ ტყვია კიროვს ქურდულად —  
მოგვიკალით ამხანაგი რჩეული!!  
ის წინ დაგხვდათ გაურღვეველ ურდულად,  
ის კვლავ ცოცხლობს და არ არის ძლეული.



თქვე ქურდებო, თქვე მკვლელენო მხდალურად!..  
მტარვალს ჰყავდით ბოროტ გულში ჩაკრული,  
როცა სიკვდილს უმზადებდით ფარულად  
მას, ვინც იხსნა მშრომელები ჩაგრული.

არა, არა, არ შეგრჩებათ არავის  
ჩვენი მტრობა, ჩვენზე დანის აღმართვა.  
ცივ სამარის მეტი სხვა რამ არ არის,  
რასაც შესწევს თქვენი კუზის გამართვა.

# სიღობი

შუღამ შენთან ვიყო მინდა,  
როგორც ძმა და მეგობართან;  
ჩვენ ხომ ერთი ძუძუ გვზრდიდა,  
ჩვენ ხომ ერთი გვათბობს კალთა.

მომეც ხელი, ჩვენ ხომ უსკარს  
ერთად შევხვდით მკერდგახსნილი;  
დღეს მზეს ველარ დაგვინისლავს  
უკუნეთის შავი ჩრდილი.

თვით განთიადს ემსგავსები,  
განთიადიც შენით ფერობს;  
რახანია მზემ თასებით  
შესვა ჩვენი სადღეგრძელო...

სიხარული მოაქვს ასე  
ყოველ დღეს და ყოველ დილას —  
ჩვენს ბაღნარში მოკისკასე  
მზე ჩააქცევს მარჯნის ქილას.

სამაისო კონებს ჰკრავენ,  
ეჯიბრება ყვავილს ლალი,  
და ტუჩები კვლავ პრწყინავენ  
შობობლიური სიტყვით — ს ტ ა ლ ი ნ !

# თვლინე გოგიტიქს



აღარ სჯეროდა ყურანის ძალა,  
ვერ დაუჩრდილა თვალები ჩადრმა,  
და აქარელი გოგო შავთვალა  
მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

მოაგონდება გამზრდელი მთები,  
სად ფეხშიშველი დატანტალობდა,  
ლაქვარდი ღამე, სავსე ფიქრებით;  
როცა ბუღბუღი ტყეში გალობდა.

მოაგონდება ეზო და სახლი,  
მოაგონდება ნაცნობი შარა  
და აქარელი მშრომელი ხალხი,  
აღათის წესებს რომ აღარ თვარავს.

შაგრამ დატოვა ყოველი ძველი,  
დატოვა სოფლად შრიალი ჭანდრის,  
გულს მოაშორა შავ ფიქრთა ქსელი  
და ჩამოიხსნა თვალთავან ჩადრი.

სურდა ფაღიშეს გაფრენა ცაში,  
უნდოდა ასვლა ღრუბლებზე მაღლა,  
რომ თბილისიდან მის აჭარაში  
მიფრენილიყო, ცხრა მთის გადაღმა.

და აისრულა წადილი კიდევც,  
დაფრინავს რკინის ფრთებიან რაშით,  
ხან შევეულივით ძირს გადმოჰკიდებს,  
ხან ვით მაშხალას აისერის ცაში.

ხან აჭარაში შორეულ გზიდან  
გადაუქროლებს მთებსა და კლდეებს  
და დაუმტკიცებს მეზობლებს ციდან  
საბჭოთა ქვეყნის გმირულ საქმეებს.





მე მავონდება წარსული შენი,  
შენი მინდვრები, ჭაობით სავსე,  
თხემლების ტყე და ტანმარდი შველი  
და მუხლებამდი ტალახი გზაზე.

დღეს ოქროს სირმით შემოგარსული  
მგზავრს აოცებ და ხალისით ავსებ.  
შემოგხარი და ველზე გასული  
სიმღერას გეტყვი ბულბულის ხმაზე.

სოფლად ხარობენ ახლა ამ ყოფით;  
შრება ჭაობი, ჭრება ციება.  
ნაჭაობარზე ოქროს ნაყოფი  
მოისხა ჩვენმა პლანტაციებმა.

და შემოგცინის ქვალონი, ხობი  
აღვის ხითა და აკაციებით,  
ჩემი ბავშობაც — შენთან ნამყოფი,  
კოლოს შხამ-გესლით განაციები.

ტყიან ჭაობებს სერავს არხები,  
მუხა აყარეს გუშინ ბებერი.  
შრომის გმირებმა გამოგახედა  
წალკოტად ქცეულ ბაღის ელფერიით.



და შენს მშრალ მკერდზე დარგეს ლიმონი,  
მისი სურნელი გვხიბლავს და გვათრობს.  
მიიზღაზნება ზღვისკენ რიონი  
და მოთოკილი გაჰყურებს თვართობს.

ყველას უყვარხარ... ფრინველთა შორის  
გემდურის მხოლოდ მაღალი ყანჩა,  
მიწას მოსტაცეს ჭონჭყო და შმორი  
და მის სანაცვლოდ ნარინჯი გაჩნდა.

ეკალიპტების ხეები დგანან  
ლაქაშის ნაცვლად; მწუხრი დავხურეთ.  
კოლხიდის ციდან მზე გადმომდგარა  
და აყვავებულ ყორათს დაჰყურებს.

# შემოღობის შედეგად

დაემწვიდობნენ მტევნები ვაზებს,  
მზემ სიცხოველის დაიკლო ძალა.  
ზიდან ფოთლები ცვივა მიწაზე,  
თითქოს მათ მიწამ შემოუთვალა.

ძირს დაუხრია რტოები ხეხილს,  
მიწაში მაგარ ფესვების მქონეს,  
დვას, აღდგურძელებს მარანში გლები  
მოსავლის მომყვან დაუღევ ღონეს.

მოვა ზამთარი სისუსხის ქებით,  
სპეტაკი თოვლით დაფარავს სახლებს  
და გული მაინც იმღერებს შვებით,  
თვალებს მოგვტაცებს მიწის სიასლე.

წლებით მდიდარი მოხუცი რაქდენს  
ამბავს აუსხამს ბავშვებს მძივებად,  
და მერმე, ამბის დამთავრებამდე,  
ბუნხართან ტკბილად ჩაეძინება.



## ლია ბათია

უცბად ოთახის იღება კარი,  
წერილს გადმომცემს ფოსტალიონი.  
მწერ, რომ ჯოლექტივს ყველა შეჭხარის  
და ნარინჯების სდვას ალიონი.

მრომის ფერხულში სუნთქვაა ჩქარი,  
მოსწყურებია გულს ამღერება.  
აქ მიღწევების დიდი ზღვა არი  
და სიხარულით გულთა ძვერება.

როცა ოქროსტრად მზე იწურება,  
ფოთლებს შრიალი გააქვთ საამო...  
ეხედავ: ბავშვივით გაელიმება  
ლალის მძივებით ნაქარვ სალამოს.

მშვიდად თენდება დილა ზაფხულის,  
ყანა ზღვასავით ღელავს. შრიალებს.  
მოაქვთ ხალისი ჯერ არნახული  
ვმირულ ეპოქის ადამიანებს.





ქარბუქი მძინვარებდა. თოვლის ბარდნებს ესროდა ტყის წისქვილის ფანჯრებს, აზანზარებდა ასწლოვან მუხებს. ტყე შეშფოთებული გუგუნებდა. მკაცრია, მიუტყარებელია ტყე ამ წუთებში. მრისხანედ, მთელი თავისი ძალ-ღონით ესხმის ბუნება ადამიანს.

სიცოცხლე ეუფლებოდა ანდრის გულს. იგი ზურგით მიეკრა საუკუნოვან მუხას, ხელები მოუჭირა თოფს და თვალები დააშტერა ლამის წყვილიად. და მოტეხილი შტოს ყოველი ტკაცანი ადემიანის ფეხის ხმად მოესმოდა მის ყურს. როდესაც ნერვიული დაძაბულობისაგან იღლებოდა, მუხას გარს უვლიდა და თვალს ძველი წისქვილის ფანჯრებიდან გამოკრთობილ ცეცხლის სხივებზე ასვენებდა.

სიცოცხლეზე ლაპარეკობდნენ ეს სხივები, ადამიანებზე, რომელთაც მრისხანე ქარბუქისაგან თავი მეწისქვილის თბილ ოთახებს შეაფარეს... „რაზე საუბრობენ ისინი ამჟამად იქ? ოლესია, ალბათ, იცინის. იქნებ მას დასცინის? მერე რა, დეე დასცინოს“.

ანდრიმ გულუბრყვილოდ გაიღიმა. რაღაც ნაზმა, თბილმა დაუარა გულში, როგორც ყოველთვის, როცა ოლესიას გაიხსენებდა. ადამიანები ამას სიყვარულს ეძახიან. მერე რა, დეე იყოს სიყვარული!

ჩაფიქრდა ანდრი, ოცნებას მიეცა... რა იქნება, განთქმული მებრძოლი რომ გახდეს? ხმა გაუვარდება ხუტორებსა და სოფლებში, საზარელი გახდება მისი სახელი პანებისთვის, ხოლო თვითონ იგი, მამაცი, ახალგაზრდა, წინ გაუძღვება თავის ესკადრონებს და გასწმენდავს მშობლიურ მიწა-წყალს შლიახტისაგან. და პან ბარანკევიჩი, შეშინებული და დამფრთხალი, ეტყვის თავის კისერ-წაგრძელებულ მეუღლეს, „ჩამომხმარკატას“:

— ეს ხომ თვით პტახაა, აი ცეცხლფარეში ჩვენი ქარხნის საქვებიდან! და ოლესიაც ყურს მიუგდებს მის გამარჯვებებს და გულში, ალბათ, სიამაყით გაიხსენებს, რომ აი სწორედ ეს ახალგაზრდა, რომელზედაც ყველა ლაპარაკობს, ჰკოცნიდა მის მუხლებს და მხურვალე სიტყვებს ეუბნებოდა... და სასაცილოდ აღარ აიგდებს, მის თვალებში პტახა ვეღარ შენიშნავს ცუდად დაფარული დაცინვის ონავარ ნაპერწკლებს.

შებნდავს ოლესია მას, დიდების შარავანდელით მოსიღოს, და პირველად დაინახავს პტახა მის თვალებში აღტაცებას და სიყვარულს...

იქვე გვერდით ხმელი ფიჩხის ტყაცანი გაისმა. ამ ხმამ თვალის დახამხამებაზე გაფანტა ყველა ზმანება და ფიქრი, და ხელებმა თავის თავად წაიღეს თოფი მხრისაკენ. მკვეთრი შეძახილი აღმოხდა უნებლიეთ მკერდიდან:

— შესდექ! ვინ მოდის? გესერი!

წინ რაღაც ბნელმა, მალალმა გაიჩუჩუნა, და სიცივისაგან დამზრალმა ხმამ უპასუხა:

— ჰეი! ვინა ხარ წისქვილთან? მე შჩაბელი ვარ!

სასროლად მომზადებული თოფი ანდრიმ ძირს დაუშვა. იცნო ხმა.

— მე ვარ, პტახა! — დაუყვირა მან.

აი ცხენის თავი მის გვერდით აიტუზა, ხოლო ტყაპუქში და ცხერის ტყავის ქუდში გამოწყობილი მხედარი ანდრისკენ დაიხარა, დააცქერდა.

— სად დავაბა ცხენი? ვინ არიან ქობში? ციბულია აქ არის? — ხრინწიანი ხმით ეკითხებოდა შჩაბელი.

— იქ არიან ყველანი! — უყვიროდა პტახა. — რა ამბავია ქალაქში?

— უბედურება, სამარე! ყველანი დაიჭირეს...

პტახა შეტორტმანდა: „როგორ თუ დაიჭირეს?!“

დიდხანს გაგრძელდა ცხარე კამათი — ღამე უკვე კარგა გადასული იყო. ის ამბავი, რომ რევკომი ხელთ ჩაიგდეს, ყველას მძიმე ლოდინდაა დააწვა.

ტყავის გახდის დროს შჩაბელმა ორი სიტყვა წამოისროლა:

— ვილაცამ გაგყვიდა!

დიდხანს, ძალიან დიდხანს იდგა ოთახში აუტანელი სიჩუმე. რაიმონდის სახეს ყვითელი ფერი გადაეკრა. უზარმაზარი ციბულია მოლუშული იჯდა და ფარფო წვერს იწეწავდა.

კუთხეში ღუმელთან მიმჯდარი ოლესიას თმა-გაკრეჭილი თავი მუხლებსკენ დაეხარა, რათა სასოწარკვეთილების ცრემლები დაეფარა. დიდი ხანი არ გასულა, რაც მისი წკრიალა სიცილი ყველას ამხიარულებდა. ფართოდ გაღებული, სევდითა და ელდით სავსე თვალებით შეპყურებდა სარა გოლიათ ციბულიას და მის ყოფაქცევაში ეძებდა იმედის რაიმე ნაპერწკალს. მაგრამ სოსნოველი მეთაურობდა მოდულშული გამოიყურებოდა.

პტახა, რომელიც სადარაჯოზე პშენიჩეკმა შესცვალა, მოულოდნელად მერხიდან წამოიჭრა და თავისი გაქუცული ქუდი მაგიდას მაგრა დაახალა:

— რას უსხედხართ, ბაბუებო? უნდა დავინახათ რეცკომი! დაცხობითელი რაზმით ქალაქს და სული გავაფრთხობინოთ! მოვცელოთ პანები და ჩვენები გავანთავისუფლოთ!

ციბულიამ მძიმე თავი მისკენ მიიბრუნა.

— რით უნდა დასცხო, ძუძუმწოვარავ? სჯობია ჩუმად იჯდე, ჭკუა მოგემატება.

ეს ცივი სიტყვები ცეცხლივით მოედო ანდრის.

— როგორ თუ რით დაცხობ? ხომ ვამბობ — მთელი რაზმით მივუხტეთ, ავამხედროთ გლეხები სოფლებში! შენ კი ნუ მჩხვლეტავ, ძუძუმწოვარას ნუ მეძახი, თორემ ყურადღებას არ მივაქცევ წელამდე დაშვებულ შენ წვერს, ისე მოგიჩნევ, რომ...

— ანდრი!... — წყნარად მიმართა სარამ.

პტახა გამოერკვა. საჩეკმა უკმაყოფილოდ დააშტერა თავისი ბაჭრი თავლები და ბოროტად ჩაიხითხითა:

— ენა დაიმოკლე, ბალო! მაგნაირი სიტყვებისთვის შეიძლება მარაზით აგაჭრელოთ. თუმცა აქ მეფის არმია არ არის, მაგრამ მეთაური ჩვენცა გვყავს, და როცა მეთაური ლაპარაკობს, ყური უნდა დაუგდო და შეისმინო. აი როცა წამოიზრდები, მეთაურად ავირჩევთ, დავგვიტყვი მაშინ შენი ჭკუა.

— რაც შეეხება მათრახს, სჯობდა არ გავეხსენებინა! — მკვახედ გამოეხმაურა პშიგოდსკი. — ვერ მოიშორე ფედფებელური ზნე.

რაიმონდმა მაგრა ჩასჭიდა თითები ხმალს და წყნარად მიმართა ციბულიას, თან უკრაინულ სიტყვებს დინჯად გამოსთქვამდა:

— ამხანაგო ციბულია, მაშ თქვენ უარს ამბობთ, თავს დაესხათ ქალაქს, თუნდაც სატუსალოს? ან, პირდაპირ რომ ვთქვათ, არ დასძრავთ თქვენს რაზმს ამხანაგების დასახსნელად?

დარცხენილმა ციბულიამ ჩაახველა.

— განა მე ვთქვი, უარს ვამბობ-მეთქვი? მაგრამ როგორ დავძრა რაზმი? ხომ იცით — ორმოცდაათი ცხენოსანი გლეხი გვყავს, ოცს სახანაო თოფები აქვს, დანარჩენებს — სანადირო ბერდანები. შეიძლება კიდევ ოცდახუთ კაცამდე მარხილებზე დაესხათ. მე სოსნოველებზე ვლაპარაკობ, ჩვენებზე. სხვა სოფლებში ცხვირსაც ვერ შევეყოფთ. იქ თითონ ურიან თავიანთი თავის ბატონ-პატრონები. აი მათ სოფელს რომ დამსჯელები ესტუმრონ, რასაკვირველია. ისინიც თავს გამოიდებენ. მაგრამ ქა-

ლაქელების დასახსნელად, ვფიქრობ. არ წამოვლენ. ქალაქში ჯარი ჩვენზე, მეთი ჰყავთ. ვინ მოისურვებს ტყვიამფრქვევს თავი შეუშვიროს?

— მაშ შენ უკან იხევი? — მიახალა პირში შჩაბელმა.

ციბულის ფერი ეცვალა.

— ცხარე ხალხი ხართ ქალაქელები! მოიტა და მოიტა... ვთქვათ... წამოვდები, უარს არ ვამბობ, ძველი სიკეთე მუდამ მახსოვს. ჯერ არ დამივიწყნია, ვინ დანიხსნა პანების ხელიდან, დახვრეტისაგან, მაგრამ გლახებს რა საქმე აქვთ ამასთან? ესეც არ იყოს, სიმართლე თუ გნებავთ, პატებივით ამოგვყლეტენ ყველას, ვერავის ვერ დავიხნით და თავსაც გავწირავთ. მე კი, როგორს მეთაურმა, პასუხი უნდა ვაგო ყველაფრისთვის!

შჩაბელმა მკვახედ მოუჭრა:

— თავი გაანებე, ციბულია, მაგ ზღაპრებს! პირდაპირ სთქვა, რომ თქვენ, პარტიზანებს, არ გინდათ თავი გამოიღოთ. ვაურბიხართ ბრძოლას თქვენს ქოხებს იქით. ცდილობთ, თქვენი დედაკაცების მახლობლად იყოთ, ხოლო რევოლუცია ფეხებზე გკიდიათ! ეჰ! წვრილი ბურჟუაზია ზის თქვენში, წყეულმც იყოს იგი, სამჯერ წყეული!

— ეს ჩვენა ვართ ბურჟუები? — წამოიჭრა სკამიდან საჩეკი.

— მაშ რა ხარ? — დაუყვირა პტახამ. — როდესაც თქვენებს საპრობილიდან ვანთავისუფლებდით, თავი სასიკვდილოდ გვქონდა გადადებულნი. ახლა კი, როცა ჩვენს რევკომს პანები სახჩობელას უმზადებენ, განზე დგებით, ჩვენი საქმე არ არისო.

— ანდრი, საჭირო არ არის ჩხუბი. ამხანაგ ციბულისა ხომ არ უთქვამს ეგ. მართალს არ ვამბობ, ემელიან ზახაროვიჩ? — ჩაერია სარკა და შეამბოხნესთან მივიდა.

ციბულია მძიმედ შეტორტმანდა მერხზე.

— თუ მე ბურჟუაზია ვარ, რაღას მიედ-მოედებით, ხოლო თუ ამხანაგურად მომმართავთ, მე ხომ უარს არ ვამბობ დაგებმართო, მაგრამ ქალაქის წინააღმდეგ არ წამოვალ. ამოგვხოცავენ... — მტკიცედ ჩამოაქანდაკა უკანასკნელი სიტყვა.

— გამოდის, რომ ჩვენებს სიკვდილი მოელოთ?

— არა და არა! ვიდრე სული გვიდგას, მაგას ვერ მოესწრებიან! — წეპყვირა რაიმონდმა.

— სწორია, რაი! — გადაქრით წარმოსთქვა ოლეშიამ. — მეც წამოვალ!

— მეც... — ჩუმად ჩაილაპარაკა სარამ.

— მერე, არა გცხვენია, ციბულია, რომ ბავშვებს სასიკვდილოდ გზავნი? — ვერ მოითმინა პშიგოდსკიმ.

— ვთქვი, ქალაქის წინააღმდეგ არ წამოვალ-მეთქი. ხოლო ვისაც ხალისი აქვს, დეე წავიდეს. კიდევ შვიდ კაცს ჩაივდებენ ხელში.

— ჯანდაბას თქვენი თავი! — წამოიძახა პტახამ. — მოემზადეთ, ძმებო! აქ ჩვენ ვასაკეთებელი აღარაფერი გვაქვს. დეე ამკუწონ, მაგრამ აქ ჯდომას და ცდას, თუ როდის ჩამოახჩობენ ჩვენებს, სიკვდილი მირჩვენია!

შჩაბელსაც და პშიგოდსკისაც ესმოდათ მდგომარეობის მთელი უმწეობა. ცხადი იყო, რომ პარტიზანების დაუხმარებლად რევკომის განთავისუფლების ყოველ ცდას მარცხი მოელოდა. პშიგოდსკიმ იცოდა ციბულაის სიკერპე. შეუძლებელი იყო მისი დაყოლიება. და პშიგოდსკი ასალ გზებს ეძებდა. პტახამ მოულოდნელად უკარნახა ეს გზები.

— როგორ ფიქრობ, შჩაბელ, გაასამართლებენ თუ ისე?...—პკითხა მან

— რის სამართალი, რა სამართალი!? თუმცა, შეიძლება, თვალის ასახვევად, სამხედრო-საველე სასამართლო დანიშნონ. ბოლო მაინც ერთი იქნება. თუ ხვალ ვერაფერი მოვიმოქმედეთ, ალბათ, გვიან იქნება.

— როგორ თუ გვიან? — ჩაიხურჩულა ფერწასულმა ოლესიამ.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ოო, საზიზღრები! თუ დღეს ჩვენები დაილუპნენ — გათავდა, არავის აღარ დავინდობ! მთელ წელიწადს არ მოვისვენებ, შევაგროვებ ხალხს და გადაუხნდი მაშინ სამსგიეროს. წყეული ვიყო, თუ არ ამოეწყვიტო ეგ მოგელნიცკები! შეუვარდები სოფელში და ყველას ყელს გამოუღადრავ. სისხლი სისხლისთვის! — გაპკიოდა ცხარედ ანდრი.

— მოიცა. ბიჭო, ეგ მართლაც საქმეა! — წამოიძახა სიხარულით პშიგოდსკიმ.

— რა არის საქმე? მოგელნიცკების ამოწყვეტა? ვერ მოგართვი — ხელს ვერ მიუწვდენ!

მაგრამ პშიგოდსკიმ განარებული თვალი გადაავლო ყველას.

— აი მომისმინეთ, რა კარგად გამოდის, — დაიწყო მან. — როგორ გვეპყრობიან პანები და ოფიცრები? მხეცურად. თუ კლანჭებში ჩაუვარდი — სიცოცხლეს უნდა გამოესალმო. თუ არ გინდა უღელი დაიდგა — ტყვიას დაგახლიან შუბლში და გაგათავებენ. ჩვენ ვილა ვართ, წმინდანებში თუ? შხამიან გველს შიშველი ხელით არ იჭერენ...

— მერე რა? — გასწყვეტინა საჩეკმა.

— მერე ის, რომ დავესხათ დღეს გარიურაქზე არა ქალაქს, არამედ გრაფის სახლკარს.

— როგორ, დედაკაცებთან აპირებ ბრძოლას? გრაფი ხომ ქალაქშია. მას ვერ მისწვდები.

— შენ გაჩუმდი, საჩეკ!

— მაშ ასე, დავესხათ გრაფის მამულს. მათ სადარაჯოს მცირე ხოლმიანკაში გარს შემოგუვლით. თორმეტოდე ვერსის გავლა მოგვიხდება. ასეთ ამინდში ეშმაკიც კი ვერაფერს შენიშნავს. ჰო და ასე... მათ დარაჯებს თვალის დახამხამებაზე გადავთვლავთ. მოგელნიცკის, ალბათ, აზრად არც კი მოსდის, ძალა იყოლიოს ზურგში. იცის მოგელნიცკიმ პარტიზანების ზნე — როგორ ეზარებათ მათ ცხვირის გამოყოფა თავიანთ ბუნაგიდან...

— კარგი, კარგი, უკვე მოვისმინეთ ეგ. მერე?

— მერე — დავავლებთ ხელს მათ დედაკაცებს, თანაც ბებერ მძორს გამოვაყოლებთ. შეიძლება თვით მოგელნიცკიც ჩავვივარდეს ხელში. ხში-



რად დაიარება ქალაქიდან. მე იქ ყოველი ასავალ-დასავალი ვიცო. თვალ-დახუჭული შეგიყვანთ. წამოვასხამთ ყველას, თავიანთ მარხილებშივე ჩაესხამთ და მოვუსვამთ. ეძებონ მერე ქარი მინდორში. მივმალავთ მათ ზადმე მოშორებით, ყრუ ადგილას, თითონ გრავს კი, ვინიცობა იქ არ აღმოჩნდა. ტელეფონით ვეტყვით: თუ ჩვენი ბიჭებიდან ხელს ახლებ ღისმეს. შენებს აქ არ დავინდობ-თქო. როგორია?

— ყოჩაღ პშიგოდსკი, აი ეგ ჩემებურია! მერე, რა უბრალოდ ეწყობა საქმე! — წამოიძახა პტახამ.

ყველას სახე გაუბრწყინდა. თითქოს დიდი ტვირთი მოიგდებინეს ზურგიდანო. დაიბადა იმედი. ყველა ციბულის შეჰყურებდა, მისგან მოელოდა პასუხს.

გოლიათმა ერთბაშად არ დაიწყო ლაპარაკი. ფიქრი ყოველთვის ეძნელებოდა, არასოდეს არ ჩქარობდა.

— დიახ, ეგ უფრო მოსახერხებელია! მაგაზე შეიძლება მოვილაპარაკოთ. ჭკუაზე უფრო ახლოა ეგ, ვიდრე ქალაქში შექრა. ვშიშობ მხოლოდ. ვაი თუ არავინ დაგვიხვდეს მამულში, ამაოდ ჩაგვიაროს ყოველივემ... — ჯერ კიდევ ყოყმანობდა ციბულია.

— მაშ, გადაწყვეტილია? — აჩქარებდა შჩაბელი.

— შენ რას იტყვი, საჩეკ?

— მე, ემელიან ზახაროვიჩ, როგორც თქვენ მოისურვებთ... ისე კი ურიგო აზრი არ არის. შეიძლება იქ გლეხები ძველმანიდან რამეს გამოიჩინონ კიდევ...

— მაგას კი თავში ნუ გაივლებთ! — გააწყვეტინა რაიმონდმა ისე გადაჭრით, რომ დარცხვენილმა საჩეკმა თვალები დაახამხამა.

— რას ვამბობ მერე? განა ყოველივე იქ ნაძარცვი არ არის, ჩვენი ზურგიდან აღებული?

— ჩვენ რევკომი უნდა დავიხსნათ და არა გამორჩენაზე ვიფიქროთ.

— კეთილი, აგრე იყოს, თანახმა ვარ, — დაამთავრა ხმამაღლა თავისი აზრი ციბულიამ. და მეთაურის წყნარი კილოთი ბრძანა: — წადი, საჩეკ, სოფელში. ერთი საათის შემდეგ ბიჭები ცხენებზე უნდა ისხდნენ. წამოიყვან მარტო ცხენოსნებს, ქვეითები დარჩნენ. ასეთი საქმისთვის ისინიც ვეყოფიან. ასე რომ ერთი საათის შემდეგ...

\*

\* \*

ლუდვიგა ბიბლიოთეკის უზარმაზარ ფანჯარასთან იდგა.

ლამის ქარბუქი ჩამდგარიყო.

ედლი გუშინ წავიდა, გვიან, ძალზე უცხო და ცივი.

რა მოხდა? რატომ აწვება სევდა გულზე, რატომ გრძნობს ასე მარტოდ-მარტო თავს ამ უზარმაზარ სახლში? მიზეზს ეძებდა, ცდილობდა მიუღდომლად გარკვეულიყო ყველაფერში.

ბევრი რამ ცხადი არ იყო მისთვის. ერთს კი აშკარად ხედავდა — იგი უცხო იყო აქ.

მართალია, წინადაც არ იყო მახლობელი და შინაური ამ სახლში.

იგი უყვარდა მხოლოდ ედდის. მხოლოდ და მხოლოდ ეს გრძობა ათბობდა.

განა როდისმე მახლობელი იყო მისთვის ეს საზიზღარი, კბილებ-ჩაცვივებული გარყვნილი მოხუცი, რომლის სიმდაბლეზედაც მას წარმოდგენა არა ჰქონდა, სანამ ფრანცისკასთან ჩადენილმა ამბავმა თვალები არ აუხილა?

ბილწი ღლაპი ვლადეკი? ჭეშმარიტად ღირსეული შვილია იგი „ღირსეული“ მამისა. ან სტეფანია...

„ნუ თუ, — ფიქრობდა ლუდეგა. — არ მიყვარს ედდი?“

როგორ დაიმსხვრა მშვენიერი გრძობა — სიყვარული ედდისადმი? ვინ არის ამაში დამნაშავე? ედდი თუ თვით ლუდეგა? რა საწყენია, რა გულსაკლავი, რომ არ იცნობდა მას. თავის ქმარს. „სულელი რომანტიული ვოგო“-ო, — უთხრა მან თავის მამას ლუდეგას გამოსვლით გაბრაზებულმა. დიახ, იგი მართალია. ედდი ხომ ოდესღაც გმირად ეჩვენებოდა უშიშარ და უმწიკლო რაინდად, ცხოვრებამ კი სულ სხვა რამ დაანახვასულ სხვა რამ გამოამყლავნა. განა შეეძლო ოდესმე ეფიქრა, რომ ედდი ასეთ სიმდაბლეს. ასეთ ვამცემლობას ჩაიდენდა? ლუდეგამ თვალები დახუჭა. შეაფრეოლა, როდესაც გაიხსენა სახრჩობელები მაგისტრატთან... მან, ედდიმ უბრძანა ჩამოეხშოთ ვერაგულად შეპყრობილნი, რომელთაც დაუჯერეს ედდის, მის პატიოსან სიტყვას.

მერე, რა ხალხი ახვევია ედდის? რა საშინელია ეს ვრონა. ლუდეგას ეშინია ამ კაცისა, მისი მკვდრის თვალებისა.

მტანჯველი აზრების გასაფანტავად ლუდეგა ფანქვარას მოშორდა.

კედლებთან გამწკრივებული იყო წიგნებით სავსე მუხის მალალი კარადები. აქ, ამ ბიბლიოთეკას აფარებდა თავს მთელი საათობით. როცა ცდილობდა სინამდვილეს გაქცეოდა. აქეთკენ ეწეოდა თავდავიწყების სურვილი.

ღია კარადასთან მივიდა და გულგრილად თვალი გადაავლო წიგნის ყდების ოქროთი მოვარაყებულ ძირებს. „წერილები წარსულზე“, — წაიკითხა მან. აზრი კვლავ დაუბრუნდა მტკივნეულს, იმას, რაც გულს უწევდა... გაახსენდა ერთ-ერთ ტომში ნაპოვნი ძველი დაეიწყებული წერილი. გრაფის განსვენებული მეუღლე, ელუარდის დედა, სწერდა თავის შინაურ ექიმს „უფროსი შვილის ჭაბუკურ სიცელქეზე“, რაც ძალიან აწუხებდა დედას. „ხომ შეიძლება ბავშვს სენი შეხვდეს“-ო. მოხუცი სთხოვდა პატივცემულ პან ექიმს — შეემოწმებინა შინამოახლე ვერა, რომელსაც ახალგაზრდა გრაფის ოთახების მუდმივი მეთვალყურეობა დაეკისრებო...

სირცხვილმა და შელახულმა სიამაყემ, ეჭვმა და უკმაყოფილებამ, — ყოველივე ამან კვლავ იფეთქა, და ლუდეგას ცრემლი წასკდა. მაგრამ

დიდხანს არ უტირნია. ამო იყო ტირილი ამაზე ეხლა, როდესაც ყველაფერი იფუშება, მას შემდეგ, რაც ედღიმ თავხედურად ჩაიცინა, როცა ეს წერილი წაიკითხა.

დედასთან უნდა წავიდეს. იქ, მოშორებით, ყველაფერს მოიფიქრებს და მაშინ გადასწყვეტს...

ეზოში რაღაცამ მკვეთრად დაიქუხა. ლუდვიგა ფანჯარას დაუბრუნდა და გაშეშდა. ეზოში ცხვრის ტყავში გამოწყობილი მხედარი ცხენს დააქროლებდა. ერთ ხელში თოფი ეჭირა. ეტყობოდა, თოფი ის იყო გაესროლა. ხეივანში სახლისაკენ რამდენიმე სხვა ცხენოსანი მოჰქროდა. ორმა სხვამ ცხენები შესასვლელთან გააჩერა, ისინი სწრაფად გადმოხტნენ და სახლისკენ გამოიქცნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეზო შეიარაღებული ცხენოსნებით გაივსო. მათ წვერიანი გოლიათი მეთაურობდა. ხელის ერთი დაქნევით მან ცხენოსნები სხვადასხვა მრისკენ გაუანტა — სახლს ირგვლივ ერტყმოდნენ. ლუდვიგას მოესმა მისი ხმა, ომახიანი და მრისხანე. საღდაც სახლშიაც უკვე ორჯელ გაისმა ზრიალი.

ლუდვიგა შიშმა აიტანა. ცხადი იყო ყველაფერი: სახლში შემოჭრილი ხალხი პარტიზანები იყვნენ.

ნუ თუ სიკვდილია ეს? აი ამ წუთში შემოვარდებიან აქ, ერთხელ კიდევ დაიგრიანებს. თოფი. ერთ-ერთი მათგანი ესვრის ლუდვიგას, და ეს დალუბვა იქნება. ითხოვოს შეწყალება — სახრჩობელების შემდეგ, დახვრეტისა და მოტყუების შემდეგ? რა საშინელებაა დაიღუპოს აქ, იქნებ შეურაცხყოფილი და შერცხვენილი იმათგან, ვისაც იგი უმწეოდ იცავდა! მსხვერპლად შეეწიროს ედღის სიმკაცრეს, ვერავობას! ერთ წუთს შიშმა შებოჭა მისი სხეული, შემდეგ თავდაცვის ინსტინქტმა უკარნახა, გასაღებით ჩაეკეტა კარები. უკვე გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ შეჩერდა. სიამაყემ და შეგნებამ, რომ იგი გამოუვალ მდგომარეობაშია, ხელფეხი შეუკრა. შუა ოთახში იდგა, შემფოთებული, და ვლოდა, როდის გაიღებოდა კარი. და ვიღაცის ფეხის ძალღუმე შემოკვრის შემდეგ იგი გაიღო კიდევ. ბებლიოთეკაში შევარდა მაღალი ახალგაზრდა ცხვრის ტყავში და გვერდზე დახურული გაქუცული ქუდით.

ლუდვიგას დანახვაზე ახალგაზრდამ თოფი მოიმარჯვა.

— ხელები ზევით!.. აი დალახვროს, კიდევ დედაკაცი!

თოფი სწრაფად დაუშვა და დაიყვირა:

— სთქვი. სად იმალებიან თქვენი კაცები? მოგვეცი თუ ყველანი, სულ ერთია ვიპოვნით!

ლუდვიგას სიკვდილის ფერი ედო. დაინახა რა ეს, ახალგაზრდამ თოფიანი ხელი თავის ზურგს ამოაფარა და უფრო რბილად სთქვა:

— თქვენ... ნუ შესწუხდებით. ჩვენ, ასე ვთქვათ, წითელი პარტიზანები ვართ; დავეძებთ თქვენ კაცებს. ესე იგი ოფიცრებს. ქალებს კი არ ვეომებით. ჰო და ნურათრისა შეგეშინდებათ, მაგრამ, თუმცა თქვენ ქალი

ხართ, მაინც უნდა წავიყვანოთ აქედან ჩვენებზე გადასაცვლელად. ასე რომ წავიდეთ! — და ახალგაზრდამ ხელით კარებზე მიუთითა.

ლუდვიგას თვალები ერთი წუთით შეხვდა ახალგაზრდის ნაცრისფერ თვალებს. ოდნავ დარცხვენით პარტიზანს გაელიმა.

— იქნებ თქვენ ბურჟუებს არ ეკუთვნით, მაშინ ტყუილად მომიხდა აქ შემოვარდნა.

— მე გრაფ მოგელნიცკის ცოლი ვარ.

ახალგაზრდის სახეზე ღიმილი გაქრა.

— ჰოო! აი სწორედ თქვენ გვესაჭიროებით! — და კვლავ მიუთითა კარებზე.

დერეფანში შეიარაღებული კაცები დარბოდნენ, ოთახებს ჩხრეკავდნენ. კიბეზე ლუდვიგა მამა იერონიმეს შეჰხვდა. იგი ორ პარტიზანს მიჰყავდა.

— ჰა, პტახა! დაიჭირე გვრიტი? — მხიარული ტენორით შესძახა ახალგაზრდა ცხვირაწეულმა პარტიზანმა.

— ჩვენ კი ეს ბატი ჩავვივარდა ხელში! ტელეფონთან წავაწყდით — შტაბს ურეკავდა ეს არ დასაცალბებელი, ესა! — ბოხი ხმით საქმიანად ჩაილაპარაკა მეორე პარტიზანმა, რომელსაც ყოველ შემთხვევისათვის ქსენდის სუტანაში ჩაეგლო ხელი.

პშენიჩეკმა, რომელმაც ამ დროს გვერდით ჩაურბინა მათ, გაიგონა რა უკანასკნელი სიტყვები, სიცილით წამოიძახა:

— ჩვენ, წმინდაო მამაო, სულელები არ გახლავართ, მავთულები ადრევე გადავჭერთ! ასე რომ ამაოდ ცდილობდი, ბიძია. რაკი ხელში ჩავვივარდი, სული წმინდაც ველარ გიშველის.

— ზედმეტია დაცინვა, ლეონ. სწრაფად იმოქმედეთ. ახლავე უნდა დავტოვოთ ეს სახლ-კარი, — მოუჭრა სიტყვა პარტიზანს ვილაცის ხმამ.

ლუდვიგამ უნებურად უკან მიიხედა. მის წინ ბრგე ახალგაზრდა კაცი იდგა, დაბამულ პიუაკში, ქამარ-შემორტყმული, რომელზედაც ხმალი ეკიდა.

ხელი ავალხაზრდა კაცს ქამარში ჩარჭობილ რევოლვერზე ედო. მისი სახე ძალზე ნაცნობად ეჩვენა ლუდვიგას, მაგრამ ვერ გაიხსენა, სად ენახა იგი.

ქვემოთ, ვესტიბულში, ლუდვიგამ დაინახა უკვე ქურჭ-გადაცმული სტეფანია და გონება-აბნეული მსახურნი. ამ დროს ზემოდან ქვემოთ ხელში თოფით და ხმაურით დაეშვა პშიგოდსკი. მან მრისხანედ მიმართა ლაქიებს:

— ეი, თქვენ, ძაღლის ნაშობნო, რას დაგრიოთ პირი? მოართვით ბატონებს ქურქები, აბა სწრაფად! თორემ... — და მან მწარედ ჩაარქო თვალები მოხუც იუზეფს. — სთქვი, სად მიიმალა არამზადა ვლადისლავი? ვიცი, რომ აქ არის, ამ სახლში. სად გაქრა, მითხარ ამ წუთში! შენ კარგად იცი, სადაც იმალება ის პირუტყვი! — დაუყვირა პშიგოდსკიმ თავის მამას.

მოხუც იუზეფს სახე დაემანჭა.

— მე არაფერი არ ვიცი. პან ვლადისლავი წასულია, ალბათ. შენ კი, გატყობ, თოკი მოგნატრებია, — წყნარად დაუმატა მან.

— არა ღირს შენზე ხელის გასვრა, — მიუგო შვილმა. — სამწუხარო იქნება, თუ ის არამზადა აქ არის და ვერ ვიპოვნე. ეი, ბიჭებო, ჩამოიტანეთ ეგ ძველი ნაგავი აქ! — უყვიროდა იგი ზემოთმყოფებს.

რამდენიმე პარტიზანს ხელით მოჰქონდა ქურქ-ბეწვეულში გახვეული ბებერი გრაფი, რომელიც შიშისაგან გაშეშებულიყო. ვესტიბულის გარეთა მალალი კარი ღია იყო. ამ კარს ცხენით მიუახლოვდა წვერიანი ბუმბერაზი. მისი რიხიანი ხმა მთელ ეზოს მოედო:

— მარდად, ბიჭებო, მარდად!

პშოგოდსკი ერთხელ კიდევ ავარდა ოთახების შესამოწმებლად. ზემოთ, ედუარდის კაბინეტში, შჩაბელი და საჩეკი გრაფის ჩემოდანში კაბინეტში წაპოვნე ქაღალდებს ალაგებდნენ. რაიმონდი ამთავრებდა პოლკოვნიკთან გასაგზავნე წერილს.

რამდენიმე წუთის შემდეგ დათვის ტყავებით დაფენილი ორი მარხილი ჭისკრიდან გავიდა. პირველ მარხილში ისხდნენ ლუდეგა, სტეფანია და ფრანცისკა, რომელიც პშოგოდსკიმ ძალით აიძულა გაჰყოლოდა გრაფის ცოლს. მეორე მარხილში გრაფი და ქსენდი ჩასვეს. ფართო გზაზე გასვლისას ცხენოსნებით გარსშემორტყმულმა მარხილებმა სწრაფად მოუსვეს.

შესასვლელ კართან დარჩა მხოლოდ სამი ცხენოსანი: რაიმონდი, პტახა და პშენიჩეკი. ოცი წუთის შემდეგ მათაც მიატოვეს გრაფის სახლ-კარი.



გადასწყვიტეს, მოგელნიცკები დაემაღათ ძველ სანადირო სახლში. ეკუთნოდა იგი მოგელნიცკების მეზობელ მემამულეს მანიუშკოს.

სახლი ყრუ ტყეში მდებარეობდა. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ირგვლივ ფიჭვის ტყე იყო გაჭიმული. მახლობელი სოფელი — დამპალი წყლები შვიდ კილომეტრზე მდებარეობდა.

— ყრუ ადგილია. მოგელნიცკის თავში არც კი მოუვა, ეჭებოს გამოტაცებულნი აქ, თავის ცხვირწინ. ის უფრო სოსნოვკას მიეტანება, — ამბობდა ფრთხილი ციბულია. ყველა დაეთანხმა.

ოლესია და სარა დილა ადრიან უკვე ამ სანადირო სახლში იყვნენ. დაიწყეს საქმე იმით, რომ საკუჭნაოში ჩაკეტეს მოხუცი დარაჯი და მისი ცოლი; ამასთან განუმარტეს, რომ ეს უნებური პატიმრობა ხანმოკლე იქნებაო.

ქალებს ზველოდა მარჯვენა ფეხზე კოჭლი პარტიზანი, რომელსაც სოფლის ბიჭებმა რატომღაც მეტსახელად „მანეთ ნახევარი“ დაარქვეს. ცხენების თავლაში დაბმის შემდეგ კოჭლი პარტიზანი სახლში შევიდა,

ქული მოიხადა, პირჯვარი გადიწერა ხატზე, რომელიც დიდი სასადილო ოთახის კუთხეში ეკიდა, და დინჯად იწყო მზრიდან თოფის ჩამოღება.

— განა ღმერთი გწამს, ბიძია? — ნახევრად ხუმრობის კილოთი ჰკითხა ოლესიამ.

— ჰო. ესე იგი მწამს თუ არა მწამს, ასეთია ქრისტიანული წესი, — მიუგო, ცოტა არ იყოს, დარცხვენილმა „მანეთ ნახევარმა“. — ესეც არ იყოს, მათი წმინდანები ჩვენებს ჰგვანან, თუმცა სარწმუნოება პოლონური აქვთ, — დაუმატა თითქოს თავის გასამართლებლად.

გაახურეს დიდი ლუმელი და ბუხარი. დიდ სასადილო ოთახს გარდა, სახლში ოთხი სხვა ოთახი და სამზარეულო იყო. სასადილო ოთახის კედლებზე ნადირთა დავები ეკიდა. დიდიხნის მტვერი და აბლაბუდა მოწმობდა, რომ ამ ოთახში კარგა ხანია აღარავის უცხოვრია.

მანიუშკოს სახლ-კარი აქედან ცამეტ კილომეტრზე იყო. ამ სანადირო სახლში მხოლოდ ტყის დარაჯი ცხოვრობდა.

როდესაც „მანეთ ნახევარი“ ცხენების დასახედად გავიდა, ოლესიამ ხმადაბლა უთხრა სარას:

— რა აშბავია ნეტა ახლა იქ? როგორ ფიქრობ, სარა?

სარა უსიტყვოდ მუხის სკამის ნაპირზე ჩამოჯდა.

ოლესია შემფოთებული დადიოდა ოთახში, ერთხანს ფანჯარასთან შჩერდა, გაჰხედა განაკაფს ტყეში, მაგრამ იქ არავინ არა სჩანდა. ოლესიას არ გაუხდია ცაბულისა ცოლის მიერ ნაჩუქარი მოთრიმლული ტყავითავე დაუდევრად წაეკრა თივთიკის თავსაკრავი, ფეხზე თქის ჩუთებდა ეცვა და ისე დადიოდა, თითქოს დათვის ბელიაო.

— რომ იცოდეს, სარა, რა მძიმე ბოლმა მაწევს გულზე! არაფერს არ დავიმურებ, ოღონდ გამაგებინა. რას შვრებიან ჩვენები! — ეჩურჩულებოდა იგი თავის ამხანაგს, რომელსაც გვერდით მიუჯდა. — რას გაჩუმებულხარ, სარა? ნუ თუ დახოცავენ?

ოლესიამ ხელები მუხლებზე შემოივლო და დაღუძდა. იმედი ხან უბრუნდებოდა, ხან გაუბოდა. და სიცოცხლით და ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდა ქალი მოიქანცა ფიქრისა და ლოდინისაგან. სარამ უსიტყვოდ მიიზიდა თავისკენ და ოლესიაც მორჩილად მიეკრა მის მკერდს.

— ნუ შფოთავ მაგრე, ოლესია. ხან გრწამს, ხან სასოწარკვეთილებში ვარდები. სჯობია ისევ ერთ რაიმე აზრს დაადგე, თორემ გიყურებ და მეც გაზ-კვალი მეზნევა.

ოლესიამ იკითხა:

— ვაი თუ ჩვენებს საქმე ვერ წაუვიდათ და ჩასაფრებულებს წაწყდნენ, რა იქნება მაშინ?

— ყველაფერს ბოლო მოეღება.

სიჩუმეა სახლში. მხოლოდ მოშორებულ საკუქნაოში ჩურჩულებენ შიშისაგან დამფრთხალი ბებრები — დარაჯი და მისი ცოლი.

— ოჰო! გამარჯვება თქვენი! მიიღეთ სტუმრები! — დაიგრილა პტახამ და სასადილო ოთახში შევარდა.

ერთი წუთის შემდეგ სანადირო სახლი ხალხით გაივსო. იქ მიიყვანეს ლუდვიგა და სტეფანია. მოხუცი გრაფი და ქსენდი ციბულიამ შუაგზიდან თავის სოფლისკენ, სოსნოვსკისკენ გააბრუნა.

— ასე სჯობია. ყველაფერს უნდა მოელოდე კაცი. ჩემი რაზმის წასვლა მანიუშკოს ტყეში არ ივარგებს. დაგიტოვებთ ხუთ კაცს მცვლელებად. დეე თქვენმა ახალგაზრდებმა უღარაჯონ, ჩვენ კი სოსნოვსკში წავალთ. მოგელნიცკი იქითკენ გაეჭანება. ნამდვილად. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთეთ, სოფელს კი უკაცოდ ვერ დავტოვებთ. მართალს არ ვამბობ? — მიმართა ციბულიამ შჩაბელს.

ეს უკანასკნელი ჩაფიქრდა და დაეთანხმა.

ლუდვიგა და სტეფანია სასადილოს გვერდით მდებარე ოთახში მოთავსდნენ. იქ იდგა ორი განიერი რბილი ტახტი და პიანინო. მოხერხებულმა ლეონმა უკვე გაიცნო დარაჯი და მისი ცოლი. მეგობრული ლაპარაკი გააბა მათთან, რამდენადაც შეეძლო დაამშვიდა და ისე მოეწონა მოხუცებს, რომ პურიც კი აჭამეს.

მალე იგი სასადილო ოთახში გაჩნდა, ხელში ლორი ეჭირა, რომელსაც საუცხოო სუნი ასდიოდა, და როდესაც ყველამ გაკვირვებით შეჰყვირა, ლეონმა ღიმილით სთქვა:

— სიმპატიური მოხუცები ყოფილან, ლორიც კი მაჩუქეს. რა თვალები დამაშტერე, რაი? გგონია, ავწაბნე. თუ აგრე ფიქრობ, წავიდეთ ვკითხოთ. მაშ რა გეგონა!

ოთახში პშიგოდსკი და შჩაბელი შევიდნენ.

— თითქოს ყველაფერი რიგზეა. — სთქვა შჩაბელმა რაიმონდის უსიტყვო კითხვაზე.

— მარხილები და ცხენები საჯინიბოში მიემალეთ, დარაჯები დანიშნულ ადგილებზე დგანან. თოვლი ისე ბარდნის, რომ ერთი საათის შემდეგ კვალის ნასახიც აღარ იქნება. ციბულია განგებ გაივლის ხოლმიანკის მახლობლად. იქ შენიშნავენ, აცნობებენ, სადაც საჭიროა, და მტრის თვალს აგვარიდებენ. მოხერხებულად მოიგონა ყველაფერი იმ დათვბა.

— მე ეგ საჩეკი არ მომწონს, ბევრ რამეს ურევს, — სთქვა წყნარად რაიმონდმა.

— საჩკაზე ლაპარაკობთ? — იკითხა პშიგოდსკიმ, რომელმაც ყური მოჰკრა უკანასკნელ ფრაზას.

— ჰო, საჩკაზე! შენ არ ამჩნევ, მეჩისლავ, რომ საჩეკი გზა-კვალს უბნევს ციბულიას? რატომ დადის პეტლიურას ბანდიტთან — ოსკილკოსთან?

ლაპარაკში პტახა ჩაერია:

— ხვალეებზე ვატყობ, გაიძვერაა. არასოდეს პირდაპირ არ შეხედავს კაცს. სულიც კულაკური აქვს... მაშინვე ვიცნობ კაცს, ყველაფერს ვხედავ...

— თუ ხედავ, უნდა იცოდე, რომ დილიდან არაფერი მიჭამია და მსტელო ცალიერი მაქვს. — მოუთმენლად გააწყვეტინა ლეონმა.

— როგორ თუ არაფერი გიჭამია? უნამუსო კაცი ხარ, ლენკა! მართლა უთქვანთ, ჩეხს ტყუილი პირზე აკერიანო, — სთქვა გაჯავრებული კილოთი პტახამ.

— მე კი გამიგონია, რომ ჩეხებმა ტყუილი ხახოლებისაგან ისწავლეს, — გადაჰკრა ლეონმა.

როდესაც ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ, თადარიგიანმა „მანეთ ნახევარმა“ თავის ტოპრაკიდან მთელი პური ამოიღო, რვად გასჭრა და ძმურად გაუნაწილა ყველას. სარა ლორს სჭრიდა.

პშიგოდსკი მაგიდიდან წამოდგა, მეზობელი ოთახის კარებთან მივიდა, ფრთხილად გამოაღო და გაუბედავად წამოიძახა:

— ფრანცისკა!

— რა გინდა? — შეგვიანებით გამოეხმაურა იგი.

— მოდი აქ, შეჭამე რამე, — მშრალად მიუგო მან.

— არ წამოვალ!

მაშინ მეჩისლავმა უფრო ფართოდ გამოაღო კარი, ზღურბლს გადაბიჯა და უფრო მშრალად გაიმეორა:

— იქნებ წამოხვიდე!

ლუდვიგა და სტეფანია თვალს ადევნებდნენ ამ სცენას. ტახტზე ისხდნენ, ქურქებ-წამოსხმულნი, ლუდვიგა — მწუსარე და ყველაფრისადმი გულგრილი, ხოლო სტეფანია — შეშინებული და აზნეული.

მარტო ფრანცისკას გაეხნა პალტო — ოთახში თბილოდა. იგი პატარა მაგიდას მისჯდომოდა და ჩასუქებული ლამაზი ხელები მკერდზე დაეკრიბა.

— შეექვც თითონ, მე მაძლარი ვარ! — კვლავ მკვანხე უარი მიახალა მან.

მეჩისლავი უხერხულობას გრძნობდა იმის გამო, რომ ორი მტრულად განწყობილი ადამიანი ხედავდა, თუ როგორ ეპყრობოდა მას ცოლი. გულში უკვე ნანობდა, რომ ასე უხერხულად გამოუვიდა ფრანცისკასთან შერიგების ცდა. მაგრამ უკან გაბრუნებას ვერ ახერხებდა.

მოულოდნელად სტეფანია ფეხზე წამოიჭრა და სწრაფის ნაბიჯით მივიდა მასთან.

— მითხარით, პან შპიგოდსკი, რა მოგველის ჩვენ? — მღელვარებით ხმადაბლა ჰკითხა.

— მე პანი არ გახლავართ, მე გრაფინიას მეჯინიბე ვარ! — ასევე ხმადაბლა უპასუხა მეჩისლავმა და ზიზლით პირდაპირ თვალებში შეხედა.

სტეფანიას ლოყებს აღმური მოედო.

— მე ზრ ვფიქრობდი ამით შეურაცყოფა მომეყენებინა თქვენთვის. თქვენ პოლონელი ხართ და გესმით, რომ ასეთი მიმართვა ჩვენში საყოველთაოდ არის მიღებული. მაგრამ მე სხვა რამეზე მსურს გელაპარაკოთ. მე და გრაფინია ლუდვიგას გვინდა გავიგოთ ჩვენი ბედი... — ხმა აუკანკალდა, შიშმა უკარნახა მიემართნა მუქარისთვის, როგორც



თავდასაცავ საშუალებებისთვის. — მომისმინეთ, პან, მაპატიეთ... — ოღონაჲ აიბნა. — მაშ როგორ მიბრძანებთ გიწოდლოთ?

— ჩვენ ერთმანეთს ამხანაგებს ვეძახით, — მიუგო მეჩისლავმა, თან ცდილობდა ზრდილობიანად დაეჭირა თავი.

სტეფანიამ ზიზლით მოკუმა შეღებილი ტუჩები:

— მაგრამ თქვენ თითონ უნდა გესმოდეთ, რომ მე თქვენი ამხანაგი არა ვარ... თავი გავანებოთ ამას. ჩვენ მოვითხოვთ, გვითხრათ, რას გვიპირებთ? ნუ დავიფიწყებთ, პშიგოდსკი, რომ ყოველივე ამისთვის სასტიკ პასუხს აგებთ...

— კარგი, კარგი, როგორმე გავწორდებით!

— გაიხსენეთ მამა და ძმა.

— მე არ ვიფიწყებ მათ.

— მერე, არა გცხვენიათ? თქვენი ოჯახი ამდენ წელს ერთგულად გვემსახურებოდა, თქვენ კი ყაჩაღად გახდით და არცხვენთ მას! — ვერ მოითმინა სტეფანიამ. ქედმაღლობამ მასში სიმხდალედ კი დასძლია.

— სტეფა! — შეაჩერა ლუდვიგამ.

ფრანცისკაც უკუყაფილოდ შეტორტმანდა. სახეზე შეატყო მეჩისლავს, რომ ამჟამად მას შეეძლო საშინელება რამე ჩადინა. და ამის თავიდან ასაცილებლად სწრაფად წამოდგა და ქმართან მივიდა:

— წავიდეთ, ვჭაპოთ პური!

როდესაც კარი გაიხურეს, შიში კვლავ დაუბრუნდა სტეფანიას.

— დავილუბენით, ლუდია! არაფერს არ დაერიდებიან ეს ყაჩაღები! სვენტა მარია!

— მერე, რატომ აღიზიანებ მაგნაირი ლაპარაკით?

— მაშ უნდა ვიტყვო მაგ გაუთლელის წინაშე?

— არ უნდა იტყვო, მაგრამ არც უხეშად უნდა მოეპყრა.

— უხეშად? ვის, მაგ ბრიყვს? სამწუხაროა, რომ შემულკემ არ ჩამოახჩო ჯერ კიდევ მაშინ! რა მართალია ედუარდი — სწორედ ჩამოხჩობის ღირსნი არიან მაგისთანა ბირუტყვები! ხომ დანახე, როგორ მელაპარაკებოდა? — სისინებდა სტეფანია, რომელიც გვერდში მიუჯდა ლუდვიგას.

სალამოთი სოსნოვკასა და მალაია ხოლმიანკას შორის მოლაპარაკება გაიბა. წერილები გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ იმ გლეხებს, რომელნიც პარტიზანულ საქმეებში არ ერეოდნენ. ციბულის მიერ მიღებული პირველი წერილი შემდეგი შინაარსისა იყო:

„სოფელი სოსნოვკა. პარტიზანთა რაზმის მეთაურს ემელიან ციბულისს. თქვენი წერილი მომიტანეს დღეს, დილის თერთმეტ საათზე. ვიძლევი თქვენ მიერ გატაცებულთა გამოსასყიდად ხუთი ათას მანეთს ოქროთი. ანგარიშის გასწორება — მეფის დროის ოქროს ხუთმანეთიანებით. ფულს გადავცემ დაუყოვნებლივ გადაცვლისას. წინადადებას გაძლევი; თქვენ თითონ გამოიმუშაოთ გადაცვლისა და ფულის მიღების წესი. გამოსყიდვა აუცილებლად ხვალვე უნდა მოხდეს. გაფრთხილებთ თქვენც და თქვენ თანამონაწილეებსაც, რომ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ენებას

ზიაცუნებთ თქვენ მიერ გატაცებულ ქალებს, მამაჩემს და ეკლესიის მსახურს, ვერც ერთი თქვენგანი სასტიკ სასჯელს ვერ გაემქცევა. გარდა ამისა, დავხვრეტავთ ჩვენ მიერ ქალაქში დაპატიმრებულ ყველა ბოლშევიკს, რომლებიც სამართალში უნდა მიგვეცა — ასე ვფიქრობდით თქვენს თავდასხმამდე — და რომლებსაც, თქვენდა საცნობელად, სიკვდილი არ მოელოთ, მაშინაც კი, თუ ფულით გამოვისყიდით ჩემი ოჯახის წევრებს. მათ მხოლოდ საპყრობილეში პატიმრობა მოელოთ. პირობას ვიძლევი, მოლაპარაკების დამთავრებამდე არავითარ სამხედრო მოქმედებას არ მივმართო. პოლკოვნიკი მოგელნიციკი“.

საჩეკმა ხმამალა წაუკითხა ეს წერილი ციბულიას. ორნი ისტენენ ემელიან ზახაროვიჩის ქოხში.

— აბა, რას იტყვი ამაზე? — ჰკითხა ციბულიამ თავის თანაშემწეს.

საჩეკმა სწრაფად თხელი წამწამები დაახამხამა და ეშმაკურად გალიმებულმა მიუგო:

— თუ ფეხს დავაჭერთ, ათიათასსაც მოგვცემს.

ციბულიამ გულდასმით შეხედა, თითქოს პირველად ხედავს საჩეკსო.

— ამბობ, ათიათასსაო?

— ვფიქრობ, მოგვცემს.

— მერე ქალაქელები? — ჰკითხა ციბულიამ.

— ვამბობ, თუ ფეხს დავაჭერთ, ათიათასს გადმოგვითვლის-მეთქი, ისიც ოქროთი. მას, რა თქმა უნდა, მე და შენზე მეტი აქვს. რამდენი საუკუნეა კისერზე აზის ჩვენ ძმას! — სხაპა-სხუპით მიაყარა საჩეკმა, გახარებულმა იმით, რომ ციბულიამ მშვიდად მიიღო მისი გადაკრული სიტყვა. — ქალაქელებიო, ამბობ. თითონ იწერება — საპატიმროში ჩავსევამთო. გაიხედავ და რაიმე ცვლილება მოხდება. საპატიმრო ხომ სახიობელა არ არის! ამასობაში ძალა მოგვემატება. აგერ ოსკილკომ თავისიანები მომიგზავნა, შეერთებაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ისინიც პანების წინააღმდეგნი არიან. მხოლოდ ბოლშევიკებთან ვერ შორიგებულან. მერე, ჩვენ რა გვესაქმება ამასთან!

— დიახ, დიახ... — ჩაიბუყბუყა ციბულიამ და თავის წვერს მიჰყო ხელში. — მე კი მგონია, მიჰქარავს პოლკოვნიკი საპატიმროს შესახებ. ვიცი მათი ზნე. ხოლმიანკელებმა დაუჯერეს, პოლკოვნიკმა კი არც აცია, არც აცხელა და ჩამოახჩო ისინი.

ციბულია უფრო და უფრო იღუშებოდა, და საჩეკი მიხვდა თავის შეცდომას.

— შენ კი, საჩეკ, ძალღი ხარ. შენზე წინათაც მელაპარაკებოდნენ ბიჭები, მეგონა, ტყუოდნენ, მაგრამ ვხედავ, მშობელი მამის გაყიდვაც კი შევიძლია.

— რას ამბობთ, ემელიან ზახაროვიჩ, მე ისე, მაგალითისთვის ავლნიშნე. თორემ თქვენი ნებაა, ჰქენით, რაც გინდათ.

— დიახ, დიახ... აიღე ქალღი და დასწერე: „ფულზე არა ვყიდით“. დასწერე? „მოიყვანეთ ხოლმიანკაში რაევსკი, პატლაი, კოვალო,

ჩობოტა, რაევსკაია და ვორობეიკო“. დასწერე? „მაშინ გადავცვლით გაშლილ მინდორში, მაგრამ მოტყუება არ იყოს. თუ რამ შევატყე — დახვრეტ თქვენებს. ჩვენ ხოლმინაკელები არ ვახლავართ“. სწორედ ამნაირად ჩასწერე. არის? წამიკითხე. ასე. მოიტა, ხელი მოვაწერო.

საღამოთი სანადირო სახლში „მანეთ ნახევარი“ დაბრუნდა. თან მიიტანა მოგელნიცკის ორივე წერილი. მეორე წერილში პოლკოვნიკი მოკლედ უპასუხებდა ციბულისას:

„თანხმობას ვაცხადებ გადავცვალო ჩემი ოჯახი ბოლშევიკებზე. გადავცვლას მოვხდენთ შემდეგნაირად: მინდორში სოსნოვკასა და ხოლმინაკას შორის, ერთი ვერსის მანძილზე, გაჩერდებიან გადასაცვლელ პირებთან ერთად თქვენი და ჩვენი პატარ-პატარა რაზმები. პირველად გადავცვლილი იქნება ჩემი ცოლი — გრაფინია ლუდვიგა მოგელნიცკაია. თქვენ გამოუშვებთ გრაფინიას, იგი გამოემართება ჩვენი რაზმისაკენ; ჩვენის მხრივ გამოუშვებთ ერთ-ერთ იმათგანს, ვისი განთავისუფლებაც თქვენ მოითხოვით. ასევე მოხდება ყველა დანარჩენის გადაცვლა“.

— ურა! — შეჰყვირა პტახამ და ცეკვას შეუდგა.

ყველა სიხარულმა მოიცვა. თავდაჭერილმა სარამაც კი ტაში შემოჰკრა და ოლესიას კისერზე მოეხვია.

— ხომ ხედავ, ოლესია. რა კარგად ვათავდა საქმე. მალე გადაეხვევი მამა შენს.

— ნუ თუ მართალია ყოველივე ეს? — გაიღიმა ოლესიამ.

პტახამ ცეკვას. თავი მიანება.

— გამიგონე, ლენკა! — მივარდა იგი პშენიჩეკს, — ხომ არ ექნებათ ბებრუხანებს ისეთი რამ. რაც ცხოვრებას აწხიარულებს? — და ანდრიმ მაგრა ჩაუკრა თვალი გაღიმებულ რაიმონდს.

— ცოფიანი ძროხის რძე ხომ არა? — ერთბაშად მიუხვდა ლეონი. — ეფიქრობ, რომ მათ ყველაფერი აქვთ. პანები ხომ ნადირობისას მპირიტუსით თბებიან. ერთ წუთში გავაჩენ, მხოლოდ რას იტყვიან უფროსები? იქნებ ეს პროგრამას არ მიუდგეს? — შეჩერდა ლეონო.

— მე მგონია, საჭირო არ არის ეგ... ამას ვამბობ არა როგორც უფროსი, არამედ როგორც თანასწორი, — სთქვა რაიმონდმა და უნებურად შეკრთა იმის გამო, რომ პირველმა გაილაშქრა და ამით თითქოს უფროსის როლი იკისრა.

— არ არის საჭირო, ბიჭებო; აბა რაში გვესაჭიროება? — მხარი დაუჭირა რაიმონდს სარამ.

— არ არის საჭირო და არც გვინდა! — ერთბაშად დაეთანხმა პტახა და ლაპარაკი სხვა საგანზე ჩამოაგდო.

— ვინ არის მართლაც მეთაური? აი ჩვენ ახალგაზრდა კომუნისტო კავშირში შევედით, მაგრამ ვინ არის ჩვენი თავმჯდომარე — არ ვიცით. ეს უწესობაა.

— შენ, ანდრი, უდროოდ-დროს ჩამოაგდე ეგ ლაპარაკი. ამასთან სწორად ვერ გაგივია ზოგი რამ. უკრაინის ახალგაზრდობის კომუნისტური

კავშირის წევრები არ ითვლებიან კომუნისტური პარტიის წევრებად. კომკავშირელი არ არის კომუნისტური პარტიის წევრი. მას, რასაკვირველია, შეუძლია გახდეს წევრად, თუ კი ამისი ღირსი იქნება, — სთქვა რაიმონდმა.

— როგორ? მე თავი პარტიელ კომუნისტად მიმაჩნია, შენებურად კი გამოდის, რომ კომუნისტი არა ვყოფილვარ! — ანთო პტახა.

— სულ ტყუილად ლელავ, ანდრიუშა, — სთქვა რაიმონდმა, მივიდა პტახასთან და ალერსიანად მოეხვია. — არავის ჩვენგანს ეჭვი არ ეპარება, რომ შენ უკრაინის ბოლშევიკების კომუნისტური პარტიის წევრი გახდები, ისევე, როგორც მე ვავხდი...

— მაშ შენ უკვე პარტიის წევრი ხარ? — დაუფარავი შურით წამოიძახა ანდრიმ.

რაიმონდს სარაც წამოეშველა.

— არც ხომ ჩვენა ვართ პარტიის წევრები — მე, ოლესია და პშენიჩეკი.

— ასე რომ მამლაცინწაობას თავი ანებე! — ვერ მოითმინა ლეონმა, რომ არ ეკბინა პტახასთვის.

ანდრიმ მრისხანე თვალი გადაავლო.

— პარტია ჩვენ, ყველას, კომკავშირში გვამოწმებს. თუ კარგი ბიჭები გამოვდგებით, კომუნისტის წოდებას მივიღებთ, მანამდე კი ჩვენ პარტიის ერთგული თანაშემწენი ვართ და ეს უკვე ძალიან კარგია. განა ეს ცოტაა, ანდრი?

— რას ეჩიჩინები, სარა? რაკბ სახელოთი ცხვირი მოიწმინდა, მაშასადამე, მიხვდა, — წკრიალა ხმით ჩაიკისკისა ოლესიამ.

— ოჰო, აწკარუნდა ზარი! — გაიღიმა შჩაბელმა.

მოლუშულმა პშიგოდსკიმაც კი წარბები გაიხსნა.

— მხიარული ხალხია ჩვენი ბიჭები, მათთან სიკვდილიც არ მოგწყინდება, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა შჩაბელმა. მერე თავი პშიგოდსკისკენ დახარა და ასევე ხმადაბლა ჰკითხა: — როგორ ფიქრობთ, ამხანაგო პშიგოდსკი, ციბულია არ მოვინახულოთ? აჰ, ამათთან, ბიჭები დავტოვოთ, სამი პარტიზანი საგუშაგოებში შესანაცვლებლად. ხომ წაიკითხეთ, მოგელნისცკის ფული შეუძლევია. ყველაფერი მოსალოდნელია. წავიდეთ, არა?

პშიგოდსკი ჩაფიქრდა და დაეთანხმა.

— აი რა, ამხანაგებო, ჩვენ, მე და ამხანაგი პშიგოდსკი, ამჟამად სოსნოვკაში წავალთ, — სთქვა ხმამაღლა მაგიდიდან წამომდგარმა შჩაბელმა, — თქვენ კი ფხიზლად იყავით. რაიმონდ, შენ განდობთ ჩვენი პატარა რაზმის მეთაურობას. დილით დავბრუნდებით და ამათ, — ხელი კარებისკენ გაიშვირა, — სოსნოვკაში გადავიყვანთ.

ქისკართან, ხელის ჩამორთმევისას, უკვე ცხენზე მჯდომი შჩაბელი არიგებდა რაიმონდს:

— ყური მახვილად გეჭიროს. ფანჯრები დააბნელეთ. დარაჯები თვი-

თონ შემოწმე. ცხენები და მარხილი ყოველ შემთხვევისთვის მზად იყო-  
ლიე. თუ გუშაგებმა მათი რაზმი ან მზვერავები შენიშნეს, ორივე გრა-  
ფინია მარხილში ჩასვი, თქვენ ცხენებს შემოუსხედით და გააფულო  
ტყით პირდაპირ სოსნოვკისკენ გამოსწიეთ.

ამ დროს ეზოს მეორე ბოლოში პშიგოდსკი ფრანცისკას ეთხოვებოდა.

— შენ რას ფიქრობ, თუ გადაცვლა მოხდა, მათ გაჰყვები? — ყრუდ  
ჰკითხა პშიგოდსკიმ.

— იქნებ გავყვე კიდევ. აბა სად წავალ?

— ნუ გაჰყვები! წადი მამასთან სოსნოვკაში.

— შენთან ხომ არა? რომ ისევ ცემა დამიწყო? არა, სულელები  
ალარ არიან. ალარ მინდა შენთან ცხოვრება, გესმის თუ არა? ალარ მინდა!

— ფრანცისკა!

— ნუ მემუქრები! იმიტომ როდი გამოგყევი, რომ მუშტებით გვერ-  
დები ჩამამტვრიო.

ცივი ქარი მკვეთრად მოხვდა მათ ვახურებულ სახეებს.

— პშიგოდსკი! — დაუძახა შჩაბელმა.

— ალარა გცემ, თუ მამასთან წახვალ. იქ მოვილაპარაკებთ. იმათ ნუ  
გაჰყვები, თორემ მოგკლავ!

როდესაც ყველა ფანჯარას ფარდა ჩამოაფარეს, რაიმონდმა და პტა-  
ხამ ერთხელ კიდევ შემოუარეს გარეშემო სახლს. თოვლი ალარ მოდიო-  
და. ნათელი ღამე იყო. მთვარე ხის კენწეროებზე მიიპარებოდა.

ტყე გაყურებულიყო. ოდნავ მოისმოდა თოვლის ხრაშუნი ფეხქვეშ.  
ყოველივე ირგვლივ თეთრად იყო გადაპენტილი, ხოლო სახლი და სხვა  
შენობები თოვლს ბამბის თბილ საბანში გაეხვია. საჯინიბოდან მოისმო-  
და, როგორ ახრამუნებდნენ შვრიას ცხენები.

— ყურმახვილად იყავით, ამხანაგებო, — ეუბნებოდა რაიმონდი სამს  
პარტიზანს. — დილით კვლავ გამოგცვლით. თუ რამ შენიშნოთ, მაშინვე  
გვაცნობეთ. ეხლა კი დანიშნულ ადგილებზე დადექით.

როდესაც სასადილო ოთახში შედიოდნენ, პშენიჩევი, რომელიც ის  
იყო სადარაჯოდან დაბრუნდა, უკვე უამბობდა ქალიშვილებს რაღაც  
სასაცილოს.

— ეს რაღას როშავს აქ? — იკითხა პტახამ და მოიხსნა სარტყელი  
ზედ ჩამოკიდებული ვაზნების ტოპრაკებით.

— ეგ ამბობს, რომ შენ შენს საკუთარ ჩრდილს დასდევდი, თურმე  
ლევიონერი გგონებია. მართალია? — სიცილით უპასუხა ოლესიამ.

პტახამ ამხანად მხოლოდ ხელი ჩაიქნია გულკეთილად.

— რას იზამ, მაგეთი პროფესია აქვს, მეწისქვილეა...

— რა უნდა გავაკეთოთ ეხლა, რაიმონდ? — იკითხა სარამ.

— მე შგონია, შენ და ოლესიას შეგიძლიათ დაიძინოთ, ჩვენ კი  
ამ ღამეს უნდა ვიმორიგეოთ. დავსხდებით, ვიმუსაიფებთ რამეზე.

— მე არ მეძინება, — სთქვა სარამ.

— არც მე, — გამოეხმაურა ოლესია.

— თუ მაგრეა, რამე უნდა გამოვიგონოთ, თორემ მოგვეწყინდება მთელ ღამეს ასე ჯდომა. ესეც არ იყოს, ანდრი ამინირდება, მოთმინებიდან გამომიყვანს და სკანდალი მოხდება, — ვერ მოითმინა ლეონმა და გადასწვდა პტახას.

— ისა სჯობია, მამლაცინწაობას თავი ანებო, — გამოაჯავრა ანდრიმ.

— მერე რა, მე უკრაინულად, თუმცა ცუდად, მაინც ვლაპარაკობ, შენ, გესმის კი შენ ჩეხური?

— ისევ დაიწყებს? თავი მოგვაბეზრეს! — გაჯავრდა ოლესია.

— ეჰ, ნეტა მანდოლინა მოგვცა! მე პოლკას ჩავარაკრავებდი, თქვენ კიდევ იცეკვებდით. ხვალ ხომ ჩვენი დღესასწაულია. რა გაუხარდება გრიგორ მიხაილოვიჩს, როდესაც მე და შენ დაგვინახავს, ოლესია, — წამოიძახა პტახამ.

— ოლესიას ნახვა, რასაკვირველია, გაუხარდება. მაგრამ შენ რა სასიხარულო იქნები მისთვის? — ჰკითხა ლეონმა.

ანდრი რამდენიმე წუთს უსიტყვოდ შეჰყურებდა ლეონს, შემდეგ გახარებულმა სთქვა:

— მართლაც და ურიგოდ არ წავა თქვენი საქმე!

— რაზე ლაპარაკობ? — ფრთხილად ჰკითხა ლეონმა, რადგან იგრძნო, რომ მის სიტყვებში რაღაც მზაკვრობა იფარებოდა.

— მე მეწისქვილეზე ვლაპარაკობ. ამისი მამა ხორბალს დაფქვავს, შენ ერთ დღე დაიწყებ ფქვას, ეს კი — და მან ნიშნულად წარმოსთქვა სიტყვა ეს, — ღვეზელებს გამოაცხობს. მთელი ფაბრიკა გამოვა.

— რატომ შეჰყარე, რაი, ერთად ესენი? გაგზავნე ერთ-ერთი სადარჯოდ და სიწყნარე იქნება, — სთქვა ოლესიამ.

— არა, ჩვენ უკვე ვიყავით, ეხლა შენ შეგიძლია დადგე თოფით, — განაცხადა ლეონმა.

სარა მაგიდასთან იჯდა ხელებზე თავდაყრდნობილი.

რაიმონდი, ხმლიანი და მუხურნიანი, ღრმა სავარძელში ისვენებდა, ბუხართან.

— მესამე ოთახში, კარადაში, რამდენიმე საკრავი დავინახე. მგონი, იქ გიტარები და მანდოლინებიც არის, — სთქვა წყნარად სარამ.

— მერე, რას გაჩუმებულხარ? — წამოხტა პტახა.

— ვისა ჰქონდა მუსიკის თავი! ახლაც ჯერ კიდევ ადრეა მხიარულებას მივეცეთ. მაგრამ მაინც მუსიკა სჯობია ლაზლანდარობას, — წყნარადე მიუგო სარამ.

რაიმონდი ყურს უდებდა სარას წყნარ და რბილ ხმას. წარმოიდგინა მისი სახის გამომეტყველება, შავი, ოდნავ ცივი, დიდრონი თვალები და გაბედული, ოდნავევი ჰირვეული ტუჩები. უცნაური, მაგრამ იმავე დროს გასაგები იყო: ანდრი მარტო მას ემორჩილებოდა უყოყმანოდ. რაიმონდს არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, როდესაც იგი უხეშად მოაპრობოდა სარას.

— ლენკა, აიღე სანათური, წავიდეთ, ვნახოთ საკრავები! — სთქვა პტახამ.

პატარა სახლის ყველა ოთახის კარი საერთო დერეფანში გადიოდა. ლეონი სანათურით ხელში წინ მიდიოდა, პტახა უკან მისდევდა. საკუჭნაოსთან ანდრი შეჩერდა, ყური მიუგდო.

— ბებრუხანებს სძინავთ.

იმ ოთახიდან, სადაც ლუდვიგა, სტეფანია და ფრანცისკა იყვნენ, ჩუმი ლაპარაკი მოისმოდა.

— გასაღები აქ ტყუილად არის, — სთქვა ანდრიმ, გამოიღო გასაღები და ჯიბეში ჩაიღო.

— სულ ერთია, სხვა გზა არა აქვთ, ჩვენს ოთახზე უნდა ვაიაროთ, ან სად გაიქცევიან? — მიუგო ლეონმა, მაგრამ მაინც გასინჯა კარები. — დაკეტილი იყო თუ არა.

ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდნენ, მოიტანეს სამი გიტარა და მანდოლინა.

— ოცი წელია, ალბათ, არავის არ დაუკრავს ამ იარაღზე. სამი გიტარიდან ერთის სამყოფი სიმები თუ მოგროვდება. ამსაათში მოვაგვარებ სექსეს, — სთქვა ანდრიმ და შეუდგა მუშაობას.

— სარა, ამათთვის ვახშამი ჯერ არ მიგეცია? — და რაიმონდმა ხელი კარებისკენ გაიშვირა.

— იმ სქელ-სქელმა სადილზე უარი სთქვა, — მიუგო ოდნავ დარცხვენით ოლესიამ.

რაიმონდი შემფოთდა.

— როგორ შეიძლება? ისინი ხომ მშვივრები არიან? — და ფეხზე წამოდგა.

— ხვეწნას ხომ არ დავუწყებდი? უცნაურად შემომხედა, — ჩაილაპარაკა ნაწყენი კილოთი ოლესიამ.

— ნუ სწუხარ, როცა მოშვივა, თითონ მოითხოვს, — სთქვა ანდრიმ და სიმი დაახვია გიტარას.

რაიმონდმა რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, შემდეგ შეჩერდა მაგიდასთან, რომელზედაც საინი იღო, ხოლო საინზე — ლორი და პური. თან სარას შეხედა, თითქოს ეკითხებოდა. სარამ ყურადღება არ მიაქცია მის მღელვარებას, იგი ბუხარში ცეცხლს შეჰყურებდა ჩაფიქრებული.

— მე თვითონ წავუღებ, — სთქვა მან და საინი აიღო.

სარამ ოდნავ შესამჩნევი ირონიით შეხედა.

— როგორ გგონია, რაიმონდ, მამა შენსაც ლორით კვებავენ? და ისლუ უარს ამბობს? — ძლივს გასაგონად ჰკითხა მან.

— ის ხომ შლიახტის ხელშია, რა შესაძარებლები არიან ჩვენთან? თუ ისევ უარს იტყვიან, დავტოვებ იქ და როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ, — სთქვა მან, ძალზე გაწითლდა და მეზობელ ოთახისკენ გაემართა. დააკაკუნა. კარი ფრანცისკამ გააღო.

— ნება მომეცით, შემოვიდე.

ნახევრად წამოწოლილი ლუდვიგა ტახტზე წამოჯდა. სტეფანია არ განძრეულა.

— ვახშამი მოგიტანეთ. რატომ ამბობთ უარს? დილიდან ხომ არაფერი არ გიჭამიათ? — პოლონურად ჰკითხა ლუდვიგას და მის წინ შეჩერდა.

— გმადლობთ, არა გეშინ, — ყოყმანით ჩაილაპარაკა ლუდვიგამ. — შიოდა, მაგრამ აფიქრებდა სტეფანია, რომელმაც გადაჭრილი უარი განაცხადა მიელო რამე ზმ „ბრიყვებისაგან“. რაიმონმა საინი მაგიდაზე დასდო.

— იქნებ ვინმემ გაწყენინათ?

— არა, არავის, — მიუგო ლუდვიგამ.

— მაინც გთხოვთ, მიირთვათ, — დარცხვენით ჩაილაპარაკა რაიმონდმა. — ჩვენ ხომ უნებური უსიამოვნება მოგაყენეთ. ჰოდა იცოდეთ, რომ ხვალ თქვენ გადაგვევლიანთ ჟანდარმების მიერ შეპყრობილ ჩვენს ანხანაგებზე. მათ სიკვდილი მოელოდათ და სხვა გზა არა გვექონდა — უნდა გამოგვეტაცეთ.

— გადაგვევლიან? მართალს ამბობთ? — გაიღვიძა ძალად მომძინარებულმა სტეფანიამ.

— მე არასოდეს ტყუილს არ ვამბობ, — მიუგო ამაყად რაიმონდმა.

სტეფანია თვალს არ ამორებდა. ეხლა, როცა რაიმონდმა კურდღლის ტყავის ქუდი მოიხადა, იცნო იგი.

— თქვენ არ იყავით... მაშინ... ცხენები რომ გააკავეთ?

— მე გახლდით.

ლუდვიგამაც იცნო.

— შითხარით ერთი, პშიგოდსკი ისევ აქ არის? რალაც აღარ მესმის მისი ხმა, — ჰკითხა სტეფანიამ.

— არა, წავიდა გადაცვლის საქმის მოსამზადებლად.

— მადლობა ღმერთს! — თავისუფლად ამოისუნთქა სტეფანიამ და ერთბაშად გამოიძვალა. ერთხელ კიდევ აავლო ფეხებიდან თავამდე თვალი რაიმონდს და ჰკითხა:

— შითხარით, როგორ მოხვდით ამ საშინელ წრეში თქვენ, ასეთი რაინდი და ამასთან პოლონელი?

ლუდვიგამ შენიშნა, როგორ აენტო რაიმონდი, და შეშინებულმა, რომ სტეფანიამ კიდევ არ წარმოსთქვას უტაქტო რამე, საინი მუხლებზე დაიღო და ღიმილით სთქვა:

— ახლა ჩვენც შევეუდგებით ვახშამს.

რაიმონდი კარებისკენ გაემართა. სტეფანიამ შეაჩერა.

— შითხარით, რით დაადასტურებთ თქვენი სიტყვების სიმართლეს?

— სტეფა! — შეაჩერა იგი ლუდვიგამ.

რაიმონდი სწრაფად მიტრიალდა და გავიდა.

სტეფანიამ ვერც კი მოასწრო რამდენიმე სიტყვის თქმა ლუდვიგასთვის, რომ რაიმონდი კვლავ შემობრუნდა მოგელნიცკის წერილებით ხელში.



— მე ზჯეოა თქვენი სიტყვა, — სთქვა ლუღვიგამ, როდესაც რაიმონდმა წერილები გაუწოდა.

მაგრამ სტეფანიამ დასტავა წერილებს ხელი და ხარბად გადაიკითხა.

— დედაო ჩენსტობოვის ღვთისმბობელო! ნეტავი მალე გათენდეს ეს ღამე! — წამოიძახა მან და წერილები ლუღვიგას გადასცა.

სირცხვილის აღმური მოედო სახეზე ლუღვიგას, როდესაც ფულზე გადაცვლის ამჟავი ამოიკითხა.

— თქვენ, ერთბაშად წაუყენეთ გრავს პირობა, რომ გადაცვლა თქვენს ამხანაგებზე მომხადრიყო?

— დიახ, თითონ მე დავწერე წერილი.

— შეიძლება გავიგო, რა პასუხი შეუთვალეთ პირველ წინადადებაზე?

— რატომ არა, შეიძლება. შევუთვალეთ, რომ ფულზე არა ვცვლით. ჩვენ ხომ ამხანაგები უნდა გადაგვერჩინა... სხვათა შორის, მათ შორის ღამაჩემაც არის, თვითონ არ ვიცი, რატომ, — დაუმატა რაიმონდმა და გავიდა, ამასთან კარები ნახევრად ღია დასტოვა.

— არის! მოემართე! — დაიძახა პტახამ და ჩამოჰკრა სიმებს.

— აიღე, ოლესია, გიტარა, დავუკრათ ჩვენი საყვარელი, — სთქვა პტახამ და შესწყვიტა თავისი მუსიკალური შესავალი.

ოლესიამ აიღო ხელში გიტარა და ოდნავ ჩამოჰკრა ბანის სიმებს. გაახსენდა პატარა წყალსაქაჩავი მდინარესთან და ის საღამოები, რომლებსაც სამნი ერთად ატარებდნენ. „სად არის ამჟამად საყვარელი მამილო? არც კი იცის, რომ ხვალ უნდა შევხვდეთ. ნეტავი მოხერხდეს!“

— გელი, ოლესია.

გაისმა მწუხარე სიმღერა. იგი ხან მიყუჩდებოდა ხოლმე სადღაც ველში, ბორცვებს უკან, ხან გაძლიერდებოდა, თითქოს ქარმა შორიდან გადმოტყორცნაო. მაგრამ აი ღირიკულ მელოდიაში ერთბაშად და მკვეთრად შეიქრა მზიარული ჰანგი. საზეიმო მარშით მოემართებოდა გაზაფხული, და სანახებში საღამოჟამს ახალგაზრდა ხმები გასძახოდნენ:

Ой там, ой там за Дунаем,

Та за тихим Дун-а-е-м.

სიმღერას მოჰყვა საცეკვაო — ანცი, კეკლუცი პოლონური. ანდრის ყველაფერი გადააფიწყდა. ისეთის გატაცებით უკრავდა, რომ დაკვირის სიმშვენიერემ სტეფანიამდეც მიიღწია.

— კარგად უკრავს... ეს, ალბათ, შენი ანტონია.

ლუღვიგა ტკბებოდა საუცხოო შესრულებით. მუსიკამ მრავალი აზრობა დაუბადა, მიყუჩებული ტკივილი გაუღვიძა.

— რაიმონდ, ერთი შითხარ, ვისთვის ვუკრავ? — აღმფოთდა ანდრი. ლეონი სარას მივარდა.

— ჩაფიქრებულო ქალო!.. ძვირფასო ამხანაგო!.. ხვალინდელი სასიხარულო დღის გამო ნება მიბოძეთ საცეკვაოდ გამოგიწვიოთ.

სარამ ხელები გაასავსავა. ანდრიმ ისევ ჩამოჰკრა სიმებს და კვლავ გაისმა პოლონური.

ოლესიას გიტარა სწრაფი ტემპით აედევნა მანდოლინას, და სარა სა-  
ცეკვაოდ წამოდგა.

ლეონმა ფრთხილად მოჰხვია წელზე ხელი, მაგრამ დაჰკრა ფეხი იატაკს  
და ღონიერი ხელით თავის ირგვლივ შემოატრიალა.

საუცხოო სანახავია, როდესაც ორი ახალგაზრდა და ლამაზი არსება  
ცეკვაობს. რაიმონდი ღიმილით თვალს ადევნებდა მათ მსუბუქ, მოხდენ-  
ილ მოძრაობას.

„მარჯვედ ცეკვაობს ეშმაკი ჩენი“ — შემურდა პტახას.

ფრანცისკა კარებთან იდგა და თვალს ადევნებდა მოცეკვავეთ. იგი  
თვალეზით რაიმონდს შეხვდა და ორივემ უნებურად გაიღიმა, როგორც  
ოდესღაც, პირველი შეხვედრის დროს.

რაიმონდი ერთ წუთს ყოყმანობდა. „სარა ხომ ცეკვაობს“, გაიფიქრა.  
და ერთბაშად ქამარი მოიხსნა, ხმალი და მაუზერი მაგიდაზე დასდო და,  
როგორც ყოველთვის, ოდნავ დარცხვენილი და შეწითლებული ფრან-  
ცისკასთან მივიდა. ამ უკანასკნელმაც დაუფიქრებლად დაადო ხელი მხარ-  
ზე, და ოთახში ახალი წყვილი დატრიალდა.

— გესმის, ლუდვიგა, ცეკვაობენ! ფრანცისკაც ცეკვაობს. — ღია კა-  
რიდან სტეფანია მთელ სასადილო ოთახს ხედავდა. — თურმე ის როდი  
უკრავს. ის ახალგაზრდა, აქ რომ იყო, ფრანცისკასთან ცეკვაობს.

დიდხანს ტრიალებდნენ ახალგაზრდები სასადილო ოთახში. ოლესიამ  
კარგა ხანია მიაგდო გიტარა, გაიძრო ჩუთები და რბილ წულეებში დასრი-  
ალებდა. მარტოდ-მარტო პტახა შეადგენდა გამონაკლისს: რათა საერთო  
შხიარულება არ დარღვეულიყო, იგი იჯდა და უკრავდა. ბოლოს მოთმი-  
ნება გამოელა.

— რა ამბავია?! — შესძახა მან. — მარტო მე უნდა უკრა! ეს ხომ  
უსამართლობაა!

— რას იზამ, ანდრეაშა, ჩვენ ხომ არ ვიცით დაკვრა, — დაუყვირა  
ლეონმა.

— ცოტა კიდევ, ანდრეაშა, ღამე უფრო სწრაფად გაირბენს!

უცებ ანდრი წამოდგა და ყველას გასაოცებლად მეზობელ ოთახში  
გავიდა.

— ვთხოვთ მაპატიოთ, — მიმართა მან თავის ჩვეულებისამებრ დაუ-  
რიდებლად ლუდვიგას. — გამიგონია, რომ ყველა განათლებული კაცი აი-  
ღმაზე უკრავს, — და თითი პიანინოსკენ გაიშვირა, — ასე რომ ვთხოვთ.  
თუ შეგიძლიათ, დაუკრათ ამ თარაღზე პოლონური, თორემ ყველა ცეკ-  
ვაობს და მარტო მე ვუკრავ, — ცოტა არ იყოს, აბნეულად ჩაილაპარაკა  
უკანასკნელი სიტყვები.

მიჰმა ალაღმართლობამ, უბრალოებამ და ბავშურმა სურვილმა მო-  
ხიბლა ლუდვიგა. მწუხარედ გაღიმიებული, მივიდა იგი პიანინოსთან და,  
გაიხსენა რა რახმანინოვის „იტალიური პოლონეზი“, თითები შეახო  
კლავიშებს. და როდესაც ოთახს პირველი ძალუმი ხმები მოედო, პტახა  
სტეფანიასკენ მიბრუნდა და თავისი გაბედული თვალები შეანათა.

— გთხოვთ მაპატიოთ, არა საწყენად, არამედ დღევანდელი მზი-  
არული საღამოსთვის და ხვალინდელი დღისათვის... ასე რომ გთხოვთ  
იცეკვოთ ჩემთან.

ახალგაზრდა და ღონიერი, ჭროლათველებიანი, მოელვარე საუცხოო  
თეთრი კბილებით იღვა იგი ქალის წინაშე. და იმდენი სილამა და მიმ-  
ზიდველი სითამამე იყო ამ ჭაბუკში, რომ სტეფანიამ თავისდა-  
უნებურად და ამავე დროს გულმოსულმა თავის თავზე გადასწყვიტა,  
ხელსაყრელი იქნება მისი განზრახვებისთვის დასთანხმდეს...

მხოლოდ გვიან ღამე ჩამოვარდა სიწყნარე სანადირო სახლში. ყვე-  
ლამ დაიძინა.

ეძინა ლუდვიგას და სიზმარში ეჩვენებოდა, რომ სწორედ ასე უნდა  
მომხდარიყო: სწორედ ამ სახლში, ასეთ უცნაურ ვითარებაში უნდა შეხ-  
ვედროდა იგი ამ ადამიანებს. და რა კარგია, რომ არ შესცდა: ეს  
ადამიანები, რომელთაც ის იცავდა, რომელთაც სიმპატიით ეპყრობოდა,  
მართლაც საუცხოო ხალხი იყო.

ღრმად ეძინათ მძევლებს და მათ მცველებს.

განიერ სკამზე მაგრა ჩასძინებოდათ ერთმანეთს ხელი-ხელ გადახვეულ  
სარასა და ოლვისიას, რომელთაც ანდრიმ მზრუნველობით თავისი ტყავი  
გადააფარა.

თითონ ანდრის, თავქვეშ მკვლავ-ამოდებულს, იატაკზე ეძინა, ლე-  
ონს — მაგიდაზე, ხოლო რაიმონდს — მეორე მერხზე.

პარტიზანებს ეზოში მობეზრდათ ცალ-ცალკე სიარული სახლის  
ირგვლივ: სამივემ საჯინბოში მოიყარა თავი. იქ თბილოდა. ორი მათგანი  
მარხილში მოთავსდა, ხოლო „მანეთ ნახევარი“ სადარაჯოდ გა-  
გზავნეს. „მანეთ ნახევარს“ მოსწყურდა, სახლში შევიდა, იქ კასრი-  
დან, რომელიც დერეფანში იდგა, მთელი კვარტი წყალი დალია, მერე  
ლუმელს მიუჯდა გასათბობად და იქვე ჩაეძინა. მარხილში მყოფ მის  
მოიძედე პარტიზანებსაც შეუმჩნევლად ჩაეძინათ.

ღამე სტეფანია ფეხზე წამოდგა, ქურჭი ჩაიცვა, ბეწვის ქული დაიხურა  
და მეზობელ ოთახში გავიდა. ჩვეულებრივ ასეთი მიმოსვლის დროს დე-  
რეფნის ბოლომდის მძევლებს ერთ-ერთი ქალიშვილი მისდევდა, მაგრამ  
ახლა ყველას ეძინა. სტეფანიამ წყნარად გამოალო დერეფნის კარი — იქ  
ლუმელთან ტკბილად ეძინა ხელებგაშხლართულ პარტიზანს, მისი თოფი  
ქვე კედელზე იყო მიყუდებული. ორიოდ წუთს სტეფანია დერეფანში  
იდგა, შემდეგ ინსტინქტმა ფეხი კარებისკენ გადაადგმევინა. ფრთხილად  
გამოალო კარები. ეზოში არავინ არ იყო. სტეფანია გულის ფანტაზიით  
ეზოში გავიდა, ერთხანს შეჩერდა, ხოლო შემდეგ სწრაფად ჭიშკრისკენ  
გაემართა. თუ შემაჩერებენ, ვიტყვი, რაც მინდა, — ფექრობდა და თან  
გრძნობდა, რა ძლიერად უცემდა გული.

მაგრამ არავის არ შეუჩერებია. აი ეს განაკაფი დამპალი წყლებისკენ  
მიდის. მას სტანისლავთან ერთად არა ერთხელ შემოუვლია აქ ბურახის  
დასალევად.

რაც უფრო შორდებოდა სახლ-კარს, მით უფრო უჩქარებდა ნაბიჯს და, ბოლოს, სირბილით გაემართა, ამასთან არა ერთხელ მოუხდა წაბორძიკება სასაარულოდ უხერხულ ბოტებში. სტეფანიას ჯერ კიდევ არა სჯეროდა, რომ თავისუფალი იყო. როდესაც იგი უკვე ორ კილომეტრზე იყო სანადირო სახლიდან, დალილობა იგრძნო. სირბილი აღარ შეეძლო—გულს დაგა-დუგი გაჰქონდა. მაშინ ბოტები გაიძრო და მაღალქუსლებიან ფეხსაცმელში წავიდა. ბოტები თოვლში დასტოვა.

ერთი საათის შემდეგ ძაღლის ყეფა მოესმა, ხოლო როდესაც სოფელთან მივიდა, შეაჩერა შეძახილმა პოლუნურ ენაზე:

— შეჩერდი! ვინ მოდის?

ლობეზე ორი შეიარაღებული კაცი გადმოხტა. ზარემბას ლეგიონერები იყვნენ.

— ნუ სწუხართ, ბრწყინვალე პანი! ჩემი სერჟანტი ქალაქში ჩაგიყვანო. ქალაქი აქვეა, ახლო. გზა უშიშარია. ჩვენც ეს არის ეხლა მოვედით იქიდან. აბა, გასწი! — დაუქნია ხელი ზარემბამ სერჟანტს.

სერჟანტმა სადავე მოზიდა და ცხენები დასძრა. შემფოთებულმა სტეფანიამ უკან მიიხედა. ზარემბას ესკადრონი სწრაფად გაემშურა სოფლიდან. თენდებოდა.

პიველმა გაიღვიძა „მანეთ ნახევარმა“, რომელიც დერეფანში იწვა. შესცივნოდა, რადგან სტეფანიას მიერ გაღებულ კარს დერეფანი გაეყინა. მისმა შეშინებულმა ყვირილმა: „ბიჭებო, თავს უშველეთ — ლიახები მოვიდნენ!“ — ყველანი გააღვიძა. მეტის თქმა „მანეთ ნახევარმა“ ველარ მოასწრო — ზარემბამ თავში ტყვია დაახალა. რაიმონდი იარაღს მიეარდა.

დერეფანში ლეგიონერები შეიჭრნენ. პტახა კატასავით ფეხზე წამოხტა. ერთის გადახტომით კუთხესთან გაჩდა, სადაც მისი თოფი ეყუდა. მაგიდიდან გადმომხტარ ლეონს ვერაფერი ვერ გაეგო.

პირველ წუთს ვერაფერი ვერ გაიგეს ქალიშვილებმაც. ანდრი კარებს ეცა. გამოალო იგი და უკებ უკან გადახტა, მაგრამ იმავე წუთს კარი მიაჯახუნა. დერეფანში რამდენჯერმე თოფმა დაიგრიალა. ტყვიით რამდენჯანმე გახვრეტილ კარებიდან ნაფოტები ცვიოდა.

ბეწვზე გადარჩა ანდრი სიკვდილს.

ლეონი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. სწრაფად გადააბრუნა შავი და კარებს მიაყუდა. ანდრი ოთახის კუთხიდან კარებს უშენდა ტყვიას.

— უკან! — დაიღრიალა დერეფანში ზარემბამ. — შესწყვიტეთ სროლა! იქ გრაფინიაა. ეშმაკსაც წაუღია თქვენი თავი! უკან!

დერეფანი დაცალიერდა.

— ისეც ჩავიგდებთ მაგათ ხელში. იქ სამი უსუსურია, სროლამ კი შეიძლება გრაფინია იმსხვერპლოს, — უხსნიდა პორუჩიკი ჯარისკაცებს თავისი უკან დახვეის მიზეზს. — ეს ბედასლი რომ არა, — ჰკრა მან ფეხი „მანეთ ნახევრის“ გვამს, — მძინარეებს წავაწყდებოდით. ეხლა კი საფრთხილე გვმართებს.

— რა მოხდა, პან პორუჩიკ? რატომ დაიხიეთ უკან? — ჰკითხა ზარემბას ვლადისლავმა, დაინახა რა ტყისკენ მიმავალი ჯარისკაცები.

— უბრძოლველად უნდა გამოვიტყუოთ. მოასწოროს ძაღლებმა გაღვიძება! — მკვახედ მიუგო ზარემბამ უმცროს მოგელნიცკის.

— თქვენ ხომ უკვე სახლში იყავით? — გაცხარდა ვლადისლავი.

ვლადისლავის კილოთი შეურაცხყოფილმა ზარემბამ ვერ მოითმინა: — მე კი ვიყავ, თქვენო ბრწყინვალეზე, ოთახში, მაგრამ თქვენ, მგონი, იქ არ ბრძანებულხართ? გთხოვთ, თქვენს ოცეულს მიხედოთ და შეურაცხმყოფელ შენიშვნებს ნუ უკეთებთ ჩინით უფროსებს! მე ვიცი, რასაც ვაკეთებ!

გაცოფებულმა ვლადეკმა ხმამაღლებლივ მიატრიალა ცხენი.

— ააფარეთ ფანჯრებს სკამები! — გასცა ბრძანება რაიმონდმა.

ოთახი გაამაგრეს.

რაიმონდი შევარდა იმ ოთახში, სადაც ტყვეები იყვნენ. იქ დაინახა მხოლოდ ფერწასული ლუდვიგა და შემფოთებული ფრანცისკა.

— ღვთის გულისთვის, მითხარით, რა მოხდა? სად არის სტეფანია? — რაიმონდის დანახვისათანავე ჩაიჩურჩულა ლუდვიგამ.

რაიმონდმა სწრაფად თვალი მიმოავლო ოთახს.

— როგორ თუ სად არის? აქ უნდა იყოს!

— აი თურმე რა მომხდარა! გაქცეულა ის გველი, ისა! ძილში დავკარგეთ, რაიმონდ, მე და შენ პატიოსნებაც და სახელიც! — მწუხარებით წარმოსთქვა რაიმონდის უკან მდგომმა პტახამ.

— რას აპირებთ ახლა? — სტაცა ლუდვიგამ პტახას ხელში.

პტახამ ხელი გამოგლიჯა.

— ვიბრძოლებთ უკანასკნელ... დაწეკით იატაკზე, ამ ფანჯრიდან სროლას აუტებს! — დაუყვირა მან ქალებს, — სულ ერთია, ცოცხლები არ დავნებდებით! რაკი დაღუპვაა — ძვირად დავუსვამთ ჩვენ თავს.

და გაშმაგებულმა მძიმე ტახტი დასძრა ფანჯრისაკენ.

— თქვენ რატომ და დარჩით? — ჰკითხა ტურჩების კვანძით რაიმონდმა ლუდვიგას. მის სიტყვებში იმდენი ზიზღი იყო, რომ ლუდვიგას ლახვარით მოხვდა.

— არაფერი არ ვიცოდი მის გაქცევაზე... — ოდნავ გასაგონი ხმით მიუგო ლუდვიგამ.

— პან პორუჩიკ, აქ, საჯინიბოში, ორნი დაიჭირეს! — მოახსენა კაპრალმა ზარემბას და პარტიზანებზე მიუთითა.

ზარემბამ ნიშნულად ჰაერში ხელი გაიჭნია. კაპრალი უსიტყვოდ მიუხვდა.

მაღე გარედან ერთბაში გასროლის ხმა მოისმა. ლეონი და პტახა ფანჯარასთან იდგნენ, თავიანთ საფარს ამოფარებულნი, მზად იყვნენ ტყვიად დაეშინათ ყველა იმისთვის, ვინც მათი მიზნის რკალში მოექცეოდა.

— ეი, თქვენ, არ გაისროლოთ სახლიდან! პორუჩიკ ზარემბას თქვენ-

თან ლაპარაკი უნდა! — შესძახა ვილაცის მკვეთრმა ხმამ ეზოდან დერეფანში.

სახლში სდუმდნენ.

— ყური დამიგდეთ თქვენ, მანდ ჩასაფრებულებო! მე, პორუჩიკი ზარემბა, გამოვზავნილი ვარ აქ პოლკოვნიკ მოველნიცკის მიერ... გესმით თუ არა? — ყვიროდა ეზოდან ზარემბა.

— გვესმის, მერე რაო? — დაუყვირა პშენიჩეკმა.

— წინადადებას გაძლევთ, დაგვენბდეთ!

სახლიდან ხმა არავინ არ გასცა. ქალები, ბრძანებისამებრ, იატაკზე ისხდნენ. რაიმონდს მაუზერიანი ხელი. წინ გაეშვირა და კარებს თვალს ადევნებდა:

— ეი, თქვენ, ვინც მანდა ხართ! ვიმეორებ: წინადადებას გაძლევთ, დაგვენბდეთ! თუ თქვენ მიერ გამოტაცებული გრაფ მოველნიცკის მეუღლე ცოცხალი და უვნებელია, პირობას გაძლევთ სიცოცხლე შეგინარჩუნოთ. თუ არ დაგვენბდებით, არც ერთს არ გაგიშვებთ ცოცხალს გაძლევთ ხუთ წუთს მოსაფიქრებლად!

სახლში კვლავ სდუმდნენ. რაიმონდმა, პტახამ და პშენიჩეკმა ერთმანეთს გადახედეს. ლუდვიგამ ამ გადახედვაზე შეატყო, რომ ისინი არ დანებდებიან. რა დიდხანს გაგრძელდა ეს ხუთი წუთი... სიკვდილი სადღაც მახლობლად, სახლის გარშემო დაძრწოდა, ეძებდა ხერხს სახლში შესაძრომად... და ამ საშინელ მეზობლობას ყველა გრძნობდა...

— ჰეი, თქვენ, გვენბდებით თუ არა?

— დაიკარგე აქედან, ქვემძრომო! ვიბრძოლებთ უკანასკნელ წუთამდე! გაუმარჯოს კომუნას! — აღვზნებით წამოიძახა პტახამ.

ეზოში, ეტყობოდა, თათბირობდნენ. შემდეგ ზარემბამ დაიძახა:

— უკანასკნელად გეკითხებით, გვენბდებით თუ არა? სახლს მთელი ვსკადრონი არტყია. ცოცხალი აქაურობას ვარავინ დააღწევს თავს. დაგვენბდით, სანამ არ გადავიფიქრებ. ჯანდაბას თქვენი თავი, პირობას გაძლევთ, გაგიშვებთ ოთხივ მხარეს, ოღონდ დაგვენბდით და გრაფინია გამოუშვით!

სახლში მყოფებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ დაუჯერებს მაგათ? — ყრუდ ჩაილაპარაკა პტახამ.

ლუდვიგა იატაკიდან წამოდგა.

— ნება მომეცით, გამოველაპარაკო მაგ ოფიცერს და უსათუოდ თავისუფლებას გამოვითხოვ თქვენთვის. გაძლევთ პატიოსან სიტყვას იმ ადამიანისას, რომელიც პატივსა გცემთ თქვენ, რომ არ მოგატყუებთ. ხომ ხედავთ, რომ წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლოა. ამოგწყვეტავენ. გევედრებით, პან რაევსკი, — მიმართა მან რაიმონდს და უფრო შეტად აღელდა სიტყვა „პანის“ წარმოთქმის დროს. რაიმონდმა, გულმოკლულმა და მოღუშულმა, არც კი შეხედა.

— პანი გრაფიანიას შეიძლება დაუჯეროთ. გრაფინია საუცხოო ადამიანია, არა ჰგავს პანი სტეფანიას, — მოულოდნელად დაუჭირა მხარი.

ლუდვიგას ფრინცისკამ. — იგი გრაფებს შორის ყველაზე პატიოსანი და კეთილია.

პტახა ერთხანს დააშტერდა ლუდვიგას. ამ უკანასკნელმა ალალ-მართალი თვალთ გასცა პასუხი.

— დეე გამოელაპარაკოს. ვნახავთ, საით გაიწევს, — განაცხადა ბოლოს თანხმობა პტახამ.

წინააღმდეგ არავის არაფერი უთქვამს. მდგომარეობის უმწეობა ყველასთვის ცხადი იყო.

— გამოელაპარაკეთ! — დასთანხმდა რაიმონდიც.

— პან ზარემბა, გელაპარაკებით მე — ლუდვიგა მოგელნიცკაია!

— ცოცხალი ბრძანდებით, ბრწყინვალე პანი? ნუ სწუხართ, ამ წუთში გაგანთავისუფლებთ! — უყვიროდა ზარემბა.

— ცოცხალი და ჯანმრთელი ვარ. პირობას მაძლევთ, პან პორუჩიკ, — ჰკითხა ლუდვიგამ, — რომ გაუშვებთ და არ დააკავებთ ყველა აქ მყოფს? ზაშინ ისინი უბრძოლველად დაგნებდებიან...

— გავუშვებ. დეე დაგვებდნენ.

— იძლევიტ აზნაურისა და ოფიცრის სიტყვას? მე თქვენ მაგიერ პატიოსანი სიტყვა მიფეცი ამათ. ხომ არ შევარცხვენთ უპატიოსნო საქციელით? მითხარით პირდაპირ.

— დეე დაგვებდნენ და ოთხივ მხარეს გავუშვებ.

— მჯერა თქვენი პატიოსნება, პან ზარემბა, და ვთხოვ აქ მყოფთ დაგვებდნენ.

ლუდვიგა რაიმონდს მიუბრუნდა:

— ვიცნობ ზარემბას — აზნაურთა ძველ გვარს ეკუთვნის. აასრულებს თავის სიტყვას. დაჰყარეთ ხარალი და იგი გაგიშვებთ — მჯერა ეს! — ვედრებით ამბობდა ლუდვიგა.

— რას იტყვი, სარა? — ჰკითხა რაიმონდმა და იატაკზე მჯდომ ქალისკენ დაიხარა.

— მოგვატყუებენ, რაიმონდ... სირცხვილი, სირცხვილი! რა ჩავიდინეთ! — მიუგო სარამ და თან სასოწარკვეთილი თითებს იმტვრევდა.

— არა, მოტყუებას ვერ გაბედავენ. მე დაგიცავთ, — არწმუნებდა ლუდვიგა სარას.

მცირე თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, დამორჩილებოდნენ. პირველი პტახა გავიდა აივანზე. იგი ერთბაშად წააწყდა კოჭლი პარტიზანის გვამს. და ახალგაზრდამ პირველად იგრძნო შიში.

სახლი შემორტყმული იყო ჯარისკაცებით. აივანთან რევოლვერით ხელში ზარემბა იდგა. პტახამ თვალბში შეხედა და მიჰხვდა, რომ ამ ეზოს ვერ გასცდებიან. შეებრაღა თავისი თავი.

უკანასკნელად ქალები გავიდნენ, მათ შორის ლუდვიგა. გარეთ ერთბაშად შეუდგნენ მამაკაცების ჩხრეკას. რამდენიმე ჯარისკაცი სახლში შევარდა იარაღისთვის.

— მოგილოცავთ, გრაფინია, ბედნიერად გადაჩინას! — გამოეჭიმა ზარემბა ლუდვიგას, თან ხელი ქულზე მიიღო, ფეხი ფეხს შემოჰკრა და დეზები ააწკარუნა.

— დღე მშვიდობისა, პენ ზარემბა! — ჩამოართვა ლუდვიგამ ხელი.

— წაიყვანეთ ესენი აქედან! — უბრძანა ზარემბამ ჯარისკაცებს და ლუდვიგას მიუბრუნდა: — მითხარით, როგორ გექცეოდნენ ეს არამზადები?

— კარგად. მაგათ ხომ ამ წუთშივე გაანთავისუფლებთ?

ზარემბამ ზიზლით ჩაიხითხითა.

— ღირს კი ამ ბინძურებზე ლაპარაკი! მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი ბრძანდებით! პან პოლკოვნიკს მთელ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. წამოპრძანდით, მარხილამდე მივაცილებთ. პან ვლადისლავიც აქ არის. ცოტა შეველაპარაკდით... — სთქვა ზარემბამ და მკლავი გაუწოდა.

— პან ზარემბა, მე მინდა, რომ ესენი ჩემ თვალწინ გაანთავისუფლოთ. მე, რასაკვირველია, მჯერა, რომ სიტყვას არ გადაუხვევთ, მაგრამ ამათ მე დამიჯერეს და ეს ვალდებულებას მაკისრებს, — სთქვა ლუდვიგამ უკვე შემოფოთებული ხმით.

— რომელ სიტყვაზე ბრძანებთ? დახმარება აღმოგვიჩინეთ და ამისთვის მადლობას მოგახსენებთ. მაგრამ ომში, თქვენო ბრწყინვალეებო, პატიოსანი სიტყვა არ არის, არიან მხოლოდ დამარცხებულნი და გამარჯვებულნი.

თითქოს ამ აზრების დასადასტურებლად ერთმა ჯარისკაცმა თოფის კონდახი წაჰკრა ზურგში ოლესიას.

— გადადგი ფეხი, გეუბნებიან შენ! — უჯავრდებოდა იგი ქალოშვილს, რომელსაც არ უნდოდა განშორებოდა სხვებს.

ოლესია წაიქცა. პტახა ჯარისკაცს მივარდა.

— არ გაბედო ცემა! — დაუყვირა მან.

სერჟანტმა კობილსკიმ ისე მაგრა ჩაჰკრა სახეში კონდახი ანდრის, რომ იგი მიწაზე გაიშხლართა.

— მაშ ეს არის თქვენი პატიოსნება, მკვლელობო! — შეჰკივლა სარამ.

ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მათრახი გადაუჭირა სახეზე ქალს. რაიმონდმა ხელი ჰკრა ჯარისკაცს, რომელიც წინ ედგა, და სარას დასახმარებლად გადახტა. ზარემბამ რევოლვერი დაახალა, მაგრამ ტყვით ააცდინა. სეცვასავით დააყარეს რაიმონდს: სცემდნენ კონდახებით, მათრახებით... გადახტა ამხანაგის მისაშველებლად უიარაღო ლეონიც.

ამ აურზაურის დროს ჟანდარმის სერჟანტმა კობილსკიმ და ორმა ჟანდარმმა ხელი სტაცეს ფეხზე წამომდგარ ოლესიას და საჯინიბოსკენ წაათრიეს. ფრანცისკა უკან დაედევნა მათ.

— სად მიათრევთ, თქვე საზიზღრებო, თქვენა? პანი გრაფინია, მოხედეთ, გადაარჩინეთ! — ყვიროდა ფრანცისკა ყოველივე მომხდარისაგან გონება-აბნეული. იგი არ უშვებდა ოლესიას.

— ზარემბა, შეაჩერეთ ეს საშინელება! მეზიზღებით, პან ზარემბა! საძაგელი კაცი ყოფილხართ!.. — შეჰყვირა ლუდვიგამ.



პორუჩიკის სახეს აღმური მოედო.

— ხელი უშვით! დაიკავეთ, ძაღლებო, თქვენ თქვენი ადგილი! — დაი-  
ღრიალა ზარემბამ. — კობილსკი, გეუბნებით, თავი გაანებეთ მაგ გოგოს!

ჯარისკაცებმა შეაჩერეს ცემა და ხელი ნაბიჯით განზე ვადგნენ. კან-  
დარმებმა გაანთავისუფლეს ოლესია. მათრახისაგან დაჩნეული წითელი  
ზოლები სარისა და რაიმონდის სახეზე, სისხლი უძრავად გაშხლართულ  
პტახას სახეზე და ყოველივე ერთი წამის წინათ მომხარი ლუდვიგას ჯო-  
ჯოხეთად ეჩვენებოდა. სისხლში მოსვრილი პტახა შეინძრა. გონს ძოვიდა.  
მტრალი ლუდვიგა მისკენ დაიხარა. უშველა ფეხზე ადგომა. პტახა ტორ-  
ტმანით წამოდგა, ველური მძულვარებით ლუდვიგას შეხედა, დახეთქილი  
ტუჩები ოდნავ აატოკა და, ხველისაგან აკანკალებულმა, სამი ვასისხლი-  
ანებული კბილი ხელისგულზე ამოახველა.

— წავიდეთ, გრაფინია. აქ თქვენი ადგილი არ არის, — მშრალად  
სთქვა ზარემბამ.

— ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამ აქედან, სანამ ამათ არ გაანთავი-  
სუფლებთ! — სთქვა ლუდვიგამ და პირი მიიბრუნა.

— გთხოვთ, ბრწყინვალე პანი, მიატოვოთ ეს ადგილი. მარხილი გიც-  
დით. ამათ კი კანონის მიხედვით მოვეპყრობით, — უფრო მშრალად სთქვა  
ზარემბამ.

ლუდვიგამ უკმეხად ზურგი შეუბრუნა. ზარემბამ ისეთი ზიზლი ამო-  
კითხა მის თვალებში, რომ უხერხულად იგრძნო თავი.

— ზარემბა, თქვენ საზიზლარი კაცი ხართ! მაგრამ იცოდეთ, თუ ამათ  
გან ვინმეს მოჰკლავთ, გეფიცებით, სიცოცხლეს მოვისპობ!

ზარემბა მიხვდა, რომ ლუდვიგა ნათქვამს არ გადაუხვევს.

— გაძლევთ, გრაფინია, აზნაურის სიტყვას, — მიუგო მან, — რომ  
არავის არ დავხვრეტავ. განთავისუფლება კი არ შემიძლია, უფლება არა  
მაქვს.

ჯარისკაცებით გარსშემორტყმულნი მჭიდრო ჯგუფად მიდიოდნენ.  
პტახას კვლავ ახველებდა და სისხლი ამოჰქონდა, რომელიც წითელ წინ-  
წყლებად რჩებოდა თოვლზე. შეპყრობილებს აღარ სცემდნენ, რად-  
გან უკან მარხილი მისდევდათ. მარხილში განაწამები, გულგამოფიტული  
ლუდვიგა იჯდა. აღშფოთებული, გულჩათხრობილი ფრანცისკა ჯარის-  
კაცს გვერდით ეჯდა.

— გაწუხებს, გტკივა, ანდრიუშა? — წყნარად ჰკითხა რაიმონდმა პტა-  
ხას და მისი მკლავი მკერდზე მიიკრა — ხელგაყრილნი მიდიოდნენ. პტა-  
ხა ძალზე დასუსტებული იყო.

— გაგვეპარა, რაიმონდ, პატროსნება ძილში! კბილები კი სამართალი-  
ანად ჩამიმტვრიეს, რათა ვიცოდეთ ვისთან უნდა ვიცეკვო!..

თარგმანი ილია აგლაძისა.

ნ. ოსტროვსკის რომანის ეს ნაწყვეტი გადმოთარგმნილია „ოგონიოკ“-ის ბიბ-  
ლიოთეკის მიერ 1936 წელს გამოცემულ წიგნაიდან (იხ. „ოგონიოკ“-ის ბიბლიო-  
თეკა № 58, 1936 წ.).

პ. ბარჰნი, ფრ. მნავლნი.

ბალჯაკი, შატოპარიანი, ბეკი

დაწყებული № 2-დან „ჩვენი თაობის“ რედაქტორის სისტემატიურად მოათავსებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების — მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის წერილებს (ამონაწერებს) ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე.

ბალჯაკი

ძვირფასო მის გარკნეს, გმადლობთ, რომ თქვენ გამომიგზავნეთ თქვენი „ქალაქელი ქალიშვილი“ ბატონ ვიზეტელის ხელით.

მოთხრობა მე დიდი სიამოვნებით და სიხარბით წავიკითხე. ეს მართლაც, როგორც ჩემი მეგობარი ეირგოფი, თქვენი მთარგმნელი, ამბობს, ხელოვნების პატარა ნაწარმოებია. ამას ის უმატებს (რაც თქვენ დაგაკმაყოფილებთ), რომ ის სიტყვა-სიტყვით უნდა ითარგმნოს იმიტომ, რომ ყოველივე გამოტოვებული ადგილი ან შეცვლილი რამ მას გააფუჭებს და ორიგინალის ღირებულებას შელახავს.

რაც მე განსაკუთრებით მხედება თვალში თქვენს მოთხრობაში რეალურ სიმართლესთან ერთად, ეს ისაა, რომ თქვენ ნამდვილი მხატვრის გამბედაობას იჩენთ. არა მარტო თქვენს ახსნაგანმარტებაში, რომელიც „დამხსნელ არმიას“ შეეხება და რაც თვითკმაყოფილ მეშხანობის შეხედულებებს სრულიად არ ეთანხმება, იმ მეშხანების, რომლებიც შეიძლება პირველად თქვენი მოთხრობიდან გებულობენ, თუ რატომ აქვს „ხსნის არმიას“ ასეთი დასაყრდენი საფუძველი მასსებში: არა მარტო ამაში ისაიტება ეს გამბედაობა, არამედ უმთავრესად იმ შეუფერავ ფორმაში, რომლითაც თქვენ მთელი მოთხრობის ფუძე შეგიმოსავთ — პროლეტარული ქალიშვილის ძველის-ძველი ისტორია — მისი შეცდენა შუათანა კლასიდან გამოსული კაცის მიერ. საშუალო ნიჭის ხალხი შეეცდებოდა ფაბულის შაბლონური ხასიათი დაეფარა ხელოვნურად გამზადებულ-გამშვენიერებულ დეტალების დაგროვებით და მით არა ნაკლებ იქნებოდა ეს გამოცნობილი. თქვენ კი გიჯრძენიათ, რომ შეგიძლიათ მოგვითხროთ ძვე-

ლი ისტორია, იმიტომ რომ ძალგდით განაახლოთ იგი გადმოცემის სიშარ-  
თლით.

თქვენი — „ოსტატი არტურ გრანტი“ — შედეგია.

თუ რისიმე გაკრიტიკება შემიძლია, ეს მხოლოდ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მოთხრობა საკმაოდ რეალისტური არაა. ჩემი აზრით რეალიზმი ჰულისხმობს დეტალების სინამდვილის გარდა ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოებაში გადმოცემის სისწორეს. თქვენი ხასიათები საკმაოდ ტიპურია იმ ფარგლებში, რომლებშიაც თქვენ მიერ არის მოცემული, მაგრამ იგივე არ ითქმის გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათ გარს არტყიათ და მათ ამოქმედებენ.

„ქალაქელ ქალიშვილში“ მუშათა კლასი გამოყვანილია, როგორც პასიური მასა, რომელიც თავის დახსნის ნიჭს მოკლებულია და არც კი ცდილობს თავს უშველოს. ყოველნაირი ცდა, რომ ის გამოყვანილ იქნას დამაჩლუნგებელ სილატაკიდან, გამოდის გარედან და ზემდგომ კლასებიდან (და მართალიც არის, რომ ეს კლასი ყველაზე უღარიბესია, ყველაზე დატანჯული, ყველაზე მრავალრიცხოვანი, როგორც ამას სენსიმონი ამბობს. უღარიბესია ის და დამცირებულ კლასია, როგორც ამბობს რობერტ ოუენი). მაგრამ ასეთი აღწერა თუ სწორი იყო 1800 — 1810 წ.წ. სენ-სიმონის და რობერტ ოუენის დროისათვის ეს ასე არ არის 1887 წ. იმ კაცისათვის, რომელსაც პატივი ჰქონდა დაახლოებით 50 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიეღო პროლეტარიატის ბრძოლებში და რომელიც ყოველ ჟამს ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება უნდა გახდეს თვითონ მუშათა კლასის საქმე. მუშათა კლასის რევოლუციური წინააღმდეგობა მის დამჩაგვრელ გარემოსთან, მისი მრისხანე ცდები — ნახევრად და მთლიანად შეგნებული, — რომ მოიპოვოს ადამიანური უფლებები, არიან ნაწილი ისტორიისა და შეუძლიათ მოითხოვონ ადგილი დაიკავონ რეალიზმის სფეროში.

მე არ ვფიქრობ, რომ დანაშაულობად ჩავითვალოთ ის, რომ თქვენ არ დაწერეთ სოციალისტური მოთხრობა, „ტენდენციური რომანი“, როგორც ჩვენ, გერმანელები ვამბობთ, რომელშიაც ნაქებ-ნადიდები იქნებოდა ავტორის პოლიტიკური და სოციალისტური იდეები. ეს სულაც არაა ის, რასაც მე ვფიქრობ. რამდენადაც უფრო დაფარულია ავტორის შეხედულებები, იმდენად ეს უკეთესია ხელოვნების ნაწარმოებისათვის. რეალიზმი, რომელიც მე მხედველობაში მაქვს, შელავნდება ავტორის შეხედულებების მიუხედავად.

ნება მომეცით, მოვაყვანო ერთი მაგალითი. ბალზაკი, რომელსაც მე გაცილებით უფრო დიდ მხატვარ-რეალისტად ვთვლი, ვიდრე ყველა ზოლას, როგორც წარსულისა და აწმყობისას, ისე მომავალსაც, თავის „ადამიანურ კომედიაში“ გვაძლევს ჩვენ თვით უშესანიშნავეს რეალურ ისტორიას საფრანგეთის „საზოგადოებისას“, აგვიწერს რა ზნე-ჩვეულებათა ქრონიკას წლიდან წლამდე, 1816-1848 წლამდე, სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ დაწოლას ზენამომდგარ ბურჟუაზიისას აზნაურულ საზო-

გადოებზე, რომელიც 1815 წლიდან წელში გაიმართა და ასევე რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ლამობდა ძველი ფრანგული პოლიტიკის დროშა აღედგინა. ის აგვიწერს, მისი აზრით ამ სამავალითო საზოგადოების უკანასკნელი ნაშთებია თუ როგორ თანდათან დაიღუპნენ ვიგინდარა, მაგრამ ფულიანი მეტიჩარების მედგარი შემოტევით ანდა მათ მიერ ისინი როგორ გაირყვნენ. აგვიწერს, თუ grande dame-ი, რომლის ცოლ-ქმრული ღალატი საშუალება იყო თავდაცვისა, რაც სრულიად შესაბამებოდა იმ მდგომარეობას, რაც მას მიჩენილი ჰქონდა ქორწინებით, ეხლა როგორ უთმობს ადგილს ბურჟუაზიულ ქალს, რომელიც ქმარს ფულისთვის ან და სამკაულებისათვის შოულობს. ამ ცენტრალურ ფიგურის გარშემო უყრის თავს ის მთელი ფრანგული საზოგადოების ისტორიას; საიდანაც მე უფრო მეტი ვაგვივ მისგან ეკონომიური დეტალების მხრით (მაგალითად, როგორია რეალურად კერძო საკუთრების გადაწილება რევოლუციის შემდგომ), ვიდრე ამ პერიოდის ყველა პროფესიულ ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების წიგნებიდან ერთად მართალია, პოლიტიკურად ბალზაკი ლეგიტიმისტი იყო, მისი დიდებული ნაწარმოები — ეს გამუდმებული ელევგიაა მაღალი საზოგადოებას შეუჩერებელი რღვევისა.

მისი სიმპატიები გადაშენების გზაზე დამდგარი კლასის მხარეზეა. მაგრამ ამასთან ერთად მისი სატირა ისე ბასრი, მისი ირონია ისე მწარე არასოდეს არ ყოფილა, როგორც მაშინ, როცა ის ამოქმედებს არისტოკრატ მამაკაცებს და ქალებს, რომელთაც ის ღრმად თანაუგრძნობს. ერთადერთი ხალხი, რომლებზედაც ის დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობს, ეს მისი ყველაზე უარესი, ყველაზე გააფრთხილებული მოწინააღმდეგეებია, რესპუბლიკანური გმირებია Cloître Saint Herri-ის ის ხალხია, რომლებიც იმ დროს (1830-36 წ. წ.) მართლაც ხალხური მასების წარმომადგენლები იყვნენ. ბალზაკი იძულებული იყო თავისი საკუთარი კლასობრივი სიმპატიების და პოლიტიკურ ცრუმორწმუნების წინააღმდეგ წასულიყო, ის ხედავდა თავისი საყვარელი არისტოკრატის დაცემის აუცილებლობას და აგვიწერდა მათ, როგორც ხალხს, რომლებიც უკეთესი ბედის ღირსნი არც არიან, ის ხედავდა მომავლის ნამდვილ ხალხს იქ, სადაც კი ამ დროს მათი პოვნა შეუძლებოდა. ყოველივე ამას მე რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად ვთვლი, ეს მოხუც ბალზაკის ერთი უდიდესი განსაკუთრებული თვისებათაგანია.

მე აქ თქვენდა სასარგებლოდ უნდა ვაღიარო, რომ არსად განათლებულ ქვეყანაში მუშათა კლასი არ იჩენს ისე მკვირვ აქტიურ წინააღმდეგობას, ბედისადმი ისე პასიურად დამორჩილებას, ისეთს დაბეჩავენას, როგორც ეს ლონდონის ინსტენდში არის. და აღარ ვიცი: გქონდათ თქვენ საკმაო საბუთი იმისი თუ არა, რომ მუშათა კლასის ცხოვრების მართლ პასიური მხარის გამოხატვით დაკმაყოფილებულიყავით, ხოლო ამ ცხოვრების აქტიურ მხარის დახატვა მეორე ნაწარმოებისათვის გადაგედოთ?.

ფრ. ვნგელსი

.... ასე, ბალზაკი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ყოველი მხარე და ელფერი სიძუნწისა, გვიხატავს მოხუც მეფახშეს — გობსეკს ბავშვურ განწყობილებაში ჩავარდნილს იმ პერიოდში, როცა ის მის მიერ დაგროვილი საქონლის შეკრებას იწყებს თავის საწყობებში...

კ. შარქსი

... თავის უკანასკნელ რომანში „გლებები“ ბალზაკი, რომელიც რეალურ ურთიერთობათა უღრმესად გაგებაში საერთოდ შესანიშნავია, ზედმიწევნით გვიხატავს, თუ გლებკაცი როგორ ასრულებს მუქთად მე-  
ვანშის ყველა სამუშაოებს, რომ ის მეფახშეს არავითარ საჩუქარს არ აძლევს, რადგან მისი საკუთარი შრომა მას არაფრად უღირს. მეფახშე-  
კი თავის მხრივ ჰკლავს თავისთვის ერთბაშად ორ კურდღელს: ის თავი-  
სუფლდება სამუშაო ქირის გაღებისაგან და სულ უფრო და უფრო ხვევს  
თავის სავანშო ბაღეში გლებკაცს, რომელიც სულ უფრო და უფრო  
სწრაფად კოტრდება და ლატაკდება საკუთარ სამუშაოზე ხელის აღებით.

კ. შარქსი

...ბარემაც ბალზაკზე: გირჩევ წაიკითხო მისი „უცნობი შედეგები“  
და „შერიგებული მელმოტი“. ეს ორი პატარა შედეგებია, რომლებიც  
სავსენი არიან მშვენიერი ირონიით.

შარქსის წერილი ენგელსისადმი 1867 წ. 25 თებერვალს.

### შ ა ტ ო ბ რ ი ა ნ ი

... საერთოდ მე ვკითხულობ სენტ-ბეოვის წიგნს შატობრიანზე, იმ  
მწერალზე, რომელიც ჩემში ყოველთვის უარყოფით გრძნობას იწვევდა,  
თუ ეს კაცი საფრანგეთში ასე სახელოვანი გახდა, ეს იმიტომ, რომ ის  
ყოველმხრივ წარმოადგენს ფრანგული ცრუ-მედიდურობის კლასიკურ  
განხორციელებას და მასთან ამაოებას არა მე-18 საუკუნის მსუბუქ სამო-  
სელში გახვეულს, არამედ რომანტიკულად შეფერილს და ახალ გამო-  
ცხვარ გამოთქმებით განდიდებულს. აქაა ყალბი სიღრმე, ბიზანტიური  
გაზვიადება, გრძნობებით პრანჭიობა, ჭრელი ქამელეონობა, სიტყვიერი  
მხატვრობა, მაღალფარდოვანება, ერთი სიტყვით — ცრუ ნარევი, რომ-  
ლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა არასოდეს არც ფორმით და არც შინა-  
არსით.

შარქსის წერილი ენგელსისადმი 1873 წ. 29 ნოემბერს.

ძვირფასო ფრიდრიხ!

ისპანის სანაგვეების შესწავლის დროს მე წავეწყდი პატივცემულ შა-  
ტობრიანს! ამ ოქროპირს, რომელიც გულშემოსაყრელად ერთმანეთში  
ჟრღვეს არისტოკრატიულ სკეპტიციზმს მე-18 საუკუნის ვოლტერიანობა-

ში, არისტოკრატიულ სანტიმენტალიზმს მე-19 საუკუნის რომანტიზმში. ცხადია, საფრანგეთში ამ ნარეცს როგორც სტილს ეპოქა უნდა შეექმნა, თუმცა თვით სტილში, მიუხედავად ყველა არტისტული ხერხების გამოყენებისა, სიყალბე თვალში გცემს. რაიცა შეეხება პოლიტიკას, ამ ვაჟბატონმა თვითონვე გამოამჟღავნა თავისი თავი თავის „ვერონის კონგრესზე“-ში და კითხვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, ღებულობდა ის ნაღდ ფულს ალექსანდრე პავლოვიჩისაგან (ალექსანდრე პირველისაგან) თუ მოსყიდული იყო ეს უბრალო შექებით, რაც ისე არავის იზიდავდა, როგორც ამ თვითკმაყოფილ ყვავს? ყოველ შემთხვევაში მან მიიღო პეტერბურგიდან ანდრიას სახელობის ორდენი. ბატონ „ვიკონტის“ (?) ცრუდიდება მას მოსვენებას არ აძლევდა, მიუხედავად იმისა, რომ ის ხან შეფისტოფლურად, ხან კი ქრისტიანულად ეარშიყება „ამაოთა ამაოებას“. შენ იცი, რომ კონგრესის ხანებში ვილელი ლუდოვიკო მე-18-ს პრემიერ-მინისტრი იყო, ხოლო შატობრიანი საფრანგეთის ელჩად იყო დანიშნული ვერონაში. თავის „ვერონის კონგრესზე“, რომელიც შენ შეიძლება წაკითხულიც გაქვს, ის გვაცნობს დოკუმენტებს, კამათის მსვლელობასა და სხვა. ის იწყებს ესპანეთის რევოლუციის — 1820-დან 1823 წლებამდე — მოკლე ისტორიას. რაც შეეხება ამ ისტორიას, უნდა აღინიშნოს, რომ მადრიდს ის ათავსებს მდინარე ტახოზე მხოლოდ იმიტომ, რომ ესპანური თქმულება მოიყვანოს, სადაც ამ მდინარეს ოქრო მოაქვს და იქ ამბობს, რომ რიეგო, რომელიც წინამძღოლობდა ათი ათას კაცს (ნამდვილად კი იყო 5.000) და რომელიც დაიძრა გენერალ ფრეიხის შესახვედრად, რომლის სარდლობის ქვეშ იმყოფებოდა 13.000 კაცი, დამარცხებული იქნა და მან უკან დაიხია 15.000 კაცით. სერა დე რანდას ნაცვლად ის მას გზავნის სიერა მორენაში, რომ მას (ავტორს) საშუალება მიეცეს შეადაროს ის მანჩელ გმირს. მომყავს ეს გაკვრით, რომ მისი წერის მანერა დავახასიათო. თითქმის არც ერთი თარიღი სწორი არაა.

კ. შარქის წერილი ენგელსისადმი 1854 წ. 28 ოქტომბერს.

### კარლ ბეკი

მე ვარ ველური უადვირო, უღვთო სულთანი,  
ჩემ სიმღერათა მრისხანება ყველას აოცებს,  
და ჩემს სახესე იღუმალი წვის ნაოჭები  
დაკეცა უხვად სულთანისა თავსაბურავმა.

ასეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით ჩადგა ბ. ბეკი გერმანელ პოეტების რიგში. გამოხედვა მისი — მოწოდების სიამაყის გრძნობას მოწმობს: მის ბაგეთა ირგვლივ მსოფლიო სევდის თანამედროვე ნაოჭებია და ასე გაიშვირა მან ხელი დაფნის გვირგვინის მისაღებად. მას შემდეგ გავიდა ორი წელიწადი; დაფარა თუ ვერა გვირგვინმა შემარიგებლად მისი უბნლის „იღუმალი ნაოჭები?“

მისი ლექსების პირველი კრებული დიდი რიხით არის გამსჭვალული. „რკინის სიმღერები“, „ახალი ბიბლია“, „ქაბუკი პალესტინა“ — ოცი წლის პოეტი სკოლის სკამიდანვე გაექანა პირდაპირ ცისაკენ; მის ლექსებში დაინთო აქამდე არნახული ცეცხლი; მართალია, ეს ცეცხლი ხშირად აკვამლებდა, რადგან ის გამოდიოდა ჯერ ისევ სრულიად მწვანე და ნედლი ხიდან.

ახალგაზრდა ლიტერატურა მეტისმეტი სისწრაფით და ბრწყინვალედ განვითარდა და მოპირდაპირებმაც გაიგეს, რომ ქედმაღლური დაწუნება ანუ „კონდაკური“ დაგმობა უფრო მეტს დააკარგვინებს მათ, ვიდრე მოაგებინებს. მოუხდათ უფრო მეტი გულმოდგინებით ჩაკვირებოდნენ მათ და ეჩვენებიათ მათთვის ნამდვილად სუსტი ადგილები. მაგრამ ამით უკვე აღიარებულ იქნა ახალგაზრდა ლიტერატურის არსებობის უფლება. მალე იქნა აღმოჩენილი საკმაო ბლომად ასეთი სუსტი მხარეები — ნამდვილი თუ მოჩვენებითი — ეს ჩვენთვის სულ ერთია. ყველაზე ხმამაღლა იმაზე ყვიროდენ, რომ ყოფილ „ახალგაზრდა გერმანია“-ს სურს ლირიკის მოსპობა. ჰენე მართლაც ებრძოდა შვაბებს; ვინბარგმა გესლიანად გააკრიტიკა ლირიკის ყოველდღიურობა და მისი მუდმივ გამეორებული ვადამღერება; მუნდტი სულ უარყოფდა ლირიკას დროების შეუფერებლობისათვის და ლიტერატურის მხსნელად წინასწარმეტყველებდა პროზის მოსვლას. ეს კი მეტისმეტი იყო. ჩვენ, გერმანელები უხსოვარი დროიდან ვამაყობთ ჩვენი სიმღერებით. თუ ფრანგებს თავი მოაქვთ თავისი თავისუფლების ხარტიის დამოუკიდებლად დაპყრობით და დასცინიან ჩვენს ცენზურას, ჩვენ სამაგიეროდ ამაყად ვუთითებდით ფილოსოფიაზე კანტიდან დაწყებული და გათავებული ჰეგელით და მთელ რიგ მომღერლებზე, დაწყებული „სიმღერები ლიუდვიგზე“-თი და დამთავრებული თვით ნიკოლოზ ლენაუთი. ნუთუ ლირიკის ეს განქეულობა დღეს ჩვენთვის უნდა დაღუპულიყო? და აი ჩნდება „ახალგაზრდა ლიტერატურის“ ლირიკა ფრანც დინგელ შტედტით, ერნსტ ფონდერ გაიდეთი, ტეოდორე კრეიციენარით და კარლ ბეკით.

ფრეილიგრატის ლექსების გამოქვეყნებამდე ცოტა ადრე გამოჩნდა ბეკის „ღამეები“. ცნობილია, თუ როგორი ყურადღება მიიქცია ლექსების ორივე ამ კრებულმა. გამოჩნდა ორი ახალგაზრდა ლირიკოსი, რომელთა გვერდზე არც ერთი სხვა ლირიკოსის — „ახალგაზრდებიდან“ — დაყენება არ შეიძლებოდა. „ელეგანტურ გაზეთში“ კიუნემ თავისი ჩვეულებრივი „დამახასიათებელი“ მანერით გაატარა პარალელი ბეკსა და ფრეილიგრატს შორის. მის კრიტიკას მე მივუყენებდი ვინბარგის სიტყვებს, რომლებიც მან წარმოსთქვა პ. პფიცერის თაობაზე.

„ღამეები“ ეს — ქაოსია. ყველაფერი აქრელებულია და უწყისრთოდ არის არეულდარეული. სურათები ხშირად გაბედულია, თითქო სალკლდეთა იშვიათი ფორმაციებია; მომავალი ცხოვრების ნასახები კი ფრაზების ზღვაშია ჩამღრჩვალი, აქა-იქ იწყებს ყვავილი ზრდას, ილეკება ხმელეთად და ჩნდება ბროლისკა /ო ფენა. მაგრამ ყველაფერში ჯერ

კიდევ გამეფებულია დაბნეულობა და უწყსრივობა. სიტყვები, რომლებიც  
-აც ბეკს უნდა ბერნე დაახასიათოს, მას თვითონ უფრო მიუღდება:

ვით სახეები მოელვარე, მიჰქრიან სწრაფად  
გაბოროტებულ, სიცხიან თავში.

ბეკის შიერ დახატული სახე პირველ მის ცდში ბერნეზე, სრულიად  
დამახინჯებულია და არასწორია. ამასთან მხედველობიდან გასაშვები  
არაა ის გარემოება, რომ მას ემჩნევა კიუნეს გავლენა.

გარდა ამისა არასდროს ბერნე თავის დღეში არ იტყოდა და არ იხ-  
მარდა ასეთს ფრაზებს, მან არ იცოდა აგრეთვე, რა იყო ეს საშინელი  
მსოფლიო სევდა, რომელსაც ბეკი მას აწერს.

ნუთუ ეს ის ნათელი ბერნეა, ძლიერი, შეუღრეკელი ხასიათით, რომ-  
ლის სიყვარული ათბობდა და არა სწვავდა! არა, ეს ბერნე არაა, ეს მხო-  
ლოდ ბურუსში გახვეული თანამედროვე პოეტის იდეალია, რომელშიაც  
ჩაქსოვილია ჰენეს კეკლუცობა და მუნდტის რიტორიკა, ეს ისეთი იდეა-  
ლია, რომლის განხორციელებისაგან ღმერთმა დაგვიფაროს! ბერნეს ტვინ-  
ში „სახეები ბრწყინავდნენ“, „მაგრამ არასოდეს ველუზად არ რბოდნენ“;  
ის ცას არ სწყევლიდა „გაწეწილი, ხუჭუჭიანი“. მის გულში არასოდეს  
„არ დაუბუნდია შუალამეს“, არამედ ყოველთვის დილის განთიადი იყო.  
მისი ცა არ იყო სისხლისფერ წითელი, არამედ იყო მტრედისფერი; სა-  
ბედნიეროდ ბერნე არ იყო ისე უსასოო, რომ მას დაეწერა „მეთვრამეტე  
ლამე“. ბეკს რომ იმდენი არ ეყბენა სისხლზე, რომლითაც მისი ბერნე  
სწერს, მე ვიფიქრებდი, რომ მას წაკითხული არა აქვს „ფრანგის მჭამელი“.  
აილოს ბეკმა ამ „ფრანგის მჭამელის“ უფრო სევდიანი ფურცელი და ის  
დაინახავს, რომ ესეც კი უფრო წითელი აღმოჩნდება მის ეფექტიურ  
„ქარიშხლიან ღამის“ უიმედობასთან შედარებით. განა ბერნე ნაკლებ  
პოეტურია თავისთავად, რომ მას ამ ახალი მოდის „მსოფლიო სევდით“  
გაღიზიანება სჭირდებოდეს? ახალი მოდის მეთქი, ვამბობ მე, რადგან  
ვერასოდეს ვერ დავიჯერებ, რომ ეს იყოს ნამდვილი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე  
პოეზიის თვისება.

ბერნეს სიდიადე ზომ იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთელი თავით  
შალდა იდგა საცოდავ რიტორიკაზე და დღევანდელ წვრილმან ლოზუნ-  
გებზე.

კიდევ უფრო ადრე, ვიდრე შესდგებოდა მის „ღამეებზე“ დამთავრე-  
ბული აზრი, ბეკი გამოვიდა უკვე მთელი რიგი ახალი ლექსებით. ლექსმა  
„მოგზაური პოეტი“ — გვიჩვენა ჩვენ ის მეორე მხრიდან; ქარიშხალი  
ჩადგა, ქაოსმა წესრიგში იწყო მოსვლა. არ იყო მოსალოდნელი ასეთ  
მშვენიერი აღწერილობები, როგორც მოგვცა პირველმა და მეორე  
სიმღერამ; შეუძლებელი იყო დაგვეჯერებია, რომ შილლერი და გოეთე  
ჩვენი პედანტიური ესთეტიკის კლანჭებში ჩავარდნილი შეიძლებდნენ  
მიეცათ მასალა ესოდენ პოეტურ შეფარდებისათვის, როგორც ეს ბეკის  
მესამე სიმღერაში აღმოჩნდა, რომ ბეკის პოეტურ რეფლექსს ისე მშვი-



დათ, თითქმის ფილისტერულად გადაეჭროლებია ვარტბურგზე, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა.

„მოგზაური პოეტი“-თ ბეკი მართლაც ნამდვილად შევიდა ლიტერატურის სამეფოში. ბეკმა გვაუწყა „წყნარი სიმღერები“ და ჟურნალებიც გვაცნობებდნენ, რომ ის მუშაობს ტრაგედიაზე — „დალუპული სულები“.

გავიდა წელიწადი. ვარდა ცალკეული ლექსებისა ბეკი სხვა არაფრით გვაცნობებდა თავის თავზე. „წყნარი სიმღერები“ აღარ გამოდიოდნენ და „დალუპულ სულებზედაც“ არაფერი გარკვეული აღარ ისმოდა. დაბოლოს „ელეგანტურმა გახეთმა“ მოგვაწოდა თ ხ რ ო ბ ი თ ი ე ს კ ი ზ ე ბ ი, მისი ჰალმის ნამუშევარი. ასეთი ავტორის პროზაიკული ცდა ყოველ შემთხვევაში ყურადღებას მიიპყრობდა თავისკენ. ვეჭვობ კი, რომ ამ ცდამ ვინმე დააკმაყოფილა, თუნდაც ბეკის მუხის რომელიმე მეგობარი.

ზოგი სახეების მიხედვით შეიძლება გვეცნო წინანდელი ბეკი. სტილი შეიძლება ბეჯითი მუშაობით კარგი გამომუშავებულიყო, მაგრამ ამით ამოიწურება მისი ყოველგვარი კარგი, რაც კი ამ პატარა მოთხრობაზე შეიძლება ითქვას. არც ღრმა აზრებით და არც პოეტური აღმაფრენით ის ჩვეულებრივი ბელეტრისტიკის დონეზე მალა ვერ მიდის. მოფიქრებით თითქმის ჩვეულებრივია და სილამაზითაც თავს ვერ მოიწონებს, შესრულებაც ორდინალურია.

ერთ კონცერტზე მეგობარმა მითხრა, რომ „ბეკის წყნარი სიმღერები“ — როგორც იქნა გამოვიდაო და სწორედ ამ მომენტში მოგვესმა ბეთხოვენის სიმფონიის ადაჯიოს ხმები. სწორედ ასეთი იქნება, ვითქმე მე, ეს სიმღერებიც; მაგრამ მოვსტყუვდი. მათში ცოტა იყო ბეთხოვენი, ხოლო ბევრი იყო ბელლინიევის ლამენტაციები.

როცა მე ხელში ავიღე პატარა რვეული, შევშინდი. პირველივე სიმღერა ისე საშინლად ჩვეულებრივია, დაწერილია ისე მოშვებულად და მანჭვით. ავტორი ცრუ ორიგინალობას იჩენს, მხოლოდ მრავალ და ჭარბად გაჭიმულ გამოთქმებში.

ეს სიმღერები მოგვაგონებენ „ლამენტებს“ მხოლოდ თავისი უზომო ფანტასტიკურობით. ღამით რომ ბევრი რამ დაესიზმრებოდა, ეს კიდევ მისატყვევებელია. „მოგზაურ პოეტისათვისაც“ შესაწყნარებელია; მაგრამ ჯერ კიდევ ეხლაც ბ. ბეკი რომ ვერ გამოფხიზლებულა, ეს კი სამწუხარო ამბავია. მესამე გვერდზე მას უკვე რალაცა ელანდება და გვბ-ზე 5, 8, 9, 15, 16, 23, 31, 33, 34, 35; 40 და ასე ქვევით სულ ყველგან სიზმრებია. ხოლო შემდეგაც კიდევ მთელი რიგი სიზმრებისა, რაც სასაცილო იქნებოდა, რომ ასე დამაღონებელი არ ყოფილიყო. ორიგინალობის მცედი სრულიად გაჭრებოდა, თუ რომ არ ჩავთვლიდით რამდენიმე ახალ ლექსთაწყობას. სამაგიეროდ ჩვენ უნდა გვაკმაყოფილებდეს ზოგი რამ მის ლექსებში ჰენესებური და უსაზღვრო ბ ა ვ შ ვ უ რ ი გ უ ლ უ ბ რ ყ ვ ი ლ ო ბ ა, რომელიც ძალიან უსახმოვნოდ მიმდინარეობს თითქმის ყველა სიმღერების სივრცეზე. მაგრამ ამით უფრო დამძიმებულია პირველი განყოფილება: „ხიყვარულის სიმღერები, მისი დღიური“, „ავარდნილი აღისგან“.

„ძლიერი კეთილშობილი სულისგან“, როგორც ბევს აქვს თავი წარმოადგენილი, მე არ მოველოდი ასეთს უგემურს, გულსაყრელ ქაშს. მხოლოდ იმის თუ სამი სიმღერა კიდევ შეიძლება რაღმე ღირდეს; „მისი ღლიური“ ცოტათი უკეთესია, მასში აქა-იქ გვხვდება ნამდვილი სიმღერა, რომელსაც შეუძლია მრავალი სისულელისა და უმგვანოების სამაგიეროდ დაგვაჯილდოვოს, დაგვაკმაყოფილოს.

უდიდესი უმგვანობა „მის ღლიურში“ — „ცრემლია“. ცნობილია, რომ ბევრმა ადრე უკვე მოგვცა ამ სფეროში „პოეზიის ცრემლები“; მაშინ მისი: „მწუხარება უხეში“, „სისხლიანი ავაზაკი“, „ცრემლითა წყნარი ზღვა“ კვლებს ავლებდა და მასში „ტლაშუნი გაჰქონდა კაემანს, უტყვეს და გაცივებულ თევზს“; ეხლა ის კიდევ უფრო მეტს ცრემლებს აფრქვევს.

ჩემო ცრემლებო, ამაოდ როდი  
სდულხართ და ტალღა გადგებათ თავზე,  
ჩემი ცხოვრების ცეცხლიან შფოთით  
ნაპირებამდე ყოფილხართ სავსე.  
სიყვარული და ჩემი ჩანგის ხმა  
თქვენნი ღინების ხმაში გაისმა.  
ჩემო ცრემლებო, ამაოდ როდი  
სდულხართ და ტალღა გადგებათ თავზე!

რა სისულელეა ყოველივე ეს! ისევ „სიზმრები“ სჯობია სხვებს, ამათ-შია ზოგი ცალკეული სიმღერა გულწრფელად დაწერილი მაინც არის, განსაკუთრებით „ღამე მშვიდობისა“; რომელიც იმისდა მიხედვით რომ ვსინჯოთ, რომ ის პირველად გამოჩნდა „ელეგანტურ გაზეთში“, უნდა ეკუთვნოდეს იმ სიმღერებიდან ყველაზე ადრე დაწერილთა რიცხვს. ბოლო ლექსი ერთი უკეთესთაგანია, მაგრამ ისიც ცოტა ზვიადად დაწერილია და მთავრდება ისევ „ცრემლით, მსოფლიო სულის ამ მაგარი ფარით“.

წიგნაკი დასრულებულია ცდებით ბალადების სფეროში. „ბოშათა კაროლი“, რომლის დასაწყისში ძლიერად იგრძნობა ფრეილიგრატიის წერის მანერა, სუსტია ბოშათა ცხოვრებიდან აღებულ ნათელ სახეების მიხედვით და ლენაუსთან შედარებით; ფრაზების წყობა, რამაც ჩვენ ლექსის სიახლეში და ძლიერებაში უნდა დაგვარწმუნოს, აძლიერებს მხოლოდ უკუმყრელ შთაბეჭდილებას. პირიქით „ვარდუკა“ — ლამაზია სათამაშოა. „უნგრული საგუშაგო“ იმავე კატეგორიას ეკუთვნის, რომელსაც „ბოშათა კაროლი“. ამ ციკლვს უკანასკნელი ბალადა იმის მაგალითს გვაძლევს, თუ როგორ შეიძლება ლექსი თავს იჩენდეს თავისი რბილი წყობით და ხმოვანებით, ჰქონდეს გარეგანი ლამაზი ფორმა და იმავე დროს კი არ ტოვებდეს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. წინანდელი ბეკი სამჯერ ყალმის მარჯვედ მოსმით მოგვცემდა გაცილებით უფრო რელიეფურ სახეს პირქუშ ავაზაკისას — იანოსიკას; და მართლაც დაბოლოს უკანასკნელი გვერდის წინა ფურცლებზე ის აოცნებებს მასაც და ასე თავდება რვეული, აქ შეწყვეტილია ლექსი, რომლის დამთავრებას

ავტორი გვაპირდება მეორე ტომში. რას ნიშნავს ეს? ნუთუ პოეტურ ნაწარმოებშიაც ისე, როგორც ეს ჟურნალებშია, შეიძლება შეწვევით ნაწარმოები სიტყვებით „გაგრძელება იქნება?“

„დაღუპული სულები“ ავტორმა, როგორც ამბობენ, სულ მოსპოვას შემდეგ, როცა რეჟისურამ შეუძლებლად ჰცნო სცენაზე მისი დადგმა. მეონი ეხლა ის მუშაობს მეორე ტრაგედიაზე — სახელწოდებით „სული“, ყოველ შემთხვევაში „ელეგანტურ გაზეთში“ უკვე იყო დაბეჭდილი ამ ტრაგედიის პირველი აქტი, ხოლო „თეატრალურ ქრონიკაში“ კი მასზე დიდი პროსპექტიც იყო მოთავსებული. ეს აქტი ამ ორგანოს ფურცლებზე კიდევ იყო გარჩეული. სამწუხაროდ მე შემიძლია მხოლოდ დავამოწმო იქ ნათქვამი. ბეკი მისი უწესრიგო შმაგი ფანტასტიკის გამო მოკლებულია იმის ნიჭს. რომ ხასიათები პლასტიურად დახატოს და ყველა მის ზომქმედ პირებს უკარნახებს მხოლოდ ერთსა და იმავე ფრანსებს. ბეკი თავისი გაგებით ბერნესე ამჟღავნებს, თუ როგორ ნაკლებად შეუძლია მას გაიგოს ხასიათი, ხოლო შემოქმედებითი მის თვითაღდგენაზე ხომ არაფერი ითქმის. იმაზე უბედური აზრი არასოდეს არ მოსვლია ბ. ბეკს თავში, როგორც არის — ტრაგედიის დაწერა. ბეკს უნებურად მაინც უნდა გადმოეღო თავისი წინანდელი სახეებიდან რამე, უნდა აელაპარაკებია თავისი დავიდი და მეროვია „მისი დღიურის“ მოწუწუნე კილოზე; მას უნდა აღედგინა საულის სულის განწყობილების გადასვლები საბაზრო კომედიის მთელი უხამსობით. ვყურობთ რა მოავის სიტყვებს, ჩვენ მისი მნიშვნელობა ისე გვესმის, როგორც ეს — მის სამაგალითოდ მიღებულს ავენირს. ეს მოავი, ეს უხეში, შოლოხის ეს სისხლიანი თაყვანისმცემელი აფიცერი, რომელიც უფრო მხეცს ჰგავს, ვიდრე ადამიანს, ნუთუ შეიძლება იყოს „ბოროტი სული“ საულისა? ბუნების ადამიანი ეშმაკი კიდევ არაა და საული, რომელიც ქურუმების წინააღმდეგ იბრძვის, ვერ პოულობს ამიტომ სიამოვნებას მსხვერპლად ადამიანის შეწირვაში. ამასთან დიალოგი სრულიად გახევებულია, ენა მკრთალი და ჩაფერფლილია, მხოლოდ არის რამდენიმე ასე თუ ისე მისაღები სურათი. რომელთაც მაინც არ შეუძლიათ ტრაგედიის მთელი აქტის გამოკეთება და გვაგონებენ იმ იმედებს, რომელთაც ბ. ბეკი, როგორცა სჩანს, ვეღარ გაამართლებს.

ფ. ენგელსის სტატია, დაწერილი 1839 წ.

# როგორ შეუძლება ილია ჭავჭავაძე

## I

ილია ყველა თავის მოთხრობის გმირებს პირადად იცნობდა, ხშირად იყო მათ წრეში, მათი ცხოვრების ყოველ წერილმანს აგვირდებოდა. ნაზ დვილი ხელოვანის თვალი ჰქონდა, ხელმოსაჭიდებელს და საინტერესოს უმალ მიაკვლევდა; მესხიერებით დაისაკუთრებდა, ან და უბის წიგნაკში ჩაინიშნავდა. დიდი მწერალი კაკო ყაჩაღსაც კი პირადად იცნობდა და მასთან პურმარლით იყო დაძმობილებული. ილიას ბავშვობის მეგობარი და მასთან თანშეზრდილი კობეტა აფხაზი გვიამბობს:

„...კაკო ყაჩაღის შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლავთ ერთი კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამგულ-გამომგულეს კარცავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა. გაფარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბაჭი; უცბად ერთ ალაგას წინ დასდგომია შეიარაღებული ვაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხავს ვინაობა და მოგზაურობის მიზანი, რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხავს ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო, ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზისთან მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოვი დაუშვია და ილია მიუწვევია თავის ბინაზე. კარგად გამაპანძღვება და დაუთვრია კიდევ, ასე რომ როდესაც ილია ჩვენთან მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენაბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეთრე დღეს გვიამბო თავგადასავალი, ხოლო დაუმატა, რომ ვაუხარაშვილი სულ ბატონს სწყველის და ავინებსო“ (ი. ჭავჭავაძის კერძო წერილები. „მნათობი“, 1933 წ., № 8—9, გვ. 273—274).

ილიას შემოქმედების საყვარელი თემა სოფელი იყო ანტიტოპაც სოფლის ყოფა-ცხოვრებას მოხუცობის ეამსაც დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობით და აღფრთოვანებული ინტერესით აკვირდებოდა. მასში ახალს ნახულობდა და საკუთარ ცოდნის საგანძურში იხვეჭდა.

1864 წ. ილია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მინდობილობათა მოხელედ დანიშნეს, დაავალეს შეესწავლა ბატონ-ყმურა ურთიერთობა. ამ დავალების შესრულებამ დიდძალი მასალა შესძინა. მთელი ათი წელი ილია დუშეთში „ჩინოენიკობდა“, ჯერ მომრიგებელ შუაკაცად და მერე მომრიგებელ მოსამართლედ. იქ შეხვდა გლახა ჭრიაშვილს და ბევრს

კიდევ სხვას, შემდეგში მის სცენებსა და მოთხრობებში დაუფიქვარ ტიპებად რომ ხორცი შეისხეს (ი. მეუნარგია—„ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“. „მნათობი“, 1936 წ., 15—6, გვ. 236); ათი წლის განმავლობაში მუდამ ხალხში ყოფნამ მწერალს დიდძალი მასალა დაუგროვა. 1872 წ. ილია სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს:

„ძნაო კირილე, გიგზავნი გლეხურ სიმღერებს. ოცდაათზე მეტია. სხვა ლექსებს ვერ გიგზავნი მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა: ჯერ ეს იმყოფე, კაი სიმღერებია“ („მნათობი“ 1933 წ. № 8—9, გვ. 276).

ილიას მიერ ჩაწერილი გლეხური სიმღერები ჟურ. „კრებულში“ იბეჭდებოდა, შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ხალხური სიტყვიერებისადმი ინტერესი ილიას სიკვდილამდე არ დაშრეტია. ილიას ნაწერებში: გაბნეული ანდაზები და ხალხური წარმოშობის მოსწრებული თქმები რომ შეიკრიბოს, კარგა მოზრდილი კრებული გამოვა. მისი მოთხრობის ყოველ ფრაზაში სჩანს, თუ რამდენად ღრმად ჰქონდა შესწავლილი მწერალს ხალხის ნააზრევი, ზნე და ჩვეულება. ახალი სალიტერატურო ენის დაფუძნებისას, ილია ხალხური ზეპირსიტყვიერების ღრმა და საფუძვლიან ცოდნას ემყარებოდა.

„ყოველ შეყრაზე და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან ილიას, როგორც ფუტყარს, საზრდო გამოჰქონდა ხალხიდან თავის სიტყვიერებისათვის. დღეს ამა და ამ გლეხმა ლაპარაკში ესა და ეს ჩემთვის უცნობი სიტყვა სთქვაო, იტყოდა მგოსანი. ერთ ამგვარ სიტყვად, მახსოვს, იყო სიტყვა პეიტარი. აზრით გამოდიოდა, რომ პეიტარი კაცის წოდება უნდა ყოფილიყო და რომ ჩავიხედეთ ლექსიკონში, აღმოჩნდა, რომ პეიტარი საქონლის ექიმს რქმევია. ხალხი იყო ილიასთვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმის“ (იხ. მეუნარგია—„ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“. „მნათობი“, 1936 წ., № 5—6).

ილიამ კარგად იცოდა, რომ ხალხში გასული მწერალი მარტო ხალხური ლექსების შეკრებითა და შესწავლით შემოქმედებისათვის საჭირო მასალას ვერ შეიძენდა. 1887 წ. ილიას ერთ-ერთ სავაზეთო წერილში ნათქვამი აქვს:

„სამწუბაროდ, როგორც თითქმის ყოველთვის და ყველაფერში, სახალხო სიტყვიერების ნაწარმოების შეკრების შესახებაც ცალკერძი გატაცება ეწყობა ჩვენს საზოგადოებას. აქაო-და სახალხო პოეზიას დიდი მნიშვნელობა აქვსო ჩვენის მწერლობისათვის და მდებრიო ხალხის ესთეტიურის გემოვნებისა და აზროვნების გამოსაცნობადო, ხელი მოვკიდეთ მარტო ამ პოეზიის შეკრებას და სხვა საგნები კი ხალხის ნაწარმოებისა სრულიად დავიწყებული გვაქვს. მდებრიო ხალხის გონებითო თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილია და დარჩენილია ისეთ ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნის პოეზიის სფეროს. ამგვარია, მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულს ცხოვრებას...“

„სახალხო პოეზია კარგია, მაგრამ როცა მარტო იმისი შეკრება იზიდავს მთელის ინტელიგენციის ყურადღებას, როცა ეს შეკრება „მოდად“ ხდება, მაშინ საჭიროა, რომ სხვა საგნებისკენაც მოიხედოს განათლებულმა საზოგადოებამ“ (ტ. V, გვ. 247, 250).

როდესაც ილიას უბის წიგნაკები, მისი სამწერლო ლაბორატორია დეტალურად იქნება შესწავლილი, გამოირკვევა, რომ მისი შემოქმედება ბევრით არის დავალებული ხალხური სიტყვიერებისა და ხალხში შემონახულ ზნე-ჩვეულებათა შესწავლისაგან. ილია წელიწადს ისე არ გაუშვებდა, რომ სოფლად არ ასულიყო. როგორც კი დროს იხელთებდა, საგურამოსაკენ მიეშურებოდა, იქ აკვირდებოდა და სწავლობდა ხალხის ცხოვრებას, მუდამ მასალას კრებდა, სამწერლო მაგიდის უჯრებს ჩანაწერებით ავსებდა. გრ. ყიფშიძე გვაცნობს ილიას შეხედულებას მწერლის მუშაობაზე:

„ილია იმ აზრს იზიარებდა, რომ მარტოდენ გულიდან მწერალი, თუნდ ნიჭიერიც იყოს, ვერას გამოსწორავს, თუ თავის სამუშაო კაბინეტში ზის და ნამდვილ რეალურ ცხოვრებისათვის ზურგი შეუქცევია“ (ილია ჭავჭავაძის თხზულება, 1914 წ., ტ. I, გვ. XXXIII).

ილია დიდად აფასებდა მთის პოეტებს. განსაკუთრებით დიდ პოეტად მიიჩნდა ვაჟა-ფშაველა. ილია ფიქრობდა, რომ მთის პოეზიის ძალეში შემოქმედების წყარო დაიშრიტებოდა, როგორც კი მთის პოეტები მთას მოსწყდებოდნენ. მას ბევრჯერ უთქვამს თურმე ყიფშიძისათვის:

„სკოლის შემდეგაც მთის პოეტები მთას უნდა დაუბრუნდნენ, საშიშია იქაურობისაგან მათი მოშორება, ვაი თუ დაიშრიტოს მადლიანი წყარო მთის ფრიალის ორიგინალურის შემოქმედებისაო“ (იქვე).

ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ რეალურ ცხოვრებისაკენ შემობრუნებულ მწერალს ვერც ტიპაჟის რეალურ გარემოდან გამოტანა შეაყენებდა დიდი შემოქმედების გზაზე, ვერც ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ხალხის ზნე-ჩვეულებათა ცოდნა აიყვანდა მხატვრულ მწვერვალებზე. ვერც შემოქმედებითს კერასთან მიჯაჭვა უშველიდა, თუ კი იგი მეცნიერების მძლეთა-მძლე იარაღით არ იქნებოდა აღჭურვილი. —

„ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, — სწერდა ილია, — ერთი დიდებული წიგნია. უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა რაც შეიძლება ბლომად მოგროვდეს გულის საგანძვეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღმოებეჭდოს, სული ჩაუდგას. ხორციით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნს“ (ტ. V, გვ. 256).

ილია რომ დუშეთში „გლახის ნაამბობზედ“ მუშაობდა, ტფილისიდან წიგნები გამოითხოვა:

„შენი ჭირიმე, კირილე! თუ ივანოვის ბიბლიოთეკაში იყოს ეს წიგნი უსათუოდ გამომიგზავნე: Философия и наука. Очерки из современных Европейских писателей, изд. Вольфа. თუ არ ჰქონდეს, მაღაზიებში იკითხე იყიდე და გამომიგზავნე. ფულს მოგართმევ დიდის მადლობითა. მალე კი უნდა გამომიგზავნო და მაცნობო ამ თხოვნის პასუხი.

14 მარტა 1873 წელს. შენი ილია ჭავჭავაძე.

ესეც გამოვიგზავნე თუ ივანოვსა აქვს: Всеобщее землеописание, география для чтения и справок по плану... (ს. ხუნდაძე — „ი. ჭავჭავაძის კერძო წერილები“).

ილიამ ისიც კარგად იცოდა, რომ მწერალი ვერც მარტო წიგნით გახდება რამეს. წიგნური ცოდნის ამარა დარჩენილ მწერლობას ცუდმედიდობის სენი სჭირს, მკვახეს მწიფედ ასალებს, მკლეა და უსიცოცხლო.

— ამოვიკითხავთ წიგნებიდან და გვეონია, — ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამავსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით. აღარც აქეთ. რა კი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში. სხვაგან აღარსად იყოს.

— შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

— მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვივადებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წაგნებიდან გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაო გრძელი არ არის“ („ოთარაანთ ქვრივი“, არჩილისა და კესოს დიალოგიდან).

ი. ჭავჭავაძის სამწერლო მუშაობის მეთოდი მრავალმხრივ საინტერესოა და მისაბაძი. მასალის დაგროვების, ათვისებისა და დამუშავების მისა მეთოდი გამოირჩევა ცხოვრების მოვლენათა გულდადებული შესწავლით. ილიას მასალა საკუთარი შემოქმედებისათვის ცხოვრების წიაღიდან გამოჰქონდა, გაცხრილულ მასალას მწერალი მეცნიერულ ცოდნაზე ამყარებდა და მერე მხატვრულად სრულქმნიდა. ყოველ მის ნაწარმოებს წინ უძღოდა მასალაზე წლობით მუშაობა.

## 2

ილია ყოველ თავის ნაწარმოებს გარკვეული გეგმის მიხედვით სწერდა, ამიტომაც ყოველი მისი მოთხრობა თუ პოემა ხუროთმოძღვრული მიმტკიცით და გამძლეობით არის შეთხზული. სახელდახლოდ დასაწერ საგაზეთო წერილსაც კი ილია წინასწარ მოფიქრებული გეგმით იწყებდა და შემდეგ წვრილმანებამდე დაყვანილი სქემის მიხედვით სიტყვას სიტყვაზე მძივივით ასახამდა. აი, როგორ გამოიყურება ქართული ლიტერატურის მიმომხილველი ერთ-ერთი მისი წერილის გეგმა, რომელიც ადგილ-ადგილ სტატიის სქემატურ ჩონჩხად არის ქცეული:

- 1) ლირიკული მიმართულება ჩვენი პოეზიისა;
- 2) მიზეზი ამისთანა მოვლენისა — სისუსტე ტალანტებისა;
- 3) მოლექსეთა შორის მარტო რუსთველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა ამის პოემაშიაც ურევია ბევრი ლირიკა; უნიჭობა ჩვენი მწერლებისა, რომელთაც უნდოდათ მის მსგავსი დაეწერათ რამე, მაგრამ მაინც ლირიკაზედ გამოდიოდნენ;
- 4) იდეა ძველი პოეზიისა და ფორმა გამოთქმისა: ა) ჩივილი, წუთის-სოფლის მღურვა; კაცის ამაოება, აქაურ ცხოვრების ამაოება და ნუგეშით თვალ-შეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუკუნო განსვენებას და მართლმსაჯულებას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომელობა; თუ აქ არ შეგხვდით ერთმანეთს — ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად დემონი, წამწყმენდი კაცისა; დ) ბუნება

წინდა სანთელია ამათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ. ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათის გრძობის მიხედვით; ის როგორც ობიექტი არ არსებობს იმათთვის;

5) ფორმა გამოთქმისა: ფიგურობა და ალეგორია სპარსულის ლიტერატურის გავლენისა გამო.

დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად ზოგიერთთაგან, რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში; ილექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა, მაგ., ევროპეიზმის გავრცელებას, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამაგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძვენ მაგ ევროპულ გამოთქმასა, მაგრამ თავის აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან, დამტკიცება იმისა ფაქტებით“ (ტ. IV, გვ. 385).

მხატვრული სიტყვის ხუროთმოძღვარმა პოეტმა კარგად იცოდა, რომ ფხიზლად მოფიქრებული გეგმა და ოსტატურად გამართული სქემატურა ჩონჩხი მის ნაწერს სრულყოფამდე მიიყვანდა. ამიტომაც პოეტი ყოველთვის დიდის გულმოდგინებით გეგმავდა ყოველ ახალ მხატვრულ ნაწარმოების შთანაფიქრს და მოთხრობის თუ პოემის სქემას წლობით ამუშავებდა. ილიას ნაწერებში მრავალჯერ ასეთი ჩანაწერია:

„მოთხრობა

უბრალო და ბრალეული“

1) შინაური — მსახურები ერთმანეთს უამბობენ თუ რა გაუგაბათ და უნახავთ თავის ბატონისა“ (ტ. III, გვ. 299) და სხ.

ილია, ფხიზლად მოფიქრებულ გეგმასა და დეტალურად შემუშავებულ სქემასაც კი ხშირად გვერდს აუქცევდა, შთანაფიქრს უბრუნდებოდა, ხელახლა გეგმავდა, ახალ სქემებს სთხზავდა და მეთავე ვარიანტზედაც პირვანდელი გულმოდგინებით და გატაცებით მუშაობდა. ამ მხრით მეტად საინტერესოა ილიას კლასიკურ ნაწარმოებთა („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობის“) შემოქმედებითი თავგადასავალი. სანამ თითოეული ამითაგანი დასრულებული სახით დაიბეჭდებოდა, მათ მრავალჯერ სახე იცვალეს, მრავალი ფერიცვალემა განიცადეს, ისინი დიდხანს იწრთობოდნენ სამწერლო ლაბორატორიაში და ახალ-ახალ ვარიანტებიდან სახეშეცვლილი იბადებოდნენ, — მერმინდელი მის წინარეს აღარ ჰგავდა და ბოლონდელი პირვანდელს.

ამ ერთი პოემისა და ორი მოთხრობის ყველა პერსონაჟი ილიას, თავდაპირველი გეგმით, ერთ მოთხრობაში უნდოდა ჩაესახლებია. ამ მოთხრობის ერთი ვარიანტიდან მეორე ახალ ვარიანტში სახეცვლილებით იზრდებოდა, ვითარდებოდა და სრულქმნილი ტიპის დონემდე აღიოდა ყოველი პერსონაჟი. ლუარსაბ თათქარიძეს, ქეთევანს — დარეჯანს, კოლას — დათიკოს, ზაქროს — კაკოს — გაბროს — პეპოს, თამროს, გიტოს და სხვებს ერთი მოთხრობა იტევდა, მაგრამ მალე ილიამ გეგმა შესცვალა, უკუგდებული ვარიანტების შერჩევითი გამოყენებით, ერთი მოთხრობის ნაცვლად, ერთი პოემა და ორი მოთხრობა დასწერა. ნუ დაევიწყებთ,



რომ ამ ნაწარმოებთა დაწერას ილიამ რამდენიმე ათეული წელი მოახლომა. ილიას ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია ერთი კალმის მისმით, ყოველი მისი სიტყვა ასჯერ მოზომილია, ერთხელ მოჭრილი.

1857 წ. ილიამ „ღიამბეგობის“ წერა დაიწყო, მაგრამ კარგა ხნის მუშაობის შემდეგ თავი გაანება და ახალი მოთხრობის „კოლა“-ს წერას შეუდგა (ტ. III, გვ. 147 — 169). ამ მოთხრობის გმირად ახალგაზრდა თავადი შვილი კოლა ჩანს. პირველსავე ვარიანტიდან კოლა ისევე ცხოვრობს და აზროვნობს, როგორც „გლახის ნაამბობი“-ს დათიკო. აქვეა ყმა-გლეხის ტიპი — ზაქროს სახე, რომლიდანაც შემდეგ ორი ურთიერთისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებისათვის სამი სხვადასხვა ტიპი წამოიზარდა: კაკო, ზაქრო და გაბრო. მოთხრობა „კოლა“-ს ფაბულაში ილიას ორი დიდი ნაწარმოების — „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღის“ ფაბულების ჩანსახია მოცემული. ლუარსაბ თათქარიძე „კოლა“-ში ჯერ კიდევ არ არის ლუარსაბად მოხსენებული, მაგრამ კოლას მშობლების საუბარში უკვე მოისმის „გონიერად ვადმოგდებულო, დიად პატივსაცემი და პატივცემული ღიპის სიბრძნე“.

ილიამ „კოლა“-ს ვარიანტებზედაც კარგა ხანს იმუშავა, მაგრამ შემდეგ თავი გაანება და ახალი გეგმით დაიწყო წერა, მოთხრობის სათაური „კაკო“-თი შესცვალა (ტ. III, გვ. 170 — 236). ეხლა მოთხრობა ლუარსაბ და ქეთევან თათქარიძეების ცხოვრების აღწერით იწყება; სანამ მათი შვილი კოლა წამოიზრდებოდეს, მკითხველის ყურადღება ლუარსაბის გარშემო ტრიალებს. მეოთხე თავში ილიამ ლუარსაბი და ქეთევანი საიჭიოს გაისტუმრა და თხრობის ცენტრი კოლაზე გადაიტანა. ამნაირად ამ ვარიანტში „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღის“ გაერთიანებულ ფაბულას „კაცია ადამიანის“ ფაბულაც ერთვის; ლუარსაბ თათქარიძის ხასიათი აქ უკვე მკაფიოდ არის გამოხატებული, მთელი რიგი ადგილები „კაკო“-დან შემდეგ „კაცია ადამიან“-ში გადავა. „კაკო“-ს მიხედვით კოლა თათქარიძეების დედისერთა შვილია, ხოლო კაკო მასთან თანაშემზრდილი ყმა-გლეხი. ამ სახეში ორი ტიპია გაერთიანებული — კაკოსი და გაბროსი.

მალე ილიამ გეგმა ისევ შესცვალა, ერთი მოთხრობისათვის მოფიქრებული და სიუჟეტურად დამუშავებული ფაბულიდან სამი დამოუკიდებელი ფაბულა გამოჰყო; კოლას უცნობი მშობლებიდან ლუარსაბ და ქეთევან თათქარიძეთა სახეები წამოიზარდა, მათი ცხოვრების აღწერა შემდეგ დამოუკიდებელ მოთხრობად იქცა („კაცია ადამიანი“?!). ქეთევანი დარეჯანად შეიცვალა. თათქარიძეები ბოლო ვარიანტში ილიამ უშვილოდ დასტოვა და კოლას სახე „გლახის ნაამბობი“-სათვის შემოინახა. „კოლა“-ში მოცემულ ყმა-გლეხის ზაქროს სახიდან სამი დამოუკიდებელი ტიპი წამოიზარდა და განვითარდა, კაკო და ზაქრო პოემის „კაკო ყაჩაღი“-ს გმირებად იქცნენ, ხოლო გაბრო (იგივე კაკო მოთხრობა „კაკო“-ს მიხედვით) „გლახის ნაამბობის“ მთავარ პერსონაჟად გვევლინება.

დაუმთავრებელი მოთხრობის უამრავი ვარიანტებით დაგროვილი მასალა ილიას გამოუყენებელი არ რჩებოდა. ამ მხრით მეტად საინტერესოა „დიამბეგობა“ (ტ. III, გვ. 127 — 141). ამ მოთხრობის ვარიანტზე ილია დიდხანს მუშაობდა და აქაც მალე შესცვალა გეგმა, მოთხრობას ახალი სათაური მისცა, მაგრამ „დიამბეგობის“ ახალი ვარიანტიც „მარგალიტი ლექში“ ვერ ეღიროსა დამთავრებას. პოეტმა ამ მოთხრობის დაწერაზე სამუდამოდ ხელი აიღო, მაგრამ ვარიანტებით დაგროვილი დიდი მასალა კი გამოიყენა: ა) დიამბეგი მოთხრობა „კაკო“-ს პერსონაჟად აქცია; „დიამბეგობის“ ერთ-ერთ ვარიანტში მოყვანილი დიამბეგის დახასიათება (იხ. გვ. 292 — 294) მოთხრობა „კაკო“-ში გადაიტანა (გვ. 225 — 226. ბ) ოცდა ორი წელიწადი გამოუყენებლად ისვენებდა ილიას ხელნაწერებში „მარგალიტი ლექში“ (გვ. 142 — 146); 1879 წ. ილია დაუბრუნდა 1857 წელს დაწყებულ მოთხრობას და მისი პირველი თავით ახალი მოთხრობა „სარჩობელაზედ“ გახსნა და სრულიად სხვა ამბავს მოაბა თავი (ტ. III, გვ. 3 — 8).

### 3

ილიამ „ოთარაანთ ქვრივი“ ხუთჯერ გადასწერა, როცა „ივერიაში“ იბეჭდებოდა (1888 წ.), ერთხელ კიდევ გაჰკრა შალაშინი; შემდეგ, როცა მის ნაწერებს „ქართველთა ამხანაგობა“ სცემდა, მოთხრობას ისევ მიუბრუნდა, გადასინჯა და შეასწორა. ილიას ნაწერები დიდი დაგვიანებით იბეჭდებოდა, ეს იმიტაც აიხსნება, რომ დიდი მწერალი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა. ლექსი „ქართველის დედას“ ილიას 1858 წ. ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ექვსი წლის შემდეგაც გამოქვეყნების ღირსად არ მიიჩნია. როცა კ. ლორთქიფანიძემ ეს ლექსი დასაბეჭდად მოსთხოვა, ილიამ მისწერა:

„ქართველის დედას“ არ გიგზავნი, იმიტომ, რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე იმიტომ — რომ შიგა-და-შიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამე“ (ს. ხუნდაძე — „ჭავჭავაძის კერძო წერილები“).

ილიას ყოველი ნაწერი სრულქმნამდე და სრულყოფამდე ათეული წლების შრომით არის მიტანილი. გოეთეს „ფაუსტის“ შესახებ ეკერმანისათვის უთქვამს: პოემის სუჟეტს 40 წ. ვამუშავებდი და, ცხადია, დრო მქონდა, რომ ჩამომეშორებია მისგან ყოველივე ზედმეტით. გოეთეს ეს სიტყვები ილიასაც შეეძლო თავისი ნაწერების შესახებ გაემეორებია. ილიას სხვა საბუთიც ჰქონდა. როცა ი. მანსვეტაშვილმა „ბაზალეთის ტბა“-ზე უთხრა ილიას: განა გამოქვეყნებული არა სჯობს, ვიდრე უჯრაში მაგრად ჩაეკტილიო, პოეტმა უპასუხა: „რა გითხრათ? მანამ ლექსი ჩემთან არის — ჩემი მგონია, მახარებს და რაკი დაიბეჭდება, საქვეყნოდ გახდება, ისეთს გრძნობას განვიცდი, თითქოს გულიდან საყვარელი შვილი მომგლიჯესო“ (ი. მანსვეტაშვილი „მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 115—116)

„კაკო ყაჩაღზე“ ილია 22 წ. მუშაობდა (1857—1879), „კაცია ადამიანზე“ — 6 წ. (1857—1863 წელი), „გლახის ნამბობზე“ — 16 წ. (1857—1873 წ.), „ქართველის დედაზე“, — 12 წ. (1860—1872 წ.), „აჩრდილზე“ — 23 წ. (1858—1881 წ.). ილია თავისი ნაწარმოების ხელახალი სწორების დროს ტექსტის სტილისტურ გამართვაზე როდი შეჩერდებოდა, პოემა თუ მოთხრობა სწორებაში სრულიად გარდაიქმნებოდა, შინაარსეულადაც სახეს იცვლიდა. პოემა „აჩრდილის“ პირველი ვარიანტი 1859 წლის 29 იანვარს დაასრულა, მესამე ვარიანტზე (ჩვენთვის მესამეა, ილიასთვის შეიძლება მეათეც იყო) მუშაობის დროს 1872 წ. ილიამ პოემა სრულიად გადაამუშავა. აი რასა წერს პოეტი დრამატურგს დავით ერისთავს:

„მე ვრადფერსა ვწერ. ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვერ წავდგი. რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომების და მეფეების ისტორიაა. ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთი აგებულობის ადამიანი ვარ. რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია. და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხებარ და ვდრტვინავ, და განკითხვა არსით არი“ (ტ. I, გვ. 373).

„გლახის ნამბობი“ ილიამ წამოიწყო 1857 წ. (პირველი ვარიანტები „კოლა“ და „კაკო“). ამ მოთხრობის პირველი ექვსი თავი მხოლოდ 1863 წ. დაბეჭდა „საქართველოს მოამბე“-ში: რაკი შემდეგი თავები აღარ ქვეყნდებოდა, მეგობრები შეუჩინდნენ მწერალს—დაასრულე მალეო. 1872 წ. ილიამ კ. ლორთქიფანიძეს აცნობა:

„ღდეს მივყავ ხელი „გლახის ნამბობის“ გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენ არა გწამს, დასრულდება. „გლახის ნამბობის“ კორექტურა უკანასკნელი მე უნდა გავსინჯო“ (ს. ხუნდაძე—„ი. ჰავკავაძის კერძო წერილები“).

ილიამ ნიკო ნიკოლაძესაც ახარა, „გლახის ნამბობზედ“ მუშაობა წინ წააგწიეო, თან უსაყვედურებს, მუშაობაში ამაჩქარეთო:

„გაგრძელება მზადდება ოთხი თავი, რომელიც უდრის 35 გვერდს საქართველოს მოამბისას, მზად არის კიდევ კრებულის სამსახურისათვის. მე მგონი, რომ შესრულებისათვის ერთი ამოდენა კიდევ დამჭირდეს, ასე რომ თებერვლისა და მარტის კრებულსა თავსაყრელად ეყოფა. ვწერ კი, მაგრამ არ ვიცი, როგორი მოსაწონი გამოვა. ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით „ნამბობის“ შესასრულებლად“ (იქვე).

„გლახის ნამბობის“ დაწყებიდან 16 წლის შემდეგ 1873 წ. ილიამ კირილე ლორთქიფანიძეს აცნობა:

„გლახის ნამბობი“ დავსრულე და თებერვლის ათამდინ გამოგიგზავნი, რაც დაბეჭდილია. იმაზედ თუ არა მეტი, ნაკლები არ გამოვა. დიდიხანია ეგ ნამბობი გულში მე დოდა ძლივს მოვიშორე. არ ვიცი, როგორ მოგეწონებათ. ზოგიერთი ადგილები მგონი კარგი უნდა იყოს. მაგრამ რაც არის არის, ღმერთმა მშვიდობა მიპსცეს, მე ხომ თავიდან მოვიშორე“ (იქვე).

ილია საგაზეთო წერილებზედაც ასეთივე გულმოდგენით მუშაობდა, დაწერილს ათჯერ მაინც გადასწერდა და მერე ისევ იწუნებდა. სანამ

ნააზრევს სრულყოფილ ფორმაში არ ჩამოასხამდა, თავის ნაწერს ასოთ-  
ამწყობამდე არ მიუშვებდა. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი თა-  
ნამოკალმე გრ. ყიფშიძე იგონებდა:

„რამდენჯერ გაუთენებია ილიას სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ, რო-  
მელიც მწვავე რამ საზოგადო საგნის შესახებ ყოფილა. უკვე დაწერილს, თუ  
არ მოეწონებოდა, ხედა შეუწყალებლად და იწყებდა ხელ-ახლა წერას, მერე  
კიდევ, მერე კიდევ და ასე განაგრძობდა, ვიდრე ყოველმხრივ, შინაარსითაც და  
კილოთიც არ დააკმაყოფილებდა. ეს დრო მაშინ დგებოდა, როცა გათენებული  
იყო და ხან მზეც უკვე ამოსული“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1914 წ., ტომი I,  
გვ. XLVII).

ილიას წერის ტექნიკა უმეტეს შემთხვევაში ასეთი იყო: ორ ფურ-  
ცლიან თაბახს ოთხსვეტად გადაკეცავდა, პირველ სვეტზე დაიწყებდა,  
შემდეგ შეასწორებდა, შესწორებულს მეორე სვეტზე გადასწორდა და  
ისევ გააშალაშინებდა, დასამატებელს ჩაუმატებდა, უკუსაგდებს მოჰკვე-  
თავდა, გასწორებული ახლა მესამე სვეტში გადაჰქონდა და ასე შემდეგ.  
ხშირად ამ ოთხ სვეტს კიდევ ერთ თაბახს მოაბამდა და ნაწერი რვაჯერ  
გასწორებული აღწევდა საბოლოო რედაქციას.

იმისთვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორი ბასიათისა იყო  
ილიას სწორება, განვიხილოთ მისი დაუმთავრებელი მორხრობის  
„დიამბეგობის“ ვარიანტებიდან დიამბეგის გარეგნობის დახასიათება და  
თან აღვნიშნოთ, თუ როგორი თანმიმდევრობით იცვლიდა ტექსტი სახეს.  
ნუმერაციით № 1, 2, 3 ჩვენ აღვნიშნავთ სწორების თანმიმდევრობას. გა-  
სწორების დროს ახლად ჩამატებული ან შეცვლილი სიტყვები შავი პე-  
ტიტით იქნება დაბეჭდილი. უკუგდებული ფრაზები და სიტყვები მოჭ-  
ცეული იქნება ბრჩხილებში.

#### № 1.

მიყვარს მისი მოყვითანო ფერი სა-  
ხისა, ცხადი ნიშანი, რომ თავის სიცოც-  
ხლეში ბევრი ნერწყვი უყლაპავს. მიყ-  
ვარს მისი წვრილნი, სწრაფნი და პლუ-  
ტური თვალები; მიყვარს ისენი, რომ  
თაფლსა ჰსთოვენ, როცა შეჰხარინ  
„ძლიერსა ამა ქვეყნისასა“, ესე იგი  
უეზდის ნაჩაღნიკსა, სოვეტნიკსა და  
ზოგიერთს სხვასაცა; მიყვარს იგივე თვა-  
ლები, რომ რისხვას აქუხებენ, როცა  
უყურებენ „უძლურსა ამა ქვეყნისასა“,  
ესე იგი გლენსა, ვაჰარსა და ზოგიერთ  
თავადსაცა; მიყვარს იგივე თვალები,  
რომ ნუგეშის-მცემელნი არიან, როცა  
დასტრფილებენ მდიდარსა ამ ქვეყნი-  
სასა.

#### № 2.

(მიყვარს მისი) სახეს მოყვითანო ფე-  
რი (სახისა) დაჰსცემდა  
უყლაპავს. (მიყვარს  
მისი) თვალები ხაოცრად სწრაფნი და  
წვრილნი; (მიყვარს ისინი) ასეთის თვი-  
სებისანი, რომ თაფლსა (ჰსთოვენ)  
ჰსთოვენ (როცა შეჰხარინ) ოდეს უყუ-  
რებს „ძლიერსა ამა ქვეყნისასა“, ესე იგი  
უეზდის ნაჩაღნიკსა, სოვეტნიკსა და  
(ზოგიერთს) სხვასაცა, (მიყვარს) იგივე  
თვალები (როს) და რისხვას (აქუხებენ)  
აქუხებს (როცა უყურებენ) ოდეს უყუ-  
რებს „უძლურსა ამა ქვეყნისა“, ესე იგი  
გლენსა (ვაჰარსა და ზოგიერთს თავად-  
საცა. მიყვარს); იგივე თვალები (რომ  
ნუგეშის-მცემელნი არიან) რო-  
ცა დაჰსტრფილებენ) ოდეს შეჰხარის  
მდიდარსა ამა ქვეყნისასა.

(სახეს მოყვითანო) ფერი (დაპსცემდა) ყვითელი (ცხადი ნიშანი, რომ თავის სოცოცხლელში ბევრი ნერწყვი უყლაპავს) მეტის ნერწყვის ყლაპითა სიმდიდრის ნახაზი. თვალეზი (საოცრად სწრაფნი და წვრილნი; ასეთის თვისებისანი რომ თავლსა პსთოვს) თაფლის მთოველნი დღეს (უყურებს) უყურებენ ძლიერსა ამა ქვეყნისასა, ესე იგი უეზდის ნაჩაღნიკსა (სოვეტნიკსა და სხვასაცა და რისხვას აქუხებს) თვალეზი იგივე რისხვის მოქუხარენი, ოდეს (უყურებს) დასცქერიან უძლურსა ამა ქვეყნისასა (ესე იგი გლებსა); და იგი თვალეზი (ნუგეშმცემელნი) უსიტყვოთა მთხოველნი ოდეს (შეჭხარის) უყურებენ (მდიდარსა) მძღარსა ამა ქვეყნისასა.

ვარიანტი № 1 სუბიექტური კილოთია დაწერილი (მიყვარს მისი მოყვითანო ფერი). მომყოლ ვარიანტში მწერალს თხრობა ობიექტურ კილოზე მოუმაართავს („სახეს მოყვითანო ფერი დასცემდა“). ეს არის ძირითადი შესწორება, რომელიც მთელ ტექსტს ახალ სახეს აძლევს. დანარჩენი შესწორება სტილისტურია. „თვალეზი“ № 1-ში ზმნასთან შეწყობისას მრავლობით ფორმას იძლევა „პსთოვენ“, „აქუხებენ“ „უყურებენ“, „შეჭხარიან“. № 2-ში მრავლობითი მხოლოობითით არის შეცვლილი: თვალეზი „პსთოვს“, „აქუხებს“, „უყურებს“. №-ში ზმნა სახელზმნად არის ქცეული და ისევ მრავლობით ფორმაშია დაბრუნებული: თვალეზი „თაფლის მთოველნი“, „რისხვის მოქუხარენი“.

„დიამბეგობა“ სატირული ნაწარმოები უნდა ყოფილიყო, ამიტომაც ტექსტის სწორებისას ილია ცდილობს სატირული კილო გაამაზებლოს. გააფხიანოს. პირველ ვარიანტში იყო: „მიყვარს იგივე თვალეზი, როს ნუგეშისმცემელნი არიან, როცა დაპსტრფიალებენ მდიდარსა ამა ქვეყნისასა“, № 3-ში ეს ფრაზა ასეა გაფხიანებული: „იგივე თვალეზი უსიტყვოთა მთხოველნი ოდეს უყურებენ მძღარსა ამა ქვეყნისასა“. ილიას ლაკონიურად მოკვეთილი ფრაზა უყვარდა, ამიტომაც სწორებისას მწერალი არც ერთ ზედმეტ სიტყვას არ ინდობს, უმაღლ ფრაზიდან გამოასახლებს. ფრაზას „ძლიერსა ამა ქვეყნისასა, ე. ი. უეზდის ნაჩაღნიკსა, სოვეტნიკსა და ზოგიერთსა სხვასაცა“ უწყალოდ პკვეცავს და ბოლოს ასე სტოვებს: „ძლიერსა ამა ქვეყნისასა, ესე იგი უეზდის ნაჩაღნიკსა“.

განვაგრძოთ ამავე ნაწყვეტის ვარიანტების განხილვა:

№ 1.

მიყვარს იგივე თვალეზი პლუტურად მიღებული, როცა მათ წინა დგას ლამაზი მოჩივარი გლების ქვრივი, ან პატარძალი. მიყვარს დიამბეგის ცვირპირიცა, რომ ისე მარჯვედ არის მოყვანილი, რომ თუ ვინცაბაა წერომ დაჰპატივოს და ქოთინთ საქმელი წინ დაუდგას, იქაც

№ 2.

შუბლი მაღალი კანონების საპენტავად მოყვანილი (მიყვარს დიამბეგის შუბლიც... კანონებისას) ხამრიად ჰქონდა შეკეცილი. საკვირველია ამ შუბლის ნაკეცების საქმე (მიყვარს იგივე თვალეზი პლუტურად მიღებული, როცა მათ წინა დგას ლამაზი მოჩივარი

ჩაჰსწვდებოდა, თუ მელამ დაჰპატიუოს და თეფშით მოართოს საჭმელი, მაშინაც ცარიელი არ დარჩება. მიყვარს დიამბეგის შუბლიც, რომელიც ისე საოცრად საპენტავესა ჰგავს, ბამბის საპენტავეს კი არა, კანონებისას; მიყვარს ამა მშვენიერის დანაბადის მომცდარ ყანასავით გადატვლებილი თავი, ხალხთა კეთილმდგომარეობისათვის ზრუნვისა და ფიქრის გამო. მიყვარს მისი ფეხებიც, მართლაც მორბენალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან.

როი ქვრივი, ან პატარძალი) ერთი რიგო წაიშლებოდა და ქრებოდა მაშინ, როცა მის წინ იდგა ხოლმე მოჩივარი ლამაზი ქვრივი; მეორე რიგი იმისთანა იყო, რომ როცა კალმახიძე ქრთამზედ ვაჭრობდა, მაშინ მოვიდოდა მოძრაობაში და ვაჭრობის გადაწყვეტაზე ეკიდა იმის შუბლიდან ვაჭრობა; რიგი მესამე მეთად გადახვლანჭილი იყო შუბლზედ, ახე რომ მისი გაშლა (საძნელა) შეუძლებელი იყო, მაგრამ ნაჩაღნიკის ღიმილსა კი ვერ გაუმაგრდებოდა და მსწრაფლ ჰქრებოდა. თუ შუბლზედ ეს სამი რიგი ნაკეცი ერთად იყო, ვაი შენს მტერს, ცუდი ნიშანია: ჰსჩანს დიამბეგს ხელიდან გახსლტომია კაი ნაქერი. (მიყვარს დიამბეგის ცხვირ-პირიცა) ცხვირ-პირი (რომ) ისე მარჯვედ (არის) ჰქონდა მოყვანილი (რომ) თუ ვინცობაა (წერომ დაპატიუოს) წეროს დაეპატიუნა და (ქოთნით საჭმელი წინ დაუდგას) ქოთანში მოეტანა საჭმელი, იქაც (ჩასწვდებოდა) ჩასწვდებოდა და თუ (მელამ დაპატიუოს) მელას დაეპატიუნა და (თეფშით მოართვას საჭმელი) თეფშით მოეტანა (მაშინაც) იქაც ცარიელი არ (დარჩება) დარჩებოდა. ხელები მარდი, ნამეტნავად ადებაში; ადებ-მიცემა კარგი იქნებოდაო, ხშირად იტყუოდა ხოლმე კალმახიძე, რომ მართლ ადება იყოსო და მიცემა კი არაო. ტანი ასეთი მრხევი ჰქონდა, რომ შვინდის სახრე იმასთან ღმერთმა შეარცხვინოს; (მიყვარს მისი) ფეხები მარდად მორბენალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან. (მიყვარს) გვირგვინი ამა (მშვენიერის დანაბადის) მშვენიერი დანაბადისა (მომცდარ ყანასავით გადატვლებილი თავი) გახლდათ თავი, მოტვლებილი მომცდარ ყანასავით ხალხთა კეთილმდგომარეობისათვის ზრუნვისა და ფიქრისა გამო.

### № 3

შუბლი მაღალი, კანონების (საპენტავად მოყვანილი) საპენტავი, ყოველთვის სამ რიგად (ჰქონდა) შეკეცილი. (ერთი რიგი) რიგი პირველი (წაიშლებოდა და ქრებოდა მაშინ, როცა) — რომელიც გაიშლება და ქრება შესაფერ თვალის დახამხამებით, ოდეს (მათ) დიამბეგის წინ (იდგა) დგას მოჩივარი ლამაზი ქვრივი; (მეორე რიგი იმისთანა იყო, რომ) რიგი მეორე — რომელიც იკარგება შუბლიდამ როცა (კალმახიძე) ქრთამზედ (ვაჭრობდა) ვაჭრობს დიამბეგი (მაშინ მოვიდოდა მოძრაობაში და ვაჭრობის გადაწყვეტაზედ იმის შუბლიდან ვაჭრობა).

რიგი მესამე (მეტად გადახელანკილი იყო შუბლზედ, ასე რომ მისი გაშლა შეუძლებელი იყო, მაგრამ ნაჩალნიკის ღიმილსა კი ვერ გაუმარტებოდა და მსწრაფლ ქრებოდა), რომელიც ჰქრება, როცა დიამბეგი წითელ-წითელ ახიგნაციებს ხელიდამ ჯიბეში ჩააცურებს. ეგ მესამე რიგის წაშლა აპატიოსნებს დიამბეგის მაღალ და გონიერ (მითამ თუ?) შუბლსა. თუ (შუბლზედ) ეს (სამი რიგი) საშივე ნაკეცი ერთად (იყო) არი, ვაი შენს მტერს, ცუდი ნიშანია; სჩანს დიამბეგს ხელიდან (გახსლტომია კაი ნაქერი) გასძრომია კარგი გასაცქვეფი. (ცხვირ-პირი) ცხვირი (ისე მარჯვედ ჰქონდა მოყვანილი) იმისთანა, რომ თუ ვინცობაა (წეროს დაეპატიუნა) წერომ დაპატჟოს (ქოთანში მოუტანოს) ქოთანში მოუხარშოს საკმელი, იქაც (ჩაჰსწვდებოდა) ჩასწვდეს. (და თუ მელას დაეპატიუნა და თეფშით მიეტანა იქაც ცარიელი არ დარჩებოდა) იმისთანაც რომ, თუ საღმე ჯიბე გატენილია ჩახუნოს; უღვაშები გაბზეკილნი, თუ ნაჩალნიკს არ მოელის, თუ მოელის — მიშლილ-მოშლილი, რათა აჩვენოს, რომ იმდენი სამე აქვს, რომ უღვაშებისთვისაც ვერ მოუცლია; ლოყები კაცნის მაგივრად სილის მთხოველნი; ტუჩები კრილოვის მელასავით ყოველთვის ნიშნებით წარსულ ცოდვისა; ხელები მარდი, ნამეტნავად ქრთამის აღებაში; მთელი ტანი (ასეთი მრხევი ჰქონდა, რომ შეინდის სახრე იმასთან ღმერთმა შეარცხინოს) იმისთანა, რომ თუ ვინცობაა ელირსა ნუგეშ-მცემელი პანჩური ნაჩალნიკსა, სამჯერ ბურთსავით ახტეს და დაეცეს, ან როცა დრო მოითხოვდეს, სამკეცად დაიკეცოს ძლიერის წინ. ფეხები (მარდად) მორბენალნი უფროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან. გვირგვინი ამა (მშვენიერი დანაბადისა) მშვენიერ ღვთის ქმნულებისა (გახსლდათ) არის თავი, მოტვლეპილი მომცდარ ყანასავით ხალხთა (კეთილ-მდგომარეობისათვის) კეთილ-მდგომარეობის ბრუნვისა და ფიქრისა გამო.

„დიამბეგობა“-დან აღებულნი ნაწყვეტის მეორე ნაწილი უფრო მეტად არის გადამუშავებული და შესწორებული, ვიდრე პირველი. ფრაზების თანმიმდევრობა შეცვლილია, გამოთქმები მეტი კონკრეტობით არის ხორცშესხმული, სურათოვნება მატულობს, ტექსტი ენობრივად იხვეწება. უკანასკნელი ვარიანტი მრავალი ახალი დეტალით არის განათებული, პირველში ისინი ან სულ ჩამქრალნი იყვნენ ან და ოდნავ ბუუტავდნენ, სატირული გაკილვის მათრახი აქ უფრო მეტი სიმწვავეთა და სისასტიკით ტრიალებს.

№ 1 ვარიანტში დიამბეგის ტანი დავიწყებულია, № 2-ში კი მწერალი მხატვრული გამოსახიერების დიდი ოსტატობით ამბობს: „ტანი ისეთი მერხევი აქვს, რომ შვინდის სახრე იმასთან ღმერთმა შეარცხინოს“, მაგრამ ილიას მეტის თქმა უნდა პოეტი ფრანს ახალი სურათოვნებით ამკობს და დაუზოგველი სისასტიკით ამწვავებს: „ტანი იმისთანა, რომ თუ ვინცობაა ელირსა ნუგეშ-მცემელი პანჩური ნაჩალნიკისა, სამჯერ ბურთსავით ახტეს და დაეცეს ან როცა დრო მოითხოვდეს, სამკეცად დაიკეცოს ძლიერის წინ“. მწერალი № 3 ვარიანტში დიამბეგის უღვაშებსაც წვდება, შუბლის ნაკეცებში იმდენი ოხრობა ამოუკრიფა ამ „მშვენიერ დანაბადსა“, რომ მისი ლოყები სილას ითხოვენ.

№ 3 ვარიანტიც მრავალ სახეცვლილებას გამოივლიდა, რომ მწერალს ამ მოთხრობისათვის თავი არ გაენებებია. ილიას ყოველი ნაწერი სწორებიდან სწორებაში იმდენად სახეშეცვლილი გადადიოდა, რომ საბოლოო ტექსტი სრულიად ჰკარგავდა მსგავსებას პირვანდელთან. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ „კაცია ადამიანის“ პირველ ვარიანტიდან (მოთხრობა „კაკო“) ლუარსაბის დათასთან საუბრის ეპიზოდი და შევადაროთ მოთხრობის საბოლოო რედაქციის ამავე ეპიზოდს.

### პირველი რედაქცია

თუმცა ლუარსაბი ცოტა ზარმაცი იყო, მაგრამ იმასაც თავისდა-გვარად საკმე ჰქონდა. მამლის ყიულისას წამოდგებოდა, დაიჭერდა გძელ ჩბუხს, წითელ პერანგით და აბრეშუმის განიერ პერანგის ამხანაგით მიიმედ გამობძანდებოდა ბალკონზედ.

— დათო! ღრმები მიდიან დღეს თუ არა?

— დიას, — გაიხლებიან, — მიუგებდა დათო.

— რამდენნი?

— ოთხი საბატონო და ხუთი ბეგარისა, შენი ჭირიმე.

მერე მიუბრუნდებოდა მეჯინიბეს, რომელსაც ქერი მიჰქონდა ხოლმე ცხენებისთვის ამბარიდამ.

— ცხენებს ხომ კარვად მოუარე?

— კარვათა, შენი ჭირიმე.

— ბარაქალა, ბარაქალა! — იტყოდა კმაყოფილი ლუარსაბი, მაგრამ არ იცოდა სად მიდიან ღრმები, ან რისთვისა, არც ვაიფიქრებდა თითონ გაესინჯა ღრმები, შატყუებენ თუ არა, არც ცხენს ნახამდა თითონ, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რო ბიჭს შეუძლიან შატყუება. და ეს ამბავი სწორედ იარე იმიორებოდა ხოლმე ყოველ ცისამარე დღეს...

### საბოლოო რედაქცია „კაცია ადამიანი“-ა

ლუარსაბსაც კი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“, როგორც თითოხ იტყოდნოდა ხოლმე. მართალია, ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძილას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალჭების ქუდიო თავზედ, წითელ პერანგის და მის ვინუშორებელ ამხანაგის ანაბარა, გულგადაღელილი, ფაშვინი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოაჯირის გადასაყუდელებლთან და გადასახებდა ძილიანგან გაბოხებულ მშითა თავის მოურავს დათოსა:

— დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც განლდათ).

— დიად, შენი ჭირიმე.

— რა ნაჭერია?

— ჩალადაჯი.

— სამწვადე?

— სუკი ვიშოვე, შენი ჭირიმე.

— ძვირფასი კაცია, — ვაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე, მერე დათოს ეტყოდა: — ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მარჯი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეიროდ გაიღივებდა ამ-გვარ ჭებაზედა.

— მეზერემ წვენილი მოიტანა? — ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

— მოიტანა.

— ტარხუნა ხომ არის?

— გახლივს.

— კიტრი?



— კიტრიც განლავს.

ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფი-  
ლიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრი-  
ალ-გადმოტრიალდებოდა.

— მაშ სახლი სავსე ყოფილა, — სთქვა  
ბატონმა სიამოვნებით.

— როდისა გზღებიათ ნაკლული  
შენი ქირიმე, რომ ენლა იყოს?..

— ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯა-  
ხის პატივი და სახელი ერთგულმა ყძამ  
ქვეყანას უხდა მოსდოს. ბარაქალა! თუნდ  
ხაკლული იყოს, უნდა სთქვას, რომ სა-  
ვისეთაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, — ეს  
ყველაფერი იცი.

— ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ  
და როგორ არ შეცოდინება, შენი ქი-  
რიმე!

— ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, —  
სთქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა  
მებატონემ, — ურმები გაისტუმრე?

— გავისტუმრე, ეხლა თუნდ ორ-  
ლობეებს იქნებიან გაცილებულნი.

— სად გაისტუმრე?

— ყანაში, შენი ქირიმე.

— რამდენია?

— ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

— რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ  
არის?

— ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის  
გაჩენაში არ შეგზულა, შენი ქირიმე,  
და დღეს საიღამ იქნებოდა!

— ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვე-  
ფო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთ-  
მეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება?  
ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატო-  
ნი აღარ ვყოფილვარ! გაგონილა!.. ფიე!  
ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე უჩვენებ  
იმათ, რომ შე ბატონი ვარ და ისინი  
ყმები არიან.

მართლა და ლუარსაბსა თავის  
დღეში ათის ურმის მეტი არ შეკზბია  
და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ?  
დათოსაც არ ესმოდა — ეს წყრომა რის  
ნიშანი იყო. გაუკვირდა და ბატონს  
ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიედაო.  
დიად, ლუარსაბი კი იქნება, რომ გა-  
გიჟდეს!.. და თუ ტყუილუბრალოდ გა-  
წყრა, მაგის საბუთები სულ გოგრაში

ჰქონდა. როგორც ამისი ძვირფასი კენ-  
ინა, ისე თითონაც ძალიანა ჰჩემობდა  
მოსამსახურეების და ყმის მოხმარებასა.

— გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას  
ბატონიო,— იტყოდა ხოლმე ბრძენი თა-  
ვადი, — ეგრე უნდა, რომ ყოველ ცის-  
მარა დღეს ეშინოდეს, თორემ ღორის  
მკბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ  
დაისო. თავზედ აგაცოცდებო. მაშ!  
შიში შეიქმს სიყვარულსაო.

ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონ-  
დაც!

პირვანდელი ვარიანტის რამდენიმე სტრიქონი ბოლონდელ რედაქ-  
ციაში „დაწიოკების“ მთელ ეპიზოდად იქცა. პირვანდელი რედაქციით,  
მამლის ყვილისას წამომდგარი ლუარსაბი, რომ „მძიმედ ბალკონზედ  
გამობრძანდა“, მას ხელში გრძელი ჩიბუხი ეჭირა, წითელი პერანგი და  
„აბრეშუმის ვანიერ პერანგის ამხანაგი“ ეცვა, ეს იყო და ეს, — ასე მარ-  
ტივად იყო დახატული ლუარსაბი. მრავალ ვარიანტში გამოვლის შემდეგ  
ბოლონდელი რედაქციით ზანტი ლუარსაბი „მამლის ყვილისას“ აღარ  
წამოფრინდება; ტახტიდან გადმოგორებულს, ავტორმა ლურჯი კალმუ-  
ხის ქუდი დაახურა, ფეხშიშველი, პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა  
გარეთ გაისტუმრა. მისი ფაშვი შეუმჩნეველი არ დაჩჩესო, ფაშვზე ხე-  
ლი შემოკრა. გული გადაუღელა და ასე სრულყოფილი მოაჯირის მისა-  
ყუდებელთან მიაგორა, თან ძილისაგან დაბოხებული მისი ხმაც გაგვაგონა.

„დაწიოკების“ ეპიზოდში ავტორმა ლუარსაბი დაიჭირა და გვიჩვენა  
ისეთ მდგომარეობაში, როცა თვით თათქარიძე თავის „საქმიანობით“  
ახასიათებს საკუთარ თავს, როგორც მებატონეს და როგორც მემამულ-  
ლეს, როგორც „ღვთით მოცემული“ ქონების პატრონსა და მომვლელს.  
პირვანდელი რედაქციით ეს ეპიზოდი მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ  
რალაც ამბავი უნდა გააქვალოს, ლუარსაბმა ხომ გამოიკითხა, ურმები  
გაგზავნილია თუ არაო, მარტო ეს, თავისთავად არაფერს არ გვეუბნება,  
ეს მხოლოდ ნიშანია. სქემა ავტორისათვის, რომელზედაც შემდეგ მთე-  
ლი ამბავი ამოშენდება.

ბოლონდელ რედაქციაში სქემა ხორცს იხსამს და „დაწიოკების“ ოს-  
ტატურად გამოსახიერებული ამბავი ჩნდება. თავის მუცლისა და მადის  
მადლიერმა მემამულემ პირველად ყოვლისა სამწვადე სუკი და ჩალაღ-  
ჯი მოიკითხა, ყოველივე ამას უმწვანილოდ რა შნო და ლაზათი უნდა  
ჰქონოდა, მას, ბოზბაშის მალმერთებელს, ტარხუნა და კიტრიც არ ავი-  
წყდება. რაკი ყოველი სიკეთით. სახლი სავსე აღმოჩნდა, ლუარსაბს  
ისე იამა, „ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი სამჯერ მაინც გადატრიალ-  
დებოდა“. ამ ეპიზოდით ილიამ კარგად გამოაჩინა ამ კაცად წოდებული  
არსების პირუტყვეული ბუნება.

პირვანდელ რედაქციაში ურმების გაგზავნის შესახებ ბაასი მშვიდად  
თავდება, ბოლონდელში კი ავტორმა „დაწიოკების“ საბაბად აქცია. მწე-

რალმა ისე შესახიშნავად დაასაბუთებინა ლუარსაბს ეს „დაწიოკება“, რომ ბატონყმობას „მამაშვილობის“ ნილაბი აღარ შერჩა და მისი საზიზღარი სახე მკითხველთა დასაგმობად გამოიშეურდა.

რაც სტილისტურად პირვანდელ ვარიანტში დაუწმენდავი, უსწორმასწორო და გაურანდავი იყო, მომყოლ ვარიანტებში მრვალგზის სწორებით საბოლოო რედაქციამ დახვეწილად და დაწმენდილად გამოაჩინა. მაგ., პირვანდელ რედაქციაშია „წითელ პერანგით და აბრეშუმის განიერ პერანგის ამხანაგით მძიმედ გადმოხდა და ებოდა ბალკონზედ“ სიტყვა პერანგი ერთ ფრაზაში ორჯერ არის გამეორებული; „განიერიც“ ცუდად მოისმის. საბოლოო რედაქციაში ეს ფრაზა შეივსო, გაშალაშინდა და გასწორდა „წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარა... მიგორდებოდა მოაჯირის გადასაცეცხვებელთან“...

ილიას კალამს უსწორო რამ არ წამოცდებოდა, იგი მუდამ დაკვირვებით, ქართულის ღრმა ცოდნით სწერდა. ენის დამახინჯებას, უსწორო ქართულით წერას არავის არ აპატიებდა. გ. თუმანიშვილმა 1878 და 1879 წლებში გამოსცა „ალმანახი“, რომელშიაც დაიბეჭდა მისივე ნათარგმნი „ჟორჟ დანდენი“. რუსულმა გაზეთებმა „ალმანახი“ მოიწონეს, ილიამ კი ქართული ენის დამახინჯებისთვის ტყავი გააძრო გ. თუმანიშვილს:

„ჩვენი მშვენივრად მეტყველი გ. თუმანიშვილი აი რა მშვენივრად ათამაშებინებს სიტყვას ჟორჟ დანდენს: „მე, მე მოვსთხოვო ბოდიში იმის უკან...“ ძველი ქართული ასე გამოსტყვამდა: „მე! მე უნდა მოვსთხოვო ბოდიში იმის შემდეგ...“ და იმის „უკან“ კი ბოდიშის მოთხოვნა მართლა გასაოცარია: მაგრამ თქვენ რა იცით „ახალის“ ყადრი?!“ (ტ. IV, გვ. 126).

1902 წ. გამოქვეყნებულ წერილში ივ. გომართელს ერთი ასეთი ფრაზა გაეპარა: „მწარედ მეცინება ხოლმე, როდესაც ვკითხულობ აღფრთოვანებულ პოეზიას ძმობაზე, ერთობაზე და სიყვარულზე და სხვა ამგვარ უშინაარსო მცნებებზე“-ო. ილიამ ეს უსწორობა გომართელს არ შეაწია: „აბა ვის არ მოჰგერის სიამოვნების და სიტყბოების ჟრუანტელს ეს „სიყვარულზე აღფრთოვანებული პოეზია“: თუნდაც ძმობაზე და ერთობაზე! ძველი ქართველი იტყოდა: აღფრთოვანებული პოეზია ძმობისა, ერთობისა, სიყვარულისა, მაგრამ სად ეს გაცვეთილი ლულუღი ძველისა და სად ის მშვენიერი ახალი ჭიკჭიკი გომართელისა!“ (ტ. IX, გ. 250).

ილია 25 წელიწადს რედაქტორობდა „ივერიას“, ამ ხნის განმავლობაში ილია დარაჯად ედგა სალიტერატურო ენის სიწმინდეს, გაზეთის მუშაკთაგან მოითხოვდა, რომ საგაზეთო ენა დაწმენდილი და დახვეწილი ყოფილიყო. საგაზეთო მასალის სტილისტურ სწორებას თვით ილია ხელმძღვანელობდა. ყიფშიძე გვიამბობს:

„წერილმან, იწა-ბიწა მუშაობას ილია ბევრ დროს ანდომებდა: საგაზეთო მასალის მოსმენასა და მის შესწორებასა ენის და შინაარსის მხრივ. თანამშრო-

მელი კითხულობდა დასაბეჭდ წერილს და ილია უკარნახებდა, თუ როგორ უნდა გაეწირობინა ესა თუ ის უხერხული სიტყვა, გამოთქმა. დიდს ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამად სიტყვების დაწყობას და დასურათებით, ცოცხლად აზრის გამოთქმას. თვითონ ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, რომ გაზეთში დასაბეჭდი წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. ამ საქმეში თვით იკისრა უფროსობა და ჩავეიყოლია უნცროსები — მთელი რედაქცია სიამოვნებით იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებასა და გადასინჯვაში იმის მეთაურობით და ხელმძღვანელობით... ლამე გატყდებოდა, მამლები ყვივს დაიწყებდენ და არა იშვიათად თავს დაგვათენდებოდა სოლმე. ისე დავიქანცებოდით, რომ სავატობა აღარ გვქონდა. ილიას-კი, არ მახსოვს, ან დაღლილობა შემწნოდეს, ან ძილი მოპრეოდეს (ი. ჭავჭავაძე — თხზ., 1914 წ., ტ. I, გვ. XLVII).

ამასვე ვკითხულობთ ი. მანსვეტაშვილის მემუარებში (გვ. 77). აი ერთ-ერთი ეპიზოდი ილიას ლიტერატურული ქართულის საგუშაგოზე დგომისა:

„ილია რომ რედაქციაში მოსულ ხონელს დაინახავდა, მაშინათვე მიახებდა: — აბა ჩემო სენიავ, რა მოგიტანიაო? ხონელიც ამოიღებდა უბიდან ფელეტონს და დაიწყებდა კითხვას. თუ ფელეტონი დაწერილი იყო ხონელის ჩვეულებრივ კობტა, ცოცხალი ენით, მახვილი სიტყვა-პასუხით, მოსწრებული იმერული ოსუნჯობით, ილიას სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი, და რა წამს ყურს მოჰკრავდა რუსიციზმს, შჩედრინისებურ ოსუნჯობას, მაშინვე შეაყენებდა: — აბა აქ შევდგეთ და კბილი ცოტა კარგათ გაუსინჯოთ. და დაიწყებდა ქართულად მონათვლას. გვიკვირდა, რა დაუშრეტელი წყაროდან მომდინარეობდა ის საოცარი ცოდნა ქართული ენისა, რომელსაც ილია აქ გამოიჩენდა ხოლმე... როდესაც ფელეტონს სულ სხვა ფერი დაედებოდა... ხონელიც დიდათ კმაყოფილი დარჩებოდა ხოლმე ასეთი ჯადოსნურ ცვალებადობით და ასე გაჩარხული, გამოშალაშინებული ფელეტონი სტამბაში მიემგზავრებოდა (ი. მანსვეტაშვილი — „მოგონებანი“, 1936 წ., გვ. 78).

ახალგაზრდობიდანვე ილიას სიტყვის უსაზღვრო სიყვარული დასჩემდა. წიგნის კითხვისას, რაკი სიტყვა თუ გამოთქმა მოეწონებოდა, უმაღლ ამოიწერდა; თუ ვინმეს უსმენდა მოსწრებულ სიტყვას ან მოხდენილ გამოთქმას, უბის წიგნაკში ინიშნავდა. სიტყვისადმი დაუშრეტელი სიყვარულით, ხალისით და გულმოდგინებით ილიამ დიდი ენობრივი საუნჯე შეიძინა, მეტად ვრცელი და მდიდარი ლექსიკონის მფლობელი და მომხმარებელი შეიქნა და მერე როგორი? მისი სტილი სამაგალითო და მისაბაძი გახდა და ბოლოს ახალი სალიტერატურო ენის ფუძისმდებელის სახელიც მოიხვეჭა და დაიმკვიდრა. მთელი თავის სიცოცხლე ენის სიწმინდეს ედგა დარაჯად: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, — უყვარდა ხშირად ამის გამეორება. — ენა უნდა დავიცვათ შერყვნილობისაგან, ენას ისე უნდა ულოლიავოთ, მოვუაროთ, როგორც დედა თავის პირმშო შვილს“ (იქვე). ილიას მუშაობა იმის მაგალითია, თუ რაოდენი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს მწერალი თავის საქმეს.

#### 4

პოეზია, ილიას აზრით „განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“ (ტ. IV, გვ. 21). მას

ლექსი ლექსად არ მიაჩნდა, თუ კი შინაარსობრივადაც სრულყოფილი არ იქნებოდა და ფორმითაც სრულქმნილი. „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავიო, — სწერდა ილია, — არა მარტო თავის ფორმით, არამედ შინაგან ლირებულებით“ (იქვე, გვ. 61).

ილიასათვის ლექსის დაწერა არაოდეს არ ქცეულა იმპროვიზაციად, ილიას არც ერთი ლექსი არ დაუწერია ჩონგურზე დამღერებით, მისა ლექსები არც სუფრაზე სათქმელი ექსპრომტებია. ილია ოთხ ტაეპიან ლექსსაც დიდი მწერლისათვის ჩვეული პასუხისმგებლობით წერდა, წერდა გატაცებით, დაწერდა, შავად აქცევდა, გადათეთრებულს ისევ ვადააშავებდა და ასე დაუსრულებლად, სანამ აზრითაც და აღნაგობითაც სრულქმნილ ტაეპს არ ჩამოჰკვეთავდა.

ილიას ხელნაწერებში შემონახულია ლექსის „სტუდენტების სიმღერის“ დასაწყისის ათამდე ვარიანტი. პირველი სტროფი ამ ლექსის საბოლოო რედაქციისა ასე იკითხებოდა:

დედამ რომ შვილი გაზარდოს (ა)  
ემაგრე ჩვენისთანაო (ბ)  
ძმურად გამოსადეგი ვართ (გ)  
ყველგან და ყველასთანაო (დ).

ა სულ მუდამ უცვლელი რჩებოდა.

ბ-მ დიდი ცვლილება განიცადა. დასაწყისის პირვანდელ ვარიანტებში, „ჩვენისთანაო“-ს ნაცვლად, იყო „შენისთანაო“. ეს სრულიად სცვლიდა ლექსის კონსტრუქციას. პირველი სტროფი ამ ვარიანტისა ასეთია:

დედამ რომ შვილი გაზარდოს  
ემაგრე შენისთანაო,  
თუ სადმე ხარ, პირნათლად ხარ  
(თუ სადმე ხარ, საფერი ხარ)  
ყველგან და ყველასთანაო.

მომყოლ ვარიანტებში შესწორდა მეორე პირისადმი მიმართება („შენისთანაო“), შეიცვალა მრავლობითის პირველი პირით („ჩვენისთანაო“). ეს შესწორება მთელ ლექსს გაჰყვა. „ემაგრე“-ს ნაცვლად თავდაპირველ ვარიანტში იყო ორ მარცვლოვანი „მაგრე“, რაც, ცხადია, მალე უნდა შეცვლილიყო სამმარცვლიანი სიტყვით.

გ პირველად იკითხებოდა: „თუ სადმე ხარ, საფერი ხარ“, მერე შესწორდა „თუ სადმე ხარ, პირნათლად ხარ“, მერე სრულიად უკუგდებულ იქნა და გამოჩნდა ახალი: „მუდამ გულმტკიცე ვიქნებით“. მალე ესეც შეიცვალა: „სადაც გინდა, ალაგი გვაქვს“. ამასაც გადაესვა ხაზი და გამოჩნდა საბოლოო: „ძმურად გამოსადეგი ვართ“.

დ მუდამ უცვლელი რჩებოდა, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც მესამე სტრიქონმა მოითხოვა მეოთხის შეცვლა. ამ ვარიანტის პირველი სტროფია:

ღმრთაჲმ რომ შვილი გაზარდოს  
ემაგრე ჩვენისთანაო!  
ცართან ძმობას არ ვკადრულობთ,  
მაგრამ ვნატრობთ გლენთანაო.

ცხადია, რომ ეს შესწორება საბოლოოდ უნდა უკუეგდო პოეტს სა-  
ცენზურო პირობების გამო. თანაც სიტყვა „ცართან“ დაუშვებელი რუ-  
სიციზმია და ამიტომაც უნდა ამოვარდნილიყო ლექსიდან.

მეორე სტროფი საბოლოო რედაქციით ასე იკითხება:

ლხინში მოლხინეს მოულხენთ, (ა)  
ჭირში მოჭირნეს უშველით; (ბ)  
ფიჭრის, საჭმის, შრომის დროსა (გ)  
ბრძენსაც არ დავუვარდებით: (დ)

ა — სტრიქონმა მრავალი ცვლილება გაიარა, სანამ საბოლოოდ გა-  
მოიკვერებოდა:

1. ლოთთან მართლა ლოთები ვართ
2. ლოთთან ლოთურად ვიქცევით
3. ლოთთან ლოთურად მოვილხენთ
4. ლხინში ლოთურად მოვილხენთ და.სხ.

და ბოლოს „ლხინში მოლხინეს მოულხენთ“. საიდან გაჩნდა ეს სტრი-  
ქონი, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება, სად დაიკარგა სიტყვა „ლოთი“,  
„ლოთურად“? ერთ-ერთი დაუმუშავებელი ვარიანტით ლექსი ასე იწყება:

ლოთთან მართლა ლოთები ვართ,  
არც უჭკონი ბრძენთანაო.  
ლხინის დროსა ჩვენ მოვილხენთ,  
როგორც ჩვენი ძმა ქართველი, —  
გულს გარდვიშლით, შემოვძახებ...

„ლოთობა“ უნდა ამოვარდნილიყო ლექსიდან, რადგან სტუდენტო-  
ბას უარყოფითად ახასიათებდა, თანაც ეს სიტყვა ვერ გამოხატავდა იმას,  
რისი თქმაც ილიას სწადდა. პოეტს უნდოდა ეთქვა, რომ სტუდენტობამ  
ჭირში შველაც იცის და ლხინში მოლხენაცო, ამიტომ ამ უკუგდებულ  
ვარიანტიდან ამოღებულ იქნა მესამე სტრიქონი, „ლხინის დროსა ჩვენ  
მოვილხენთ“ გადამუშავდა: „ლხინში მოლხინეს მოულხენთ“ და მეორე  
სტროფის თავში მოექცა.

ეხლა შევადაროთ ილიას ერთ-ერთი ლექსის ორი პირვანდელი ვარი-  
ანტი იმავე ლექსის საბოლოო რედაქციას (შესწორებული, შეცვლილი და  
გადასმული სიტყვები შავი პეტიტით არის დაბეჭდილი, მრავალ წერტი-  
ლით... აღინიშნება უცვლელი, ხელშეუხლებელად დატოვებული).

ბაზალეთის ტაბ.

პირვანდელი ვარიანტები		საბოლოო რედაქცია
№ 1	№ 2	
ბაზალეთისა ტბის ძირსა ოქროს აკვანი არისო, და მის გარეშემო წყლის ქვეშე ლამაზი ბალი ჰყვავისო.	..... და მის გარეშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოთი ჰყვავისო.	ბაზალეთისა ტბის ძირას ..... .....
მწვანეა მუდამ ის ბალი არას დროს თურმე არ სტკნება, ქვეყნისა დროსა ცვლილებას იგი არ ემორჩილება	მწვანეა მუდამ წალკოთი არას დროს თურმე არტკნება, ქვეყნისა დროთა მუჭარას .....	..... არასდროს თურმე არ სტკნება ქვეყნისა დროთა ტრიალსა .....
	ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს არც სიცხე, არცა ზამთარი და იმის მზიან ჩრდილებში მუდამ ყვავილები არი	..... ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი ..... მუდამ გაზაუბული არი
აკვანი იგი ოქროსი ოდითვე იქ ასვენია და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა ვერავის გაუბედნია.	წალკოთის შუა გულშია ის აკვანი ასვენია .....	..... ..... არავის გაუბედნია.
ტურფანი სირინოზნი კი იმ აკვანს გარს ეხვევიან, ნელის ლულუნით ლამაზნი ტკბილს ნანას ეუბნებიან	მარტო ერთნი სირინოზნი ..... მარტო ისენი გრძნეულნი დასტრფიან და დამღერიან	..... ..... მარტო იგინი გრძნეულნი .....
ამბობენ, თამარ მეფესა იგი იქ ჩაუსვენია, და ის კი აღარ იციან	ამბობენ, თამარ დედოფალს ის აკვანი იქ დაუდგავს და ცრემლთა თვისთა ნადენი ტბა კარვად ზედ გადუხურავს	..... ის აკვანი იქ ჩაუდგამს და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით .....
შიგ მას ვინ ჩაუწვენია	იმას კი აღარ ამბობენ აკვანში ვინ ჩააწვენია? ან ტბის ქვეშ აკვნის დამარტვა რისთვის მოიწადინა?	..... ამას კი აღარ ამბობენ, აკვანში ვინ ჩააწვენია ან თვით ერმა თვისი ცრემლი ზედ ტბად რისთვის დაადინა?

პირვანდელი ვარიანტები		საბოლოო რედაქცია
№ 1	№ 2	
იქნება მასში ის ყმა წვეს, რომლის არ ითქმის სახელი და რომელსაც დღე-და-ღამ ნატრულობს ჩუმად ქართველი	. . . . . . . . . . . . . . . ჩუმად ნატრულობს ქართველი	იქნება აკვანში ის ყრმა წვეს, ვისიც არ ითქმის სახელი ვისაც დღე-და-ღამ ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი.
თუ ვგრე არის, ნეტა მას ვაქვაცსა სახელოვანსა, რომლისა ხელიც პირველად შეარწვეს იმა აკვანსა	. . . . . . . . . . . . . . . დასწვდება იმა აკვანსა!	. . . . . . . . . . ვისიცა ხელი პირველად . . . . .
თუ ვგრე არის, ნეტა მას, დედასა სახელდებულსა რომელიც იმ ყრმას პირველად მიაწვდის თავის ძუძუსა	. . . . . . . . . . ვისიც იმ ყრმას პირველ მიაწვდის თავის ძუძუსა მადლით ცხებულსა	. . . . . . . . . . ვისიც იმ ყრმას პირველ მადლით ცხებულსა

ლექსი მარტო მოცულობითაც კი პირვანდელთან შედარებით გაიზარდა, მასში სამი სრულიად ახალი სტროფია შეტანილი. ბაზალეთის ტბა ლეგენდას, ამიტომ უფრო რეალური „ლამაზი ბალი“ პოეტმა შესცვალა „უცხო წალკოტად“, რაც უფრო მეტად ზღაპრულია და ლეგენდარულს უკეთ უდგება. № 1 ვარიანტის მეორე სტროფში აღწერილია ბალის სილამაზე, შემდეგ ეს პოეტს საკმარისად არ მიუჩნევია და ამავე თემის განსავეითარებლად მეორე სტროფისთვის ახალი სტროფი მიუბამს: „ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს“. ამ ხერხით პოეტი აღწევს უცხო წალკოტისადმი ინტერესის ზრდას და თან ეს ზღაპრული ბუნებაც მეტი დამაჯერებლობით რჩება გამოსახიერებული. ერთ-ერთ ახლად შეტანილ სტროფში (№ 2-ს მეშვიდე) პოეტს თავდაპირველად ჰქონდა: „ან ტბის ქვეშ აკვნის დამარხვა რისათვის მოიწადინა“. პოეტმა იგრძნო, რომ სიტყვა „დამარხვა“ აკვანში მწოდლიარეს მკვდრად აცხადებდა, რაც მის შთანაფიქრს სრულიად არ უდგებოდა, ამიტომ საბოლოო რედაქციაში ეს ფრაზა ასე გაასწორა: „ან თვით ერმა თვისი ცრემლი ზედ ტბად რისთვის დაჰდინა“. ამნაირად აკვანი არც ტბის ქვეშ მოჰყვა, არც დამარხული აღმოჩნდა.

განსაკუთრებით სახე იცვალეს მეოთხე და მეხუთე სტროფებმა, რაც თვალნათლივ ჩანს ცხრილიდან. —



ლექსის „ბაგალეთის ტაძრს“ სიტყვიერი შემოღებულთა ცვლილებების ცხრილი.

მეზობელი №	სტროფის დასახელება	სტროფის წმინდესადაც დგას	სწორება				სტროფის წმინდესადაც დგას	სტროფის წმინდესადაც დგას	სტროფის წმინდესადაც დგას	სტროფის წმინდესადაც დგას	სტროფის წმინდესადაც დგას	სტროფის წმინდესადაც დგას
			სწორება		სწორება							
			სწორება	სწორება	სწორება	სწორება						
			სწორება- ში მოყო- ლილი სი- ტყვის რაოდენ- ობა	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	დგას -წმინდესა -დაც	
1	ა) პირველი სტროფი	13	4	2	—	2	3	14	9			
2	„ბაბალეთის ტაძრის“	15	4	1	—	—	2	14	11			
3	„მწვანე მუდამ ის ბაღი“	13	5	—	1	4	3	12	8			
4	„აკვანი იგი თქოსი“	13	8	—	—	8	8	13	5			
5	„ტურფანი სირიონი კი“	15	12	—	—	—	13	16	3			
6	„ამბობენ თამარ, მეფესა“	15	7	2	1	4	4	15	8			
7	„იქნება მასში ის ყმა შვეს“	13	4	1	—	3	3	13	9			
		97	44	6	2	36	36	97	53			
1	ბ) საბოლოო რედაქციის ახალი სტროფები	—	—	—	—	—	—	16	—			
2	„ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს“	—	—	—	—	—	—	17	—			
3	„იმას კი აღარ ამბობენ“	—	—	—	—	—	—	16	—			
	„თუ ესე არის ნეტა მას“	97	44	6	2	36	49	146	53			

საბოლოო რედაქციის სიტყვითი შემადგენლობა სამი ახალი სტროფის შეტანით 97 სიტყვიდან 146 სიტყვამდე გაიზარდა. პირვანდელი რედაქციის 97 სიტყვიდან საბოლოო რედაქციამდე უცვლელად მხოლოდ 53 სიტყვამ მიიღწია. დანარჩენთაგან 36 სიტყვა სრულიად უკუგდებულ იქნა, ორი გადასმით იქნა გამოყენებული, ხოლო ექვსი შესწორდა და ასე საბოლოო რედაქციაში 85 სრულიად ახალი სიტყვა გამოჩნდა, რომელთაც არ იცნობდა პირვანდელი რედაქცია და რაც პირვანდელი ვარიანტის სიტყვითი შემადგენლობის 87,6 % -ს შეადგენს.

ყოველ თავის ლექსს ილია მუდამ ასე მუყაითად, ასე გულდასმით ამუშავებდა, ამიტომაც ყოველი მისი ფრაზა აზრიანია. ყოველი სტროფი გამძლე ნაჭედობით გამოირჩევა. ნიჟსა და ცოდნას ილია ბეჯით შრომას ახმარებდა და ლელოც იმიტომ გაიტანა.

ილია პეტრე უმიკაშვილს წერდა:

„იქნება „კრებულის“ საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს უურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონდათ, მაგალ. რომ ქალაქში იმისთანა სახლი მოხერხებულყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-გაცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ, არც ესა ხერხდება“ (ს. ხუნდაძე — „ილია ჭავჭავაძის წერილები“).

მწერალთა ურთიერთობას, „გონების საუნჯის აღებ-გაცემობას“ ილია დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა. რაკი მწერალთა სახლი იმ დროისთვის განუხორციელებელი ოცნება იყო, ილიას რამდენიმე დღე ჰქონდა წელიწადში, როცა მისი მეგობრები მის სახლში იყრიდნენ თავს: ახალი წლის შეხვედრა, მეუღლის ოლღას დღეობა, აღდგომის კვირის ერთ-ერთი დღე, ზაფხულობით საგურამოში 20 ივლისს ილიობა. საგურამოში ილიასთან მისი მეგობრები რამდენიმე დღეს რჩებოდნენ, დროს კამათსა და ბაასში ატარებდნენ. ილია მოგონებებს უამბობდათ, ვაჟა-ფშაველა, გრ. აბაშიძე და სხვები ლექსებს კითხულობდნენ. ილიას მეტად აინტერესებდა, თუ რა აზრის იყვნენ მეგობრები მისი ნაწერების შესახებ: „ძმაო კირილე, — სწერს ლორთქიფანიძეს, — გიგზავნი „გლახის ნაამბობს“, ჯერ ვიდრე დაბეჭდავდე, შენებურად გადიკითხე და შენი პირობითი პირობითი აზრი მაცნობე“-ო. კრიტიკას ილია დიდ ანგარიშს უწევდა, ხშირად ესა თუ ის შენიშვნა ჭკუაში დაუჯდებოდა და იმის მიხედვით ასწორებდა ნაწარმოებს.

1882 წ. ილიამ „განდეგილი“ დავით სარაჯიშვილის სახლში თავის მეგობრებს წაუკითხა. ერთმა დამსწრეთაგანმა ი. მ — ა უთხრა ილიას: „მშენიერი, მშენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერ ვხედავ, თვით განდეგილის სურათსო, მის გარეგნობის აღწერას. მის პორტრეტსო“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ. 1914 წ. ტ. I, გვ. XLIII), — ამის შემდეგ ილიამ განდეგილის მეხუთე თავი დასწერა:

არ, იყო ხნეი, მაგრამ ვით წმინდანს.  
სულის სიმაღლე ზედ დასჩენოდა,  
ზედ ეტყობოდა, რომ მისი სული  
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.

სახე გამხდარი, კუშტი და მწყალი  
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,  
და მაღალ შუბლსა, ნაოქად შეკრულს  
შარავანდები გადაჰვენოდა...

ილია საკუთარ ნაწარმოებთა სასტიკი მსაჯული იყო, ამიტომ შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მისი ნაწარმოები დაწუნებული ყოფილიყო. კირილე ლოთრქიფანიძეს სწერდა: „თ უ ეს ლ ე ქ ს ე ბ ი ა რ მ ო გ ე წ ო ნ ო ს, უმიკოვს ჩემი „აჩრდილი“ აქვს, იქიდან დაბეჭდე 7, 8, 9 თავებიო“. რამდენიმე მისი ლექსი ხაზგასმულია და ზედ საფლავის ლოდივით ადევს ილიას წარწერა: „რიტორიკაა უშვერი“, „რიტორიკაა“ („პავლოვსკის პარკი“, „ს-ს“. — ტ. I, გვ. 354 — 355).

ილია, ნაწარმოებს რომ სტამბას გადასცემდა, მაშინაც ვერ ისვენებდა:

„ეხლა ორ შეუცვლელ პირობას გიღებ, — სწერს უმიკაშვილს — 1) ისე უნდა დაბეჭდონ, რომ ლექსი არ გატეხონ, ესე იგი მთელი სტრიქონი ერთ სტრიქონზედ უნდა დასტიონ და 2) რომ ეგ პირველი მოქმედება ერთ ნომერში სრულად ხელუხლებლად დაბეჭდონ და კორექტურა კი შენს გაფაციცებულ თვალს მიანდონ“.

„მე გთხოვ („გლახის ნამბობის“) უკანასკნელი კორექტურა ვამომიგზავნი იმ პირობით, რომ მეორე დღესვე უკან დაგიბრუნო“ (ს. ხუნდაძე — „ი. ჭავჭავაძის კერძო წერილები“).

კორექტურას ისე გადააშეგებდა ხოლმე, რომ ტექსტის ახალი ვარიანტი იზადებოდა და სტამბაში იძულებული ხდებოდნენ ხელახლად აეწყოთ. ნაწარმოები რომ დაიბეჭდებოდა, ილია ისევ ასწორებდა და შემდეგი გამოცემისათვის შესწორებულ და გადაამუშავებულ ტექსტს ამაზადებდა.

მწერლის ოთახი უთუოდ ამყლავნებს შემომქმედის ბუნებას, მის მუშაობის კილოსა და ხასიათს. ი. მეუნარგიაშვილმა დაგვიტოვა ილია ჭავჭავაძის კაბინეტის ოსტატურად შესრულებული სურათი:

„შეხვიდოდით თუ არა მის კაბინეტში, ყველაზედ უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადის სურათებით აქრელებული ჰერი ოთახისა. ჰერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართე მედალიონები მეფის ლუარსაბისა, დიმიტრის თავდადებულისა, გიორგის, თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი. კედელზე ეკიდა მეფე ერეკლე, გორგასლანი. კედლებზედვე: სოფლის გლეხ-კაცი და ყსაბი გაბაევისა, მურილოს გრავიურა, მითოლოგიური სურათები. კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, სტოლებით, წიგნებით, ჭანდაკებებით. რომ მიიხედ-მოიხედავდით, დანახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიორგისას, კიდევ სხვაგან რუსთაველისას და გარიბალდისას. აქა-იქ კედლებზე: კაკაბს და ხოზობს.

მთავარი სტოლი კაბინეტში სავსე რა გინდა რათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულყველაფერი ამ დიდ სტოლზე არეულ-დარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურს დაუდევრობაზე. აი აგერ დიდი ამომწრალი საწერელი, რომელშიაც ვიდაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს, აი შველის ჭანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოკმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნაშვით შუა გულში, აი გლოზის, სანაგარიშო ჩოთქი, სათვალე, გაზეთის ორიგინალი. ვეებერთელა წითელი

კარანდაში... თუ სალამოა, ამ სტოლთან თვითონ რედაქტორი ზის..." (ი. ჭეჭ-ნარჯია — „ნანახი და გაგონილი ილიას ცხოვრებიდან“).

ვრ. ყიფშიძემ დაგვიტოვა იმის მოწმობაც თუ როგორ სწერდა ილია:

„როცა ილია სწერდა და თავის ოთახში მუშაობდა, სახლში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, სასტიკი მდუმარება იყო გამეფებული ოლღას (მისი მეუღლის) წყალობით, და არავის შეეძლო ხმაურობა რამ აეტეხნა. თვითონაც სულ ფეხ-აკრეფით დადიოდა ოთახში, რომ მცირედმა ხმაურმაც კი არ დაუშალოს ილიას წერა, გონებრივი მუშაობაო.“

„ერთხელ ილია ისე გაერთო თურმე მუშაობით, რომ თავს დაათენდა და კინაღამ შუა დღე მოვიდა. ილიას კაბინეტში კი ლამპარი ისევ ანთია. კ-ნა ოღლა შეფეკრიანდა, ვაი თუ დაემართა რამეო და შიშით ვერც თვითონ ბედავდა შესვლას, ვერც მოსამსახურე შეგზავნა. ამ დროს „ივერიის“ რედაქციაში თავი უკვე მოეყარნათ თანამშრომელთ და კნინამ ერთ-ერთ მათგანს ალ. ნანეიშვილს მიმართა, მიშველე რამე, ასეა საქმე და ლამის შიშით დავილიოჯო. რედაქცია და ილიას ბინა მაშინ ერთად იყო. ნანია, როგორც ვუძახოდით განსვენებულს, მაშინვე დაფაცურდა, შეაღო კაბინეტი და ასეთი სურათი დაუხვდა: ილიას ზურგი შეექცია საწერ მაგიდისთვის და ღრმა ფიჭ-რებში წასულიყო.“

— ბატონო, — მიმართა თურმე ნანიამ: — შუადღეა მოტანებული, რაღა დროს ლამპარია?!" (ი. ჭავჭავაძე, თხზ., 1914 წ., ტ. I, გვ. 23).

ბევრი ასეთი ღამე გაუთენებია ილიას. ი. მანსვეტაშვილი გვიამბობს, თუ როგორ წერდა ილია „ოთარაანთ ქვრივს“:

„ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში, მიუჯდებოდა წაგიდს და სწერდა განუწყვეტლივ, თავაუღებლად, დღითი და ღამით... საქმელსაც აღარ ეკარებოდა, მხოლოდ თამბაქოზე კი ხელს არ აიღებდა, პირში გაუქრობელი ეღო პაპიროსი და მის ისეც პატარა კაბინეტში, ეხლა ჩაკეტილ-ჩახურულში, ისეთი დახშული შეკოპილი ჰაერი იდგა, რომ ახლად შესულ კაცს თავბრუს დაჰხვევდა. ილია ამას აინუნშიაც არ ავღებდა. და აბა ვინ გაუბედავდა ეთქვა: ილია, შეისვენე პატარა, ოთახი ცოტა მოასუფთავე, ჰაერი გაწმინდო. გაათავებდა მუშაობას, გამოვიდოდა თავის დროებით საპყრობილიდან და, ვინ იტყოდა, რომ რამდენიმე დღე უჭმელ-უსმელი გაუტარებიაო. სწორედ რომ ქვით-კირითა და რკინით იყო ნაშენი ილიას აგებულება“.

ილიასეულ შემოქმედებას დღეს ყველა ეწაფება. არ კმარა მართო შევისწავლოთ სამწერლო შრომის შედეგი — შესანიშნავი ნაწარმოები. უნდა ავითვისოთ ილიას სამწერლო შრომის დიდი კულტურა, მისი სამწერლობო ტექნიკა. მწერალთა ახალი თაობისათვის აქ ბევრი რამ მოიძებნება ისეთი, რაც მის შრომას მეტს გამოალებინებს.

---

პასუხისმგებელი რედაქტორი ვალვა რადიანი.

მდივანი ალ. აბაშელი.

პოლიგრაფკომბინატის სტამბა, უორესის ქ. 5

შეკვ. 333. მთავლ. № 10528. ტირაჟი 5000.

1937წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად.

ხელის მოწერის პირობები:

წლიურად . . . . . 18 მან.

ნახევარი წლით . . . . . 9 „

ცალკე ნომერი . . . . . 1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

**რედაქციის მისამართი:**

თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.